ვიტალი ქენქაძე

ლომისის მთავარმოწამე
წმინდა გიორგი

თბილისი 2008

წიგნი ეძღვნება 1625 წელს ქსანზე, ქარჩოხის ომში დაღუპულ ქართველი და ოსი გმირების ხსოვნას.

რედაქტორი:	**ალექსანდრე ნაზღაიძე**
რეცენზენტები:	**ავთანდილ არაგული** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **დავით ახლოური** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარში მედგა ამ წიგნის გამოცემის საქმეში. ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგიმ დალოცოს და გააძლიეროს ისინი და შემატოს ძალა ღმერთისა და ქვეყნის სამსახურისთვის.

ISBN 978-9941-0-0517-6

„ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? –
ღმერთი მადალთა შინაო,
ვინაც შეამკო ქვეყანა,
ღამე დღედ განაბრწყინაო“.
დავითიანი

წინათქმა

ყველა ერს თავის მფარველად რომელიმე ზეციური წმინდანი ჰყავს ამორჩეული და განსაკუთრებულ პატივს სცემს მას, რომლიც ლოცულობს ერისთვის და იფარავს მას განსაცდელისგან.

წმინდა გიორგი არის საქართველოს განსაკუთრებული მფარველი. ქრისტიანულ სამყაროში სწორედ მას უკავია გამორჩეულად პოპულარული წმინდანის ადგილი, როგორც მოწამეთა, ისე ეკლესიის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის. თეთრ ცხენზე ამხედრებული, ალისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდა გიორგი სიწმინდისა და მტერზე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. საქართველოში ყველაზე მეტი ეკლესია-მონასტრები მის სახელზეა აგებული, „არ არიან ბორცუნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 40).

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია 365 წმ. გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც ყოველდღიურ დღესასწაულებთან (ხალხში გავრცელებული მტკიცებით საქართელოში წმ. გიორგის სახელზე 365 ტაძარია აშენებული) და საქართველოში არსებულ მის 365 ნაწილთან არის დაკავშირებული. წმინდა გიორგის სალოცავებს ოქრო-ვერცხლით მოჭედილ მრავალ ხატ-ჯვრების გარდა ამშვენებდა ქართულად თარგმნილი წიგნები გიორგის წამების, შესხმის, საგალობლებისა და სასწაულების რამდენიმე ციკლი, აგრეთვე საქართველოში შექმნილი პროზაული და პოეტური ნაწარმოებები.

წმინდა გიორგი პოპულარულია არა მარტო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიაში, არამედ კათოლიკურში, პროტესტანტულში, სომხურ-გრიგორიანულში, მონოფიზიტურში და სხვა. მისი სახელის ხსენებას გვერდს ვერ უქცევს მაჰმადიანთა წმინდა წიგნის კომენტარებიც. ლიტერატურული მონაგარის თვალ-

საზრისით ვერც ერთი ეკლესიის მოღვაწე ვერ უტოლდება წმინდა გიორგის.

ქრისტიანი ხალხების ყველა ენაზე შექმნილია ხალხური ლეგენდები, პოემები, ლექსები. წმინდანზე დღემდე დაცულია X საუკუნის გერმანული სიმღერა, XI საუკუნის ინგლისური პოემები. XIII საუკუნეში გერმანულ ენაზე დაიწერა 6000 სტროფიანი უზარმაზარი პოემა.

ქართულ „თქმულებებში წმინდა გიორგი ღმერთადაა სახელდებული. ხევსურებისა და ფშავლების ხევისბერები ლოცვის დროს წმინდა გიორგის ღმერთად იხსენიებენ. სვანებიც გიორგის ღმერთის მსგავსად სცემენ თაყვანს და ღმერთზე ძლიერადაც მიაჩნიათ“ (წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1991, გვ. 7).

ქსნელთა და არაგველთა ერთ-ერთი უძლიერესი სალოცავი და დიდი სიწმინდე, სწორედ წმინდა გიორგის სახელზეა აგებული ამ ორ ხეობას შორის წყალგამყოფ ლომის-ალევის ქედის ყველაზე სტრატეგიულ ლომისის უღელტეხილზე, სადაც წარმართ ღვთაებათა პანთეონის ცნობილი მთვარის კულტი უნდა ყოფილიყო გაბატონებული.

კერპთა მსხვრევის შემდეგ ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთ კერად (დაახლოებით VII—VIII სს.) ქსნისა და არაგვის მთიანეთში გვევლინება ლომისის სალოცავი. იგი ჩვენს წინაპრებს რწმენის, პატიოსნების და სამშობლოს სიცოცხლის ხედ ჰქონდათ აღქმული, რომელსაც იგივე წინაპრები ფოთლად გარს ებურნენ და იცავდნენ აღმოსავლური თუ სამხრეთული ცხელი, მომაკვდინებელი „ხორშაკი ქარებისაგან“.

ლომისის სალოცავი საუკუნეების განმავლობაში იყო როგორც წმ. გიორგის მახვილი, ქრისტიანთა მტრის შემმუსვრელი და ლაშქრის თავშეყრის ადგილი მტერზე გასალაშქრებლად, „მერხი“ ჩვენი ეროვნული კულტურისა და ცნობიერებისა, რელიგიური და პოლიტიკური დუღაბი ქართული სახელმწიფოებრიობისა.

საქართველოს მთელ მთიანეთში მიაჩნდათ, რომ მწვერვალები ყველაზე წმინდა ადგილებია. „მთა“ ცხოვრების ხის ინკარნაციაა“. ქრისტიანული პანთეონი, ისე როგორც წარმართული უმეტესწილად მთასთანაა დაკავშირებული. მთები იყო საუფლო არა მარტო მდედრი, არამედ მამრი ღვთაებებისა. ნინოს მოწოდებით ეკლესიები უნდა აშენებულიყო ძველი კერპ-სალოცავების ადგილზე, მა-

ღალ მთებზე. მთა ხომ მიწიერების ზეცასთან კავშირის გამომხატველია. „მთა“ ცხოვრების ხეა, ჯვარია, იგივე „კიბეა“ (იაკობის კიბე), შემაერთებელი ზეცისა და მიწისა. სწორედ ასეთი ხედვიდან გამომდინარე, ჩვენი წინაპრები ლომისის მთაზე აგებენ საგანძურ აურაცხელ, ერმრავალ, ბერმრავალ, მტერმრავალ სალოცავს, რომლის დიდ გავლენაზე მეტყველებს ხალხური სიტყვიერების „ოქროს ფონდი“. მის ყველა დეტალს და ნივთს ლეგენდადქცეული ისტორია აქვს.

ლომისის წმინდა გიორგი მთიელთა ყოფით კულტურაში იყო სიყვარულის, ბრძოლის, შრომისა და შემოქმედების მუზათა „მაძახურა“, გმირთა „მაედანი“, ჩვენი სულიერი სიმდიდრის სამჭედლო ქურა. იგი ათასწლეულების მანძილზე გვიფარავდა ზეციდან გამოწვდილ წმინდა გიორგის ფარიანი ხელით, რამაც ასახვა ჰპოვა ქსნის ერისთავთა საგვარეულო გერბზე.

ჩვენ, „სიცოცხლის ხის“ ფოთლად მოვლენილთ, ფოთოლცვენამდე, უფლის დახმარებით გვეძლევა ძალა წარმოვაჩინოთ მისი ტანის სიძლიერე და ლეგენდადქცეული ისტორია, რაც ჩვენი წინაპრებისა და ყოფითი ტრადიციების ათინათია.

„წმინდა გიორგი არის განსაკუთრებული მფარველი საქართველოსი, ქართველი ერისა და ეკლესიისა. მართლაც, საოცარია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, რომ წლის განმავლობაში ყოველი დღე ყოფილიყო რომელიმე წმინდანის დღესასწაული. მე იმედი მაქვს, რომ ეს ტრადიცია აღდგება მომავალში. წმინდა გიორგი მეომარია. ქართველი ერიც მებრძოლია. ჩვენ მუდამ ბრძოლაში ვართ, ვიცავთ ჩვენს კულტურას, ჩვენს რწმენას, ჩვენს მამულს, ენას. ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხი ჰგავს წმინდა გიორგის და წმინდა გიორგი ჰგავს საქართველოს“. (ი. კვირიკაძის ფილმიდან „წმინდა გიორგი“).

გეოგრაფიული მდებარეობა

ორ ზღვას შუა, მრავალ კილომეტრზე გადაჭიმულ კავკასიონის უზარმაზარ მთათა სისტემაში გამჭოლმა დარიალ-არაგვის გზამ განსაზღვრა ამ ხეობათა ესოდენ დიდი როლი, რამაც, თავის მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ლომის-ალევის ქედზე სტრატეგიულად ყველაზე მოხერხებულ ლომის-ოხირის გადასასვლელებს. მათზე გამავალი გზები იყო ჩრდილოეთიდან შიდა ქართლისკენ გადასაადგილებლად ერთ-ერთი მობილური საშუალება დროისა და სივრცის გადალახვაში.

თერგის ხეობიდან არაგვსა და ქსანზე გამავალი გზები უმნიშვნელოვანეს არტერიებს წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე, რაც პირდაპირ კავშირში იყო მის გეოსტრატეგიულ მდებარეობასთან.

კავკასიონზე მყინვარებით შემოსილ, ბუნებრივი დაბრკოლებების ამ ძლიერ კასკადზე სხვა უღელტეხილებისაგან მაქსიმალური გამტარუნარიანობით გამორჩეული თერგ-არაგვის მაგისტრალი (ჯვრის უღელტეხილი) უძველესი დროიდან წარმოადგენდა როგორც ამიერკავკასიის, ისე წინა აზიისთვის ჩრდილოეთის კარებს, რომელიც იცავდა არაკეთილმოსურნე მომთაბარე ტომებისაგან.

არაგვიდან დარიალის გზაზე გამავალ გზის სტრატეგიულობას ხაზგასმით აღნიშნავს უამრავი მეცნიერ-მკვლევარი:

„აქ უძველეს დროიდანვე გადიოდა სავაჭრო თუ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი, რომელიც მცირე აზიისა თუ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს აერთებდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებთან და ხალხებთან“*.

პარალელურად არაგვისა და ქსნის წყალგამყოფ ქედზე არსებულმა ლომის-ოხირის გადასასვლელებმა განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უძლიერესი სალოცავის ლომისის წმ. გიორგის და ასევე შეუვალი ქარჩოხის ციხის მშენებლობა, რომელიც კეტავდა გზებს, როგორც ჩრდილო-დასავლეთით ქს-

* ივ. წიკლაური — „ჟამურის სათავეებთან“, გაზ. „ლენინელი“, 22, 1987, გვ. 4.

ნის სათავეებიდან მაღრან-დვალეთისკენ, ასევე არაგვ-თერგის მაგისტრალისკენ.

ცნობილი მკვლევარი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ლომისის უღელტეხილისა და ქარჩოხის ციხის სტრატეგიულობას ხაზგასმით აღნიშნავს თავის ნაშრომში:

„და ამ ხევს ზეით ჩრდილოეთისკენ არს ციხე ქარჩოხისა, კსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულ კლდესა ზედა. უდის სამხრით კსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს“*, საიდანაც შეიძლებოდა დარიალის ვიწროებით ჩრდილოეთის უკიდეგანო სივრცეში გასვლა.

საუკუნეების მანძილზე აღნიშნულ ლომის-ოხირის უღელტეხილებით უსარგებლიათ როგორც გარეშე მტერს, ასევე ქვეყნის შიგნით პატივმოყვარე ფეოდალთ ურთიერთთავდასხმებსა და მიხტომ-მოხტომობისას. მრავალი ამგვარი ცნობით არის დატვირთული XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომლის ზოგიერთ ბატალიებს ქვემოთ შევეხებით.

ლომის-ოხირის გადასასვლელთა სტრატეგიულობის ერთ-ერთი დიდი დასტურია გიორგი სააკაძის მეთაურობით 1625 წელს ჩატარებული მარტყოფ-მარაბდის ომების შემდგომ რიგით მესამე, საკმაოდ გახმაურებული ქსნის ომი, რომელმაც საბოლოოდ დააშამათა ქართლ-კახეთის მაოხარი 16 წლის ასაკიდან, „ერანის ლომად“ წოდებული შაჰ-აბასი.

ისტორიული და ზეპირი ცნობებით ლომისის მთავარმოწამე, სხვადასხვა დროს მოულოცავთ და გზად გაუვლიათ: თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, დავით VIII, ვახტანგ III, დავით IX, პიპა ქვენიფნეველს, გრიგოლ ბანდაისძეს, გიორგი სააკაძეს, ხოსრო მირზას — იგივე როსტომ მეფეს, ლომა ჩრდილელს, ლომა ზარიძეს, წმინდანებს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს, ვახუშტი ბატონიშვილს (ბაგრატიონს), ი. ა. გიულდენშტედტს, იულონ ბატონიშვილს, ალ. ყაზბეგს, გიორგი ერისთავს (გლუხარიჩს), გიორგი თაბაურს, იოვანე ბანდაისძეს და სხვებს.

---

* ვ. ბატონიშვილი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 360.

ზემოთ აღნიშნულ უღელტეხილთა მსგავსად, დიდმნიშვნელოვანება გაიზიარა ქსან-არაგვის წყალგამყოფ ქედზე აგებულმა სალოცავებმა. ადრე ფეოდალური ხანიდან მოყოლებული დღემდე, ქსნის ხეობაში გამოკვეთილად თაყვანისცემის ყველაზე დიდ ობიექტად რჩება ორი სალოცავი, დიდი მთავარმოწამე ლომისის წმინდა გიორგი და ალევის სამება, ოქროსკარებიანი. მათივე პომპეზურობისა და მასშტაბურობის დასტურია სეხნიაობა ლომის-ალევის ქედისა და იდენტურობა მათი ტოპონიმებისა.

მთიელთა ყოფაში ლომისის უღელტეხილის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებდა მთაგრეხილის ამ პატარა მონაკვეთზე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი*. მათგან უპირატესობა ენიჭებოდა წყალგამყოფ ქედზე მდებარე აწ დანგრეულ ზურგიან კოშკს, რომელიც ერთდროულად აკონტროლებდა ქსან-არაგვის ოპტიკური ტელეგრაფის ჯაჭვურ სისტემაში ჩართულ ციხე-კოშკებს და სხვადასხვა სახის სამხედროსასულიერო დანიშნულების ნაგებობებს. აქედან გამომდინარე მათი იგნორირება ნიშნავდა ოპტიკური ტელეგრაფის მოშლას აღნიშნულ ორ ხეობას შორის და მათ საინფორმაციო ვაკუუმში მოქცევას.

დღეს ლომისის უღელტეხილზე ციხე-კოშკის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. კარები ჩრდილო-აღმოსავლეთით სამლოცველოს მხრიდან ჰქონია. იგი გადაჰყურებს ჩრდილოეთით თეთრი არაგვის ხეობას ჯვართაყელს, დიდვაკეს, კაიშაურებისა და ზაქათ ციხეს. უფრო იქით ხადის ხეობას. სამხრეთით კარგად მოჩანს ქარჩოხის ციხე-კომპლექსი, გარსიანისა და პავლიანის კოშკები და სოფ. თინიკაანის დასავლეთით „კვირაცხოვლის“ შავი კლდეები, სადაც მთხრობელთა** ცნობებით მტრის თავდასხმების მომლოდინე ყარაულები წელიწადში 7 თვე მუდამ სასიგნალო კოცონის დანთების სამზადისში იყვნენ.

უეჭველია, მტრის შემოსევების დროს ცეცხლის დანთებასთან

---

* გადმოცემის თანახმად ლომისის წმ. გიორგის განძის სამალავები რამდენიმე ადგილას ყოფილა მოწყობილი მის სამხრეთ-დასავლეთით. ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდათ მათი გადამალვა ალავერდის ციხის იქით (ალავერდის ციხე მდებარეობს ჟამურის ხეობაში უღელტეხილიდან 10 კმ-ში).

** მთხრობელები: სანდრო გიგიას ძე თინიკაშვილი, დაბ. 1906 წ., სეროჟა ნიკოს ძე თინიკაშვილი, დაბ. 1924 წ., სოფ. თინიკაანი.

ერთად ლომისის სამრეკლოზე ზარებიც დაირეკებოდა. მეოცე საუკუნეში ლომისის ამ ცხოველმყოფელ სალოცავში მრავალი ათეული წელი ზარები არ დარეკილა. ჩემს ერთ საგაზეთო სტატიაში ამ დიდებულ სალოცავზე ვწერდი:

„ისეთი მასშტაბური სამრეკლო, როგორიც ლომისის წმ. გიორგის ჰქონდა და რომელიც ჯერ კიდევ ფეხზე დგას, ქსან-არაგვზე სხვა არ მეგულება. დღემდე ეს სამრეკლო ზარის გარეშეა დარჩენილი. კომუნისტური იდეოლოგიის სამოცდაათ წლიანმა ბატონობამ ეს საწესჩვეულებო კომპონენტი მოგვისპო და დაგვავიწყა.

ვინძლო გაგვმარჯვებოდეს! 2008 წლიდან ლომისის დღესასწაულები ზარების გუგუნში გვეზეიმოს. ღვთის რჩეული დეკანოზები კი ჯინსებისა და მოდური აქსესუარების ნაცვლად, უფლის მსახურთა შესაფერის სამოსელში გვენახოს“*.

ღმერთმა გვისმინა, გასული 2007 წლის ზაფხული და შემოდგომა მართლაც მეტად ზნეამაღლებული და შემოქმედებითი გამოდგა ყმათაგან ლომისისადმი. მამა გიორგის** ძალისხმევით, სამლოცველოს ფასადი, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ნანგრევებისა და მიწის ფენისაგან გაიწმინდა. გაიხსნა შურითა და უთანხმოებით ჩრდილოეთით ამოქოლილი მთიულეთის კარი, რომლის ამოქოლვა, ჩვენი აზრით, ცხრაზმის ხეობაზე მცხოვრებ ხარანაულს უნდა უკავშირდებოდეს და კიდევ, სალოცავის მთავარი შესასვლელის წინა თაღში დაიკიდა ზარი, რომელმაც მრავალწლიანი სიმყუდროვე დაურღვია ნანგრევებში მომრავლებულ ზარნაშოებსა და ღამურებს.

---

* ვ. ქენქაძე, „მთავარმოწამე ლომისის წმ. გიორგი“, გაზ. „ახალგორი“, 10, 31 მაისი, 2007 წ.

** მამა გიორგი (ქავთარაძე) დაიბადა 1976 წ. დაამთავრა ქ. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი. მშობლები: მამა, შოთა ქავთარაძე, დედა — მაყვალა მწარიაშვილი. ჰყავს და ნანა ქავთარაძე. მამა გიორგი 8 წელია ეწევა სასულიერო ცხოვრებას.

* *

ტოპონიმი „ლომისი“ და მისი ეტიმოლოგია ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთი ვერსიით, დიდი გმირობის ჩამდენ მთიელ ვაჟკაცს, სახელად ლომისს უკავშირდება, მეორე ვერსიით ლომს, რომელიც ცეცხლმოდებული საკირედან ამოფრინდა და შემდგომ ხარად გადაიქცა, რომლის რქებზე დაბრძანდა ლომისის ხატი და ასე დაბრძანებულმა გამოიარა გზა ხოროსნიდან ლომისის მთამდე*.

წინაპრები ლომა ხარში ღონიერ ხარს გულისხმობდნენ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც სიტყვა — „ლომა“ ღონიერის გამომხატველია. ამიტომ, ჩვენც, აღნიშნული სახელი არა თეთრად ჭრელის, არამედ ღონის, ძალის გამოხატვის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ, თუმც საპირისპირო მნიშვნელობით არის ნახმარი „ლომა ხარი“ არაგვზე ჩაწერილ თქმულებაში. ყალნის ამკრეფ დვალთა პატივსაცემად მთიულებს უნდა „დაეხოცათ რამდენიმე ცხვარი და ერთი ლომა ხარი, თუ ლომა ხარი არ იქნებოდა, მუცელზე უნდა აეკრათ, რომ ლომა ყოფილიყო!**. გამოდის, რომ მუცელზე აკრულში თეთრბეწვიანი ტყავი ან ქსოვილი იგულისხმება.

ქართველი მეცნიერი და მკვლევარი, ვახუშტი ბაგრატიონი თავის ცნობილ აღწერაში მიუთითებს, რომ ლომისის მთამ სახელი იქ არსებული სალოცავის სახელიდან მიიღო: „...მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმინდის გიორგისა წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე) უგუნბათო. უჭვრეტს სამხრით ქსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს“***.

ცნობილი მკვლევარი ჯ. გვასალია ლომისის ეტიმოლოგიასა და მის წარმოშობას ასე განმარტავს: „თუ ლომისაში სვანურ ლომ//ლემ-ს დავინახავთ, რომლის თაყვანისცემაც გენეტიკურად მგლის (ძაღლის) კულტამდე მიდის, მაშინ ქართლში ცნობილი სალოცავი გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგნენ.

---

* სოფ. მლეთაში, ლომისის წმ. გიორგის სალოცავში დაცულია ოქროფერილი ჯვარი, რომლის მარჯვენა მკლავის კიდეზე გამოსახულია ლომისთავიანი კაცი ხელში ოთხკუთხა ფორმის (საკირეთი?), ხოლო მარცხენა მკლავის კიდეზე ხარისთავიანი კაცი იგივე მდგომარეობაში.

** ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა, თბ., 1958, გვ. 301.

*** ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 355.

„გერი“ მეგრულად მგელს ნიშნავს. იქ მისული მლოცავი საქონლის მფარველობას და მგლებისგან თავდაცვას სთხოვდა“*.

მიუხედავად იმისა, რომ ლომისის წმ. გიორგი ნაყოფიერების გამგებლად ითვლება, რომ მლოცველი ცხვარ-ძროხისა და მისი მიმყოლის — ხალხის გამრავლებას შესთხოვდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზანურის ნიადაგზე მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ლომისისა და გერის საერთო წარმოშობაზე.

ქსნელ-არაგველთა ურთიერთობებიდან

ქსან-არაგვის ორი უპირველესი სალოცავი ლომისის წმ. გიორგი და ალევის სამება, საუკუნეების განმავლობაში შემაკავშირებელ-გამაერთიანებლის როლს ასრულებდა ქსნისა და არაგვის ხეობის ხშირად არცთუ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილ მოსახლეობას შორის.

„ქსან-არაგვის ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლომისასთან. ეს ადგილი იყო ამ ხეობათა მოსახლეობის ყველაზე მჭიდრო შეხების ადგილი. აქ წყდებოდა მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი“**.

რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამაყ, ამბიციურ და პატივმოყვარე მთიელი ხალხის ურთიერთობებში ანტაგონიზმი ადრეული წარსულიდანვე იღებდა სათავეს. იგი ასწლეულების განმავლობაში ეროვნულ-კულტურული ცნობიერების ამაღლებასთან ერთად ფერმკრთალდებოდა და ქრებოდა. ქსნელ-არაგველთა შორის მტრობის, პროვინციალიზმის, კარჩაკეტილობისა და ნეგატიურობის პანაცეად ლომისის მთავარმოწამე წმ. გიორგი გვევლინება.

ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება წინაპართა მანკიერების სააშკარაოზე გამოტანა, რათა მკითხველმა მთელი სიცხადით გააცნობიეროს ლომისის საუღელტეხილო გადასასვლელზე არსებული წმ. გიორგის სალოცავის როლი და მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის მონოლითურობაში.

---

* ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 165.
** „ძეგლის მეგობარი“, № 21, 1970.

ქსნელ-არაგველთა წარსულ დეგრადირებულ ურთიერთობებზე არაერთი ცნობა შემოგვინახა ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანემ — „ძეგლი ერისთავთა“-მ, რომელთა ზოგიერთი ფაქტის აქ მოტანას საჭიროდ მივიჩნევ*. დავიწყებ იმით, რომ ქსანზე, ქსნის ხეობაში, კერძოდ ცხრაზმაზე, ერისთავთა დამკვიდრების ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელიც შესულია ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიაში“ — ვკითხულობთ:

„ქსნისა და არაგვის ერისთავთა წინაპრების შესახებ არსებობს შემდეგი გადმოცემა: მდინარეების, არაგვისა და ქსნის ხეობათა მცხოვრებნი წმ. გიორგის ეკლესიის (რომელიც აღმართულია ამ ორი ხეობის გამყოფი ქედის ერთ-ერთ მაღლობზე) დღესასწაულზე ნიადაგ იმაზე დაობდნენ თუ რა ადგილი ეჭირა და რა უფლებებით უნდა ესარგებლა თითოეულ მათგანს ამ დღესასწაულის დროს, რასაც ყოველთვის მოსდევდა საშინელი სისხლის ღვრა. მაგრამ ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულზე გარედან მოსულ მლოცველთა შორის მოვიდნენ ორნი ძმანი. ოსეთის თავადები, დუდარუკები, რომლებმაც ბოლო მოუღეს მათ კინკლაობას და მათ შორის ზავის პირობები დადვეს. პატივისცემის ნიშნად, ერთი მათგანი, სიდამონი — არაგვის, ხოლო მეორე — როსტომი, ქსნის ხეობის საზოგადოებამ მიიწვია თავიანთ ხეობათა მამასახლისებად. საქართველოს მეფემ კი, მას შემდეგ, რაც მხედველობაში მიიღო მათი დამსახურება და წარმომავლობა, ერისთავობა მიანიჭა. ასე იწყება ამ ორი საგვარეულოს კავშირი საქართველოსთან“**.

ანალოგიური ვერსია მცირედი განსხვავებით განვითარებული აქვს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს თავის თხზულებაში, სადაც სიდამონი და როსტომი არაგველებმა და ქსნელებმა კონფლიქტის მოგვარების შემდეგ მიიწვიეს და მეფის გვერდის ავლით პირდაპირ ერისთავებად გამოაცხადეს (ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტა ამბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირი, გვ. 44).

აღნიშნულ თქმულებათა ვარიანტები, რაც ქვენიფნეველთა საგვარეულოსაგანაა პროვოცირებული, იგნორირებას უკეთებს

---

* ამ მხრივ, ქსანზე ლარგვისში დაწერილი ქვენიფნეველ ერისთავთა საგვარეულო ისტორია ბევრ ძალზე საინტერესო რეალურ მოვლენასთან ერთად ნაწილობრივ ირეალურ და გაზვიადებულ ამბებსაც მოგვითხრობს.

** „ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები“, გ. არახამია, თბ., 1988, გვ. 49.

„ძეგლი ერისთავთას“ იმ ვერსიას, სადაც როსტომი ძმებით და თავისი რაზმით ებმება ცხრაზმა — გრუელთა ბრძოლაში — ცხრაზმელთა სასარგებლოდ. გამარჯვების შემდეგ კი როსტომს „...მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისხეველთა — შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქვეყანანი, საფლავი ლარგვისს და საჯდომი ქვენიფნევს, და უწოდეს ქვენიფნეველნი, რამეთუ სხვაჲ სახელი არა ინებეს“.

ე. ი. გრუელთა ნაცვლად ცხრაზმელთა მოქიშპედ სახელდებიან არაგველნი, რომელთა სადავო ობიექტი ლომისის წმ. გიორგია. თქმულების სინამდვილედ მიჩნევის შემთხვევაშიც და ისედაც დასანანია, რომ კონფლიქტი ქსნელებსა და არაგველებს შორის ერთბაშად ვერ გადაჭრა მათი თაყვანისცემის ყველაზე დიდმა სალოცავმა. მაგალითებს, როგორც აღვნიშნეთ, მრავლად გვაწვდის ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. მოკლედ შევეხოთ ლომისის მთაზე განვითარებულ ბატალურ სცენებს, სადაც მოდავეთა შორის ჩამდგარა ლომისის წმ. გიორგი, როგორც უზენაესი შემრიგებელი.

ა) 1293 წელს საქართველოს ტახტზე ასულმა დავით VIII-მ დაიწყო ტახტის პრეტენდენტის, თავისი ძმისშვილის ვახტანგისა და მისი მომხრეების, კერძოდ, ცხრაზმის ერისთავის შალვა I ქვენიფნეველის დევნა და შევიწროება. სარგებლობს რა უფლისწულის ნოინთან ყოფნით, აოხრებს შალვას სამფლობელოს. „მოადგა ცხრასავე ხევსა შალვაჲს საერისთავოსა და ჩამოასხნა დვალნი და ხადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქვემონი“*.

ქსნელებისთვის მტრად ქცეული დავით VIII, მთიულნი, ხადელ-ცხავატელნი და ერთ დროს მათზე ყალნის დამდები დვალნი, ერთობლივი ბრძოლით ვერ იმორჩილებენ ქარჩოხის ქვენიფნევის, ქოლოთისა და ისროლის ციხეებს, რის გამოც 7 წელი გრძელდება ბრძოლა, „ხოლო ციხოანთა ესოდენ შესჭირდათ, და იწყეს ჭამად ღვედისა“.

მონღოლთა ურდოდან საქართველოში დაბრუნებისთანავე უფლისწული ვახტანგი მიუხტა გველეთის ციხეში ჩაკეტილ ბიძას, დავით მეფეს, ხოლო შალვამ დალაშქრა მთიულნი. ხადაში

---

* აღნიშნულ თავში ა-პუნქტიდან ე-პუნქტის ჩათვლით მოტანილი ციტატები ყველა მოყვანილია „ძეგლი ერისთავთა“-დან. ქართული მწერლობა, ტ. V, თბ., 1988, გვ. 108.

ერთ დღეს აიღო და 9 ციხე დაანგრია, ხოლო „მას ერთსა კვირასა დაარღვია ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგვსა“.

ვახტანგ მეფემ ერთგულებისთვის შალვას უბოძა თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთა, არახვეთი, ხანდო. რაც უფრო გაართულებდა არაგველთა დამოკიდებულებას ქსნელებთან, ხოლო ქსნელების მიდგომა მათდამი უფრო მკაცრი და აგრესიული გახდებოდა, რათა არ დაეკარგათ მეფისგან სამართავად მიცემული საარაგვოს ტერიტორიები.

ბ) საქართველოს სწორუპოვარი მეფე, გიორგი V სამწლიანი ბრძოლის შემდეგ ამარცხებს და დევნის გორიდან ოსებს. მათ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობენ როგორც არაგველნი, ასევე ქსნელები ვირშელ II-ის მეთაურობით. მეფისგან ქსნელების შექებით გაღიზიანებული არაგველები აცხადებენ: აქ, ომში, თუ უკეთესები ქსნელები არიან, მაშინ მივიდეთ ლომისის მთაზე, შევებათ ერთურთს და იქ გავიგოთ ვინ უკეთესად ომობსო.

„მაშინ შექმნეს პაემანი და დაიმუქრნეს და შემდგომად გორისა აღებისა აუწყეს ურთიერთსა და შევიდეს ვირშელი და ყოველი ლაშქარი მისი მთასა ლომისისასა, ხოლო არაგვისა მთიულნი დადგეს ღოჲსთავს და აწვევდეს ლომისას“.

ძმათა სისხლის ღვრა არ დაუშვა დავით გიორგის ძემ: „არა ჩაუშვნა ჰომად, არამედ განყარნა ყოველნი თავის-თავ“. მაგრამ გაალმასებული მთიულნი მეფისწულის წამოსვლის მერე კვლავ ლომისას სალოცავთან იკრიბებიან ქსნელებთან საომრად. მეფის ძე დავითი კვლავ ეევედრება არაგველთ ხელი აიღონ ავ განზრახვაზე.

„ხოლო დავით ძე მეფისაი, მუხლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდეს, რაჲთა არა სდევდენ. ხოლო მათ არა ისმინეს, არამედ მრავლითა გინებითა მოსზახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს“.

მაშინ ქსნელებმაც აღარ დააყოვნეს და შეებნენ არაგველებს. დახოცეს ერთურთი, უფრო მეტად მთიულნი დაზარალდნენ. მათი დიდი ნაწილი დაატყვევეს. უკან მობრუნებულებმა ლომისის წმ. გიორგისთან გაათავისუფლეს ტყვეები, ლომისაში ილოცეს, შესწირეს მრავალი შესაწირი: „...და მოვიდა ერისთავი ლომისას და გაუშვნა ყოველნი, რომელნი ხელთა ჰრჩომოდეს, და შეწირა ლომისას არა მცირედი. და ისტუმრა შინა დავით, ძე მეფისაჲ“.

ეს ბატალიები ლომისის მთაზე უნდა დატრიალებულიყო 1327 წელს (იხ. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, ვ. ღუნაშვილი, თბ., 2005, გვ. 66).

გ) 1327 წელს ლომისის მთაზე არაგველთა და ქსნელთა შეტაკებიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ ვირშელის ძის შალვა ქვენიფნეველის ერისთავობისას არაგვის ცხავატელნი თავს ესხმიან ჟამურს. ცხრაზმის ერისთავი მათ წინააღმდეგ მცირე ჯარით გზავნის თავის ძმას გიორგის: „და მისცა ღმერთმან გამარჯვებაი გიორგის, ძმასა ერისთავისასა, და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა და ვითარცა აღვიდეს მთად, დაუდგეს წინა მამასახლისნი და აღარ სდევნეს, რამეთუ თქვეს:

„კმა არს ბრალი ესე რამეთუ მომკვდარ იყო გარეშე წვრილისა ერისა იᲩ(18) თავადი ხევისბერი ცხავატელი“ (აქ ლაპარაკია არაგვის ხეობაში არსებულ ცხავატზე, ვ. ქ.).

დ) ვირშელ II-ის შუათანა ძმის იოვანეს ერისთავობის დროს (1373-1390 წწ.) „მთიულნი არაგვისანი“ თავს ესხმიან გრემისხევს. იოვანეს დახმარებით გრემისხეველნი ამარცხებენ მოძალადეებს. ამჯერად ცხრაზმისხეველთ გამოიჩინეს დიდსულოვნება „და კაცი არცა ერთი მოკლეს, არამედ ძარცვიდეს, და შიშველი განუტევიან. და მოიყვანეს თავადი ორმოცი კაცი წინაშე ერისთავისა. ხოლო მან დამოსნა და განუტევნა ყოველნი. გარნა ბოროტად მეტყველსა ვისმე ანდრიას მოჰკვეთა ხელი მარჯვენაი და ფერხი მარცხენაი“.

ე) „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ვირშელის ლაშქრობა დვალეთში, რასაც ისტორიკოსი ვ. ღუნაშვილი 1398 წლისთვის ვარაუდობს და საქართველოს სამეფო ხელისუფლების დაკვეთად მიიჩნევს (იხ. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, ვ. ღუნაშვილი, თბ., 2005, გვ. 91), მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შემომტკიცებას. დვალეთში ვირშელმა დიდი სისხლის ღვრისა და ნგრევის შემდეგ ერთგულებაზე დააფიცა განდგომილნი, მნახველთაგან კი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, ხოლო მათი „მიმხრობნი ქვეყანანი“ მოხევენი და ხადელ-ცხავატელნი შებმასაც კი აპირებდნენ, მაგრამ ვირშელის ჯარის სიმრავლით შეშინებულნი უკან იხევენ.

„ესმა ხადელ-ცხავატელთა და შეიქმნა ხმაᲝ საყვირისაᲝ და შფოთი და ენება ბრძოლის ყოფაი და შეკრბეს და ვითარცა იხი-

ლეს სიმრავლე ლაშქრისაი, სიმრავლითა ძღვნისაითა მოეგებნეს, რამეთუ შეეშინა ფრიად.

ხოლო ვირშელმან დაიდვა ნადიმი ვაკესა ხადისასა და მძღვენი ყოველი მიითვალა. აღდგა, ლომისას გამოვიდა და გაუშვა ლაშქარი ყოველი. წმინდა გიორგის შეწირა არამცირედი, ტყვენი ყოველნი მოწამესა აპატივნა და განათავისუფლნა და განმარჯვებული მოვიდა“.

აქ მოტანილი ამბების გაცნობით მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა ნაწილობრივ მაინც ჩაიხედოს გასული საუკუნეების ქსანარაგვის მოსახლეობის ურთიერთობებში, სადაც ლომისის წმ. გიორგის ლომის წვლილი მიუძღვის მტრობის, შურის, კარჩაკეტილობის მოსპობაში და თავზე ბუზივით დახვეული მტრის წინააღმდეგ ორგანიზებულ მოქმედებაში.

ვ) 1327 წელს ლომისის მთაზე ქსნისა და არაგვის ქართველობას შორის საშინელმა სისხლის ღვრამ ოქროს ურდოდან ახალდაბრუნებულ გიორგი ბრწყინვალეს ნათლად დაანახვა ის კატასტროფული მდგომარეობა, რაც იმ დროს საქართველოს მთიანეთში სუფევდა. მემატიანეს თქმით „...სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა, და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოლ სამართალი აღარ იყოღა“.

ჟინვალზე ავლილი მეფე გიორგი მიდის დარიალამდე და უკან „...დარიელით მობრუნვებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი და მოვიკვლიეთ მუნებური სასაქმო“.

ამგვარად, XIV ს. ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში კატალიზატორის როლს თამაშობს ლომისის წმ. გიორგის სალოცავი, რომლის გვერდის ავლით არ მომხდარა ესოდენ დიდი მნიშვნელობის კანონთა შემუშავება, გამომდინარე ისევ და ისევ თავისი მასშტაბურობიდან.

ლომისის უღელტეხილი და იქ არსებული სალოცავი საჭირბოროტო საკითხთა გადაწყვეტისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წინ დისლოკაციის ადგილი რომ იყო, ისტორიული წყაროების გარდა, ადასტურებს ხელოვნების ძვირფასი შედევრი, რომელიც შექმნა ნიჭიერმა მხატვარმა, პროფესორმა ნიკო ხერკელაძემ 1985 წელს. ტილოზე ზეთის საღებავებით შესრულებუ-

ლი ბატალური სცენა „ბრძოლის წინ“, ასახავს 1659 წელს ბახტრიონის აჯანყების წინ ქსნელ და არაგველ მოლაშქრეთა შეხვედრას ლომისის უღელტეხილზე*.

როგორც ხელოვნების ზემოხსენებული ძვირფასი ნიმუში გვიდასტურებს, არაერთხელ ყოფილა მოწმე ლომისის უღელტეხილი და იქ დავანებული წმინდა მთავარმოწამე ერის ჯანსაღი ცხოვრების ეპიზოდებისა, როგორც სასულიერო, ისე საერო შემოქმედების თვალსაზრისით. მაგალითისთვის გამოგვადგება 1804 წელს აჯანყებული მთიულეთისა და ქსნის ხეობის მოსახლეთა ურთიერთმხარდაჭერა, სადაც აჯანყების მეთაურთ ლევან ნაზღაიძეს და შიო ბურდულს ქსნელებთან ერთად მნიშვნელოვან დახმარებას ქართველი ბატონიშვილები უწევდნენ**.

ლეგენდები

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქსანსა და არაგვზე გავრცელებულია ლეგენდები, როგორც წყალგამყოფ ქედისთვის „ლომის-ალევის“ სახელის მიკუთვნებაზე, ასევე ამ ქედის უღელტეხილთან წმ. გიორგის სალოცავის დაარსებაზე, რომელიც გახდა საწყისი მასთან დაკავშირებული, დანარჩენი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა, შექმნილი ათასწლეულის გრძელ გზაზე.

პირველი ქრისტიანული ლეგენდა ლომისაზე და მისი სახელის მიკუთვნება კავკასიონის დიდი განშტოებისთვის მოგვითხრობს შემდეგს:

იმ დროს, როცა ჯერ კიდევ საქართველოს მთიანეთი სრულად არ იყო გაქრისტიანებული და მის მოქცევას ახალ სარწმუნოებაზე ხელს უშლიდნენ, მტერმა ქსან-არაგვის ერთ-ერთი აოხრებისას უამრავ ნაალაფარ სიმდიდრესთან ერთად თან წარიტაცა მრავალი ტყვე.

---

* ნახატი „ბრძოლის წინ“ ინახება ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალში. საინვენტარო № 1491.

** 1804 წელს აჯანყებულ მთიულეთს ქსნის ხეობელთაგან განსაკუთრებულ დახმარებას და თანაგრძნობას უწევდა ჟამურის ოსური მოსახლეობა. XIX ს. ისტორიული წყაროებით აღნიშნულ ხეობაში არსებული ალავერდის ციხე ყოფილა მათი ძირითადი საყრდენი პუნქტი, სადაც იოანე ბატონიშვილს, შიო ბურდულს (ლომისის დეკანოზს) და ლევან ნაზღაიძეს (ციხისთავს) შეუფარებიათ თავი.

მაშინდელი საქართველოს ბედის გამკითხავთ, ტყვეთა დასახსნელად მდევარ ლაშქარს მოუხმეს მუხნარის ველზე, იქ სადაც ახლა ერთმანეთს ერთვიან ქსნისა და არაგვის სარწყავი წყლები.

სანახევროდ შეგროვილ ჯარს გამოეცხადა ალისფერ ცხენზე, ალისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, კარგად აღჭურვილი ახალგაზრდა მეომარი, რომელმაც შეკრებილთ განუცხადა:

„წავიდეთ! მე გაგიძღვებით, წინ, მტერზე საბრძოლველად, დრო არ იცდის, ტყვეები დავიხსნათ!“

მერედა როგორ? — ჯარის ერთი მესამედი თუ იქნება მხოლოდ მოსული, — მიუგეს დამხვდურებმა.

„თქვენ ნუ ნაღვლობთ ჯარის სიმცირეს, მე ვიდებ თავს იმ ცოდვა-მადლს, რაც ჩემი რჩევით მოხდება. დამიჯერეთ, გამომყევით და ქრისტეს შეწევნით გავიმარჯვებთ“.

ირწმუნა ხალხმა უცნობი მხედრის მამაცური შემართება, ერთგულება და გაჰყვა მტერთან შესარკინებლად.

ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცისკრის ხანს, ერთ დიდ მინდორზე მიუსწრო დაბანაკებულ მტერს. ალისფერ ტანსაცმლიანმა წინამძღოლმა ერთი შემოვლით, უჩუმრად მოსპო ყარაულები და ქართველთ განუცხადა: „აჰა, ღმერთის შეწევნით ახლა მოგვეცა ხელსაყრელი დრო მომხდურის განადგურებისა, მათ ბანაკს სძინავს, შევუტიოთ გულსრულად და დავიხსნათ ჩვენი სისხლი და ხორცი გადაქარებისაგან“.

ქართველებმა მართლაც ბრწყინვალედ იომეს, აოტნეს ურიცხვი მტერი და მოტაცებული ტყვეები სხვა სიმდიდრესთან ერთად უკან დაიბრუნეს.

იმდროინდელი წესისამებრ, ჯარი იქ იშლებოდა, სადაც ლაშქრობის წინ იკრიბებოდა. მუხნარის ველზე სიმღერით მოსულმა ქართველთა ლაშქარმა მაშინღა შეიტყო, რომ უშიშარი და მოხერხებული უცნობი მხედარი, ვინც მთიელებს მტერზე გაამარჯვებინა, ბრძოლაში დაჭრილიყო და სისხლისგან იცლებოდა. შეწუხებული მეომრები მომაკვდავ გმირს ეხვეოდნენ, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ. ბოლოს სიკვდილის წინ უცნობმა ხალხს განუცხადა: „მე მთის შვილი ვარ, ლომისა მქვია, ჩემი ძალა და სიცოცხლე ქრისტიანთა კეთილდღეობას შევწირე, რითაც მე დიდად ბედნიერი ვარ“, — თქვა და სული განუტევა.

მუხნარის ველიდან ჩრდილოეთით ყელის ტბამდე, ქსანსა და არაგვს შუა ჩამდგარ მთებს ხალხმა მანამდე უცნობი გმირის პატივსაცემად ლომისა უწოდა და მისი ცხედარი ამ მთის ყველაზე მოხერხებულ გადასასვლელ ადგილზე, იქ სადაც დღეს ლომისის წმ. გიორგის სალოცავია, დიდი პატივით დაკრძალეს. მას შემდეგ, ამ ორი ხეობის ხალხი, გმირის სახელის, საფლავის სიყვარულში და პატივისცემაში ეჯიბრება ერთმანეთს.

ამ ამბიდან კარგა ხანი გავიდა. საქართველოს მტრებმა ქსანარაგვზე კვლავ ძლიერი და სისხლისმღვრელი ლაშქრობა მოაწყო. ამჯერადაც ქართველთა მეფემ მტერთან შესარკინებლად უხმო ქართველთა ლაშქარს, მაგრამ მეფის მოსვლამდე შეკრებილ მხედრობას გამოეცხადა თეთრ ცხენზე ამხედრებული, შუბოსანი, ლამაზი ყმაწვილი კაცი, რომელიც აქეზებდა ქართველებს მტერზე სწრაფი და მოულოდნელი დარტყმისკენ, რათა გაენადგურებინათ მტარვალნი და დაეხსნათ მრავალი საუნჯენი, რამეთუ დაყოვნება ბედთან შერიგების ტოლფასი იქნებოდა.

უცნობი თავისთავზე იღებდა პასუხისმგებლობას. არწმუნებდა მეომრებს, რომ უთუოდ გაიმარჯვებდნენ.

თეთროსანი მხედარი წარუძღვა ქართველთა ჯარს, უსარდლა და მაცხოვრის ძალითა და შეწევნით მტერი ამოწყვიტეს, უკან დაიბრუნეს ყოველივე მტრისაგან წარტაცილი*.

სამშვიდობოს მოსულთ სიხარულის ცრემლი მალე მწუხარებისა და გლოვის ცრემლმა შეუცვალა. მტრის ხელით დაკოდილ უცნობი მხედრისთვის სასიკვდილო გამოდგა ჭრილობა. ხალხის თხოვნას, — გაემჟღავნებინა თავისი ვინაობა — ასე უპასუხა: „მე იმ გმირ ლომისას შთამომავალი ვარ, რომელმაც უთანასწორო ბრძოლით ქვეყანა და ხალხი დაიხსნა, თავი კი ზვარაკად შესწირა სამშობლოს. მე იმ მთავარმოწამე წმ. გიორგის სეხნია ვარ და სიცოცხლეს თქვენთვის ვწირავ“ — განაცხადა თავდადებულმა.

მადლიერმა ხალხმა ვალმოხდილ გმირს ლომისის მთაზე, ლო-

---

* საინტერესოა ბესარიონ კათალიკოსის (ორბელიშვილის) მოწმობა, რომ ქართველთა სპარსელებთან ომის დროს ქართველი ქრისტიანი ჯარის წინ ჰაერში იხილვებოდა თეთრ ბედაურზე ამხედრებული ლამაზი ჭაბუკი, რომელიც მუსრს ავლებდა ქართველების ე. ი. ქრისტიანების მტრებს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს იყო ძლევამოსილი წმინდა გიორგი.

მისას საფლავის გვერდზე მიუჩინა განსასვენებელი და ორივე გმირს ერთი ტაძარი აუგო და ლომისას მთავარმოწამე წმინდა გიორგი უწოდა.

საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერება გაჯერებულია „გამდიდრებული“ მითოსით, ლეგენდებით, თქმულებებით და სხვა ფოლკლორული ნიმუშებით. თემატიკა მრავალფეროვანია: საკულტო ანუ ხატ-სალოცავთა, სამხედრო-თავდაცვითი, საკანონმდებლო, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, საგვარეულო და სხვა. მათგან საკულტო ანუ ხატ-სალოცავთა თემატიკას წითელ ზოლად გასდევს სხვადასხვა სათემო-სასოფლო თუ საგვარეულო ხატ-სალოცავების „გაფრენა“, თავმოყრა ლომისის წმ. გიორგის გარშემო როგორც სასულიერო და საერო კვანძის განუსაზღვრელი ზრდა ლოკალურ ხატ-სალოცავთა დაკნინების ხარჯზე.

ქსანზე იშვიათობას არ წარმოადგენს ძველი გადმოცემა, რომელიც ეხება ლომისის მთაზე ამა თუ იმ სალოცავიდან „ანგელოზის გაფრენას“ ხან ვარსკვლავის სახით, ხან როგორც ფრთოსანს ყოჩის ან ხარის რქებზე დაბრძანებულს. გაფრენის მიზეზად კი სახელდება უწმინდური ქალის მისვლა, შურისძიების მიზნით კატის დაკვლა და მისი სისხლით წმინდა ადგილების შებილწვა, აგრეთვე უმანკოთა დაღუპვა და სხვა.

ქსნის ზემო წელზე ლოკალურ სალოცავთაგან ლომისის წმ. გიორგიზე ფოკუსირების გამომხატველია ლეგენდები ტაბახმელას შერეულ საყდარზე და მუხიშართის ჯვარობაზე, საჭიროდ მივიჩნევ მათ გაცნობას მკითხველისათვის. მანამდე კი ლომისის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ლეგენდას მოვუსმინოთ, რომელიც მისი სასწაულმოქმედი ხატის ისტორია და თავგადასავალიცაა:

ერთ დროს სპარსელები თავს დასხმიან საქართველოს, აუოხრებიათ მთა და ბარი, მათ შორის ქსნისა და არაგვის ხეობებიც. მტერს ხოროსანში 7000 ქართველი ტყვე წაუყვანია, მაგრამ მოხდა სასწაული. 7 წლის განმავლობაში მათ ქვეყანაში ბავშვი არ დაბადებულა, ცხვარს ბატკანი არ მოუგია და ცხენს კვიცი. როცა საზრდოს მომცემი მიწაც გაბერწდა და ქვეყანა სრულმა უბედურებამ მოიცვა, შეძრწუნდნენ მმართველი წრეები, მოიწვიეს მისანი და ამკითხვინეს. მან უთხრა: ქვეყანას მანამ არაფერი ეშველება, სანამ 7000 ქართველ ტყვეს არ გაათავისუფლებთ და მათთან

ერთად გურჯებიდან წამოღებულ ხატებს. ხატებს შორის არის ერთი უმთავრესი ლომისის წმ. გიორგის ხატი და იმის მიზეზი არის ყველაფერიო.

შეშინებულ სპარსელებს მოუგროვებიათ საქართველოდან წაღებული ხატ-ჯვრები და ანთებულ საკირეში ჩაუყრიათ, მაგრამ უვნებელი ლომისის ხატი საკირედან ამოფრენილა, ლომა ხარის რქებზე დაბრძანებულა და ტყვედყოფილ ქართველებს ხართან ერთად სამშობლოსკენ გამოძღოლია. მანამდე ტყვეები სათითაოდ დაუთვლიათ, დაჰკლებია ერთი მთიული კოჭლი, ლამაზი ქალი, რომელიც ირანელ დიდებულს ერთ შორეულ პროვინციაში მოახლედ ჰყოლია წაყვანილი.

ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ 7000 ტყვე, ხარის რქებზე დაბრძანებულ ლომისის წმ. გიორგის ხატთან ერთად, დაიძრა საქართველოსკენ*. მოდიოდნენ და სადაც კი დაისვენებდნენ, ყველგან ნიშებს აგებდნენ. ბოლოს ხარი ასულა ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე, დაწოლილა. მომკვდარა და იქვე გარჩეულა. ხატიც იმ ადგილზე დაფრენილა და 7000 ტყვედყოფილს იმ ლომისის მთაზე აუშენებია წმ. გიორგის სახელზე სალოცავი.

ლეგენდა ტაბახმელის შერეულ საყდარზე. ქარჩოხისა და ჭურთის ხეობათა წყალგამყოფ ქედზე, სოფ. გავაზიდან ჩრდილოეთით 3 კილომეტრში, ტაბახმელაზე შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების სამლოცველო, რომელსაც მოსახლეობა შერეულ საყდრად მოიხსენიებს.

ხალხური ვერსიით, ლომისის მთაზე არსებული წმ. გიორგი თავდაპირველად აქ ყოფილა დაბრძანებული. მის პატივსაცემად ტაბახმელაზე მოწყობილი ზეიმები დიდი პომპეზურობით ტარდებოდა, სადაც სანახაობათა შორის პრიორიტეტული ულაყ-ბედაურების რბოლაში შეჯიბრი ყოფილა. მის ერთ-ერთ დღესასწაულზე, პაექრობისას, მხედარს გაშმაგებული ულაყი ვეღარ შეუკავებია და მოზეიმე ხალხის რიგში შევარდნილს ფლოქვებით ტყუპი ძმები დაუხოცავს. „მას მერე ადგილის დედამ, ანგელოზმა

---

* ამ თქმულებას იმეორებს გურიაში ძიმითის წმ. გიორგის ხატის კუბოს წარწერა, სადაც ნათქვამია: „ეჰა შენ, დიდო მხნეო მხედარო და ღვაწლმოსილო და ხვარაშანთ ტყვეთა მხსნელო, სასწაულმოქმედო ახოვანო და წმინდაო მოწამეო გიორგი“.

აღარ ინება უმანკო ბავშვთა სისხლით მორწყულ ადგილზე თავშეყრა მოზეიმე და მოჯირითე ხალხისა“*.

მას მერე, ტაბახმელიდან წმ. გიორგის ანგელოზი დაბრძანებულა ყოჩის რქაზე და გაფრენილა ლომისის მთაზე, იქ სადაც დოღის გამართვას ვეღარ შესძლებდა მოზეიმე მრევლი.

მსგავსი ხასიათის ლეგენდა შემორჩენილია მუხიშართის ჯვარობისა, რომელსაც ლომისის მთაზე მივყავართ. მისი გაჩენის თარიღი სავარაუდოდ VIII-IX საუკუნეებია. არაბთა ბატონობით შევიწროებული ქრისტიანობა აღნიშნულ საუკუნეებში მთიანეთში გავრცელებისა და განმტკიცების ახალ მასშტაბებს აღწევს. შესაძლებელია „ჯვარობა“ ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სალოცავია ქარჩოხში. აქ ლეგენდის თანახმად, ადრე ლომისა ყოფილა დავანებული, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს. მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ბოშურიდან, კახეთიდან, კუხეთიდან, ჰერეთიდან, განჯიდან. ლეგენდის ფაბულა ასეთია: ქსნის ხეობის ზემო წელზე არსებულ დიდ გალავნიან ხატში განჯიდან სალოცავად ჩამოსულა დედაბერი ექვსი ვაჟით, რაზეც ქსნური ზეპირსიტყვიერების საგანძურში გაჩენილა საკმაოდ დიდი გარითმული ლექსი. სამწუხაროდ, ვეღარ მოხერხდა მისი მთლიანად აღდგენა-ჩაწერა, გარდა ამ მცირე ნაწყვეტისა:

„განჯიდანა წამოვედი,
ცხენს უხშირე ნალობასა,
ნეტავი კიდევ მივუსწრო
მუხიშართის ჯვარობასა“.

ჯვარობის კარზე მისულ დედაბერს უკმეხად დაუქადნია: „ექვსი ვაჟი აქ ხატის კარზე მიდგას, ექვსი იქ (განჯაში) მიმკის ყანასო“. უკან გაბრუნებულ დედაბერს გზაში მოულოდნელად ექვსივე ვაჟი დახოცვია. განჯას მისულს, ჯერ კიდევ სასოწარუკვეთელს ექვსი ვაჟის ცხედარი იქ დახვედრია. მაშინ განრისხებულ დედაბერს ჯვარობაზე შურის საძიებლად კატა დაუკლავს და იქვე სალოცავის სამხრეთით დაუმარხავს. სამარხის ადგილზე შემდგომ ჭაობი გაჩენილა. ჯვარობის ანგელოზი კი შებილწულ ადგილზე აღარ გა-

* გადმოცემის თანახმად, დოღი იმართებოდა 3 კილომეტრის დისტანციაზე, ტაბახმელიდან ეჭეფის სალოცავამდე, სადაც აგრეთვე ყოფილა სასიგნალო კოშკი. მთხრობელი ტრისტან ჩიტიშვილი, დაბ. 1939 წ., ს. გავაზი.

ჩერებულა და მის ჩრდილოეთით პირდაპირ ლომისის მთაზე გაფრენილა და იწოდა როგორც ლომისის წმ. გიორგი.

ამ მოვლენის დასტურად, იქ, სადაც კატა დამარხეს, დღესაც მუხიშართის გაუვალი ჭაობია, ამაღლებულ ადგილზე კი ოდესღაც თეთრი მეგალითური ქვებით ნაგები გალავნის ნანგრევები.

ზემოთ მოყვანილი ლეგენდები ადასტურებენ იმას, რომ ქსანარაგვის მთიანეთში სასოფლო-საგვარეულო სალოცავების როლის დაქვეითებისა და ბოლოს, საეკლესიო კალენდრიდან მათი ამოვარდნის პარალელურად ხდებოდა ლომისის წმ. გიორგის გავლენის განუხრელი ზრდა და ამით მისი ზენიტში გადანაცვლება.

მშენებლობასთან დაკავშირებული პერიპეტიები

ლომის-ალევის ქედზე აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმართულ ყველაზე სწორხაზოვან მონაკვეთში მდებარე საუღელტეხილო გადასასვლელიდან ხელისგულივით მოჩანს სამხრეთით ქსნის, ჩრდილოეთით თეთრი არაგვის აუზი. მთის დასალაშქრად საარაგვოდან უფრო ვაკობი და ადვილად მისადგომი ფერდობებია, ვიდრე სამხრეთიდან.

ამ თვალწარმტაც ადგილზე, საიდანაც იშლება ულამაზესი ქვეყნის ულამაზესი პეიზაჟი და სადაც უნდა ყოფილიყო მთვარის საკულტო სალოცავი,* VII-VIII საუკუნეებში ჩვენი წინაპრები საფუძველს უყრიან მთავარმოწამის** წმ. გიორგის სახელობის

---

* აღნიშნულ მოსაზრებას გამოთქვამს ცნობილი მკვლევარი ჯ. გვასალია. „ძეგლის მეგობარი“, 1970, № 21, გვ. 12.

** ძველად მოწამე გარდა წამებულისა ნიშნავდა დამმოწმებელსაც. საზოგადოდ იგი არის ადამიანი, რომელიც საკუთარი თვალით ნახავს რაიმეს ან საკუთარი ყურით გაიგონებს მას, შეუძლია დაამოწმოს რომელიმე ფაქტი სიცრუე თუ სიმართლე.

ბერძნულის ზეგავლენით „მარტვილი“ და „მარტვილობა“ ქართულშიც გვაქვს, რომელსაც შემორჩა ეტიმოლოგიური შინაარსი, წინააღმდეგ შემთხვევაში „მარტვილობას“ ქართულში „წამებას“— წამებულის ნაცვლად სხვა სიტყვით მნიშვნელობას შეუფარდებდნენ.

ქრისტემ თავის მოწაფეებს მოუწოდა: „იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუსალემს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა“.

სწორკუთხა საკურთხევლიან ტაძარს. მისი მშენებლობისას თავი უჩენია უთანხმოებას, რომლის მიზეზად სახელდება კარების დატანების საკითხი, თუ რომელ მხარეს ყოფილიყო მთავარი შესასვლელი. ბოლოს უთანხმოება გადაიჭრა ფალავნების შერკინებით, რაც ქსნელის გამარჯვებით დამთავრებულა და ტაძრისთვისაც კარები სამხრეთით, ქსნისკენ უქცევიათ.

გამარჯვებულ მხარეს კარების სანაცვლოდ მთიულებმა დეკანოზობისა და ტარასტის სახელო — თანამდებობა მოსთხოვეს. ქსნელები კომპრომისზე წასულან და ეს ინსტიტუტები არაგველთათვის დაუთმიათ.

სამხრეთითაა ლომისის დიდი სამრეკლოც, რომლის მშენებლობაც შესაძლოა ასევე კომპრომისზე წასულ არაგველთა თანხმობით გადაწყდა.

ამჯერად ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ლომისის წმ. გიორგის ტაძარს დღესდღეობით ორი შესასვლელი კარი აქვს, როგორც ქსნის ხეობის მხრიდან, ასევე არაგვის მხრიდან. 2007 წლის ზაფხულში ლომისის წმ. გიორგის სალოცავში მოღვაწე მამა გიორგიმ, რომელიც თანამონაწილეა, აღნიშნული სალოცავის გარშემო წარმოებული კეთილშობილური საქმეებისა, დღემდე გაუქმებული და ამოქოლილი „მთიულეთის კარი“ გაათავისუფლა მიწის სქელი ფენისგან, რასაც მოჰყვა ტაძრის გარშემო საუკუნეების განმავლობაში ნგრევის შედეგად დაგროვილი ქვა-ღორღისა და მიწის მოცილება.

სალოცავის გაწმენდამ თვალნათლივ გამოკვეთა სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა და სამარხთა ნაშთები, ჩვენი თვალთახედვით წარმოშვა შეხედულება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ გახსნილი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოქმედი კარის დატანება ანუ გამოკვეთა სალოცავის მშენებლობისას ერთდროულად უნდა მომხდარიყო. შემდეგ ჩვენთვის უცნობი გარემოების გამო ქსნელთა ავტორიტეტის ზრდასთან ერთად უნდა დახურულიყო ჩრდილოეთით „მთიულეთის კარი“. აღნიშნულ პროცესს შესაძლოა ხელი შეუწყო ჩრდილოეთით კარის წინამდებარე ნაგებობების დამეწყრით გამოწვეულმა ნგრევამ.

ჩვენ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს ქსნის ხეობის სოფ. დადიანეთში მოპოვებული ზეპირსიტყვიერების ნიმუში ხარანაულზე, რომელსაც მიეწერება ლომისის სალოცავში კარების ქსნისკენ

შებმა. ვფიქრობთ, გარკვეულ პერიოდში სამეფო ხელისუფლების ხელშეწყობით, ცხრაზმის საერისთავოს გავლენის ზრდასთან ერთად მოხდა „მთიულეთის კარის“ დახურვა-გაუქმება და „ქსნელთა კარების“ კვლავ მოქმედად დატოვება, რასაც პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს საარაგვოდან ცხრაზმაზე საცხოვრებლად გადმოსულ და დამკვიდრებულ ხარანაულის ოჯახს.

თქმულება ხარანაულზე, რომელიც კავშირშია ლომისის წმ. გიორგის სალოცავთან საჭიროდ მიმაჩნია გავაცნო მკითხველს მცირედი შემოკლებით.

დადიანეთის აღმოსავლეთით, ლორის ხევის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობზე, ე.წ. „კვირაცხოვლის ქედზე“ შემორჩენილია ძველი ნამოსახლარები — სალოცავით, მარნით, აკლდამებით და სხვა ნაგებობათა ნაშთებით. გადმოცემით აქ უცხოვრია მშრომელ, გერგილიან და მდიდარ ხარანაულის ოჯახს. ცხადია, ეკონომიურად გაძლიერებული ოჯახი სოციალური და პოლიტიკური დაწინაურებისათვის იბრძოლებდა და აი, ხარანაულები აქტიურად ებმებიან ხეობის საერო-სასულიერო საქმეებში.

ლომისის უღელტეხილზე ტაძრის მშენებლობისას კარებთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა ხარანაულს ქსნელთა სასარგებლოდ გადაუჭრია. ეს მოვლენა ხალხმა ოფიციალურად გააფორმა თავისი შემოქმედებით:

„ხარანაულმა ითავა,
ქსნისკე შეაბა კარები,
დეკანოზები ინიშნა,
საყდარს დაკიდა ზარები“.

ქსან-არაგვის უძლიერეს სალოცავში მთავარი შესასვლელი კარების სამხრეთით დანარჩუნება ქსნელთა დიდ გამარჯვებას უდრიდა. რასაც ხარანაულის უშუალო ჩარევით მიაღწიეს. ამიტომ მას და მის ოჯახს ცხრაზმის ხეობაში დიდი კრძალვითა და პატივისცემით ექცეოდნენ. ხალხს ხარანაულისთვის უკითხავს — „რით გადაგიხადოთ ესოდენ დიდი ამაგი ჩვენზეო?“

პასუხად მიუგია: „ჩემი ცხვრის ფარებს დასადგომად რა ფართობიც დასჭირდება, იმ ფართობის სახნავი მიწა მომეცით სოფელშიო“.

დათანხმებულა სოფელიც და ახლომახლო კარგი მამულები ხარანაულისთვის დაუთმიათ. მათ მფლობელობაში ყოფილა რამდენიმე ათასი სული ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი. აგრეთვე ჭართლის, ბუათის, სახორდაგე-საფერშეთის მთათა დიდი ნაწილი. მათი თავლებიდან გაზაფხულობით მარტო 60 კვიცი გამოდიოდაო, — ამბობს ხალხში შემორჩენილი თქმულება.

ამ საკითხზე სწორი მიმართულებისა და ჩვენეული ვერსიის წარმოსაჩენად საჭიროდ მიმაჩნია საქმის შემდეგნაირად დალაგება-გაანალიზება:

ლომისის უღელტეხილზე 2007 წელს ჩატარებულმა გაწმენდითმა სამუშაოებმა ნათელყო, რომ მშენებლობის პერიოდი და ფენა არ არის დარღვეული ეკლესიის ორივე შესასვლელ კარებთან მიმართებაში და ორივე ერთდროულია. სავარაუდოა, რომ ფალავანთა ჭიდაობა კარების გამო არა მშენებლობის მიმდინარეობისას ან მის დაწყებამდეა გამართული, არამედ უფრო მოგვიანებით, შესაძლოა, ტაძრის აგებიდან ასწლეულების შემდეგაც კი, იმ მოტივით თუ რომელი კარები დარჩებოდა მოქმედი და რომელი ამოიქოლებოდა*. თუ ასე არ იყო საქმის ვითარება, მაშინ ჩვენმა წინაპრებმა ქსნელთა ფალავნის გამარჯვების შემდეგ რატომღა დაატანეს სალოცავს კარები ჩრდილოეთით?!

ერთი რამ თვალში საცემია, მთიულეთ-გუდამაყარში არანაირი ნიმუში ხალხური ზეპირსიტყვიერებისა არ არის დაფიქსირებული (გარდა გაკვრით, ზერელედ ნათქვამისა), რომელიც დაამოწმებდა ცნობას ლომისის სალოცავში კარების საკითხის გადაჭრას მოჭიდავეთა შერკინებით**. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მთიულთა ფალავნის მარცხი ქსნელ ფალავანთან, რაც ამაყ არაგველთათვის ვერაფერი მოსაწონი იქნებოდა აღნიშნულ ფაქტის გადაცემა თაობებისთვის, თუმც კარების გამო გამართული

---

* სოფ. ლარგვისში მცხოვრებმა 93 წლის მოხუცმა ვახტანგ ოდიშვილმა ჩემთან საუბრისას დააფიქსირა, რომ „ძველი ხალხის თქმით“ ლომისის კარებისთვის გამართულ ჭიდაობაში მთიულების ფალავნისთვის სწორედ ხარანაულს მოუგია ორთაბრძოლა და მისი თაოსნობით ქსნისკენ შეუბამთ კარები (ან გარდაცვლილ ვ. ოდიშვილს ვესაუბრე 2006 წ. შემოდგომით).

** მთიულეთის კვლევისას ელ. ვირსალაძის შეკითხვას თუ რატომა აქვს სამხრეთით კარები ლომისის წმ. გიორგის სალოცავს — რესპონდენტი მიზეზად ასახელებს ქსნელების სიმრავლეს მშენებლობისას.

ჭიდაობის ფაქტი არაგვზე მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უნდა იცოდეს*.

აღნიშვნის ღირსია იმ კეთილურთიერთობების ხანა, რომელმაც ნოყიერი ნიადაგი მოამზადა ქსნელთა და არაგველთა გამაერთიანებელი ძლიერი სალოცავის მშენებლობისთვის. არც ისტორიამ და არც ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ არ შემოგვინახა არანაირი ცნობა მტრობასა და სისხლის ღვრაზე, ზეწოლასა და ძალმომრეობაზე წყალგამყოფ ქედზე საერთო სალოცავის მშენებლობისას. ეს აქტი არის ნათელი სურათი იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოძალადე დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენმა წინაპრებმა საჭიროდ მიიჩნიეს საერთო სალოცავის არსებობა, რომელიც რელიგიური და პოლიტიკური დუღაბი იქნებოდა ქვეყნის ერთიანობისა, სიძლიერისა და ორგანიზებული ბრძოლისა მტრის წინააღმდეგ. სწორედ ამ მისიას ასრულებდა და ასრულებს დღესაც მთიანეთის ცნობილი, ძლიერი სალოცავი ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი.

ლომისის წმ. გიორგის დეკანოზები

ა) ბურდულები

ორი ძლიერი ხეობის, ძლიერ გავლენიან, ერთ საერთო ლომისის წმ. გიორგის სალოცავში, კარებისა და სამრეკლოს ქსნისკენ მოწყობა და მთიულთათვის დეკანოზობის ჩაბარება წინაპრების

* 1976 წ. ახალგორის რაიონის ქარჩოხის სკოლის მოსწავლეებმა გეოგრაფიის მასწავლებლის ამირან ბალაშვილის ინიციატივით ვილაშქრეთ ლომისის უღელტეხილის გავლით თეთრი არაგვის ხეობაში. ლაშქრობისას ზემო მლეთას ახალგაზრდებმა შემოგვთავაზეს გვეჭიდავებინა „ფალავნები“. წაგების შემთხვევაში ისინი მთიულური ხინკლით გაგვიმასპინძლდებოდნენ, ჩვენ კი გამოგვიცხადეს — წააგებთ და ლომისის კარებს ჩვენსკენ შევაბამთო. დავთანხმდით. გაიმართა ჭიდაობა. არაგველმა წააგო და ლომისის კარები კვლავ ქსნელებმა „დავინარჩუნეთ“. მლეთაში „ძველ ხიდთან“ მთიულ „ფალავანს“ ეჭიდავა ჩვენი სკოლის VIII კლასელი, დღეს უკვე ვეტერანი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე, საერთაშორისო სპორტის ოსტატი, გივი ვანოს ძე ქენქაძე.

ლოგიკური აზროვნებისა და კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგია.

საკითხით დაინტერესებულთათვის ერთობ საინტერესოა, იყო თუ არა უღელტეხილზე არსებულ სალოცავში, ბურდულ დეკანოზთა გვერდით, მოადგილის რანგში წარმომადგენელი ქსნის მრევლიდან, რაზეც დუმს და არაფერს გვეუბნება ისტორიული პერიოდის „ნალექები“.

საინტერესო ისტორია შემოგვინახა მთიულურმა ზეპირსიტყვიერებამ ლომისის დეკანოზთა ინსტიტუტზე. აქსიომური ჭეშმარიტებაა ის, რომ საუკუნეების განმავლობაში ქსნელებიდან ლომისის დეკანოზებად სახელდებიან გვარად პავლიაშვილები, მთიულეთის მხრიდან — ბურდულები. ამ ჭეშმარიტების საპირისპიროდ მეტყველებს ელენე ვირსალაძის მიერ 1950 წელს სოფ. მლეთაში ჩაწერილი ერთი მეტად პარადოქსული ცნობა:

„თავდაპირველად ლომისა ბურდულებისა არ ყოფილა. ყოფილა პატაშურების. თურქები ძარცვავდნენ ხატებს. ლომისას ხატი წაუღიათ ხოროსანში. ბურდულების მეთაურობით ხატი უკან მოუტანიათ“*.

ამ გადმოცემას უპირისპირდება სხვა, უფრო ფართოდ გავრცელებული თქმულებები მთიულეთის ხალხში, რაც ცალკე პატარ-პატარა კორესპონდენციების სახით ქვეყნდებოდა XIX-XX საუკუნეების ქართულ პრესაში. მანამდე კი, თუ როგორ და რა დამსახურების გამო მოევლინა ლომისის მრევლს ლომისის დეკანოზად მთიულური გვარი პატაშურებისა ან რა უგერგილობისა და უკმაყოფილების გამო დადგა დღის წესრიგში უმთავრესი სალოცავის დეკანოზთა გვარის როტაცია, — კომპრომატებს ამ მხრივ პატაშურების გვარზე არანაირი საინფორმაციო წყარო არ იძლევა. ბურდულთაგან დეკანოზთა სახელის დაკავება კი, ცხადია, ღირსეულად და დამსახურებულად მომხდარა — ეს ხოროსანს გატაცებული ხატებისა და ტყვეთა დახსნით იქნებოდა თუ მოყალნე დვალთა ამოხოცვითა და მათი უღლის გადაგდების გამო.

ხალხში შემორჩენილი თქმულება გვეუბნება, რომ მთიულმა ხალხმა კიდევ უფრო მეტად დაუფასა ბურდულთ დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რაც ზნეობრივ და მორალურ უფლე-

* ქართული ხალხური პოეზია, წიგნი I, გვ. 345.

ბას აძლევდა საბურდულოს გამხდარიყო პრივილეგირებული და პრესტიჟული გვარი მთელ მთიულეთში.

უძლიერეს სალოცავში ბურდულთაგან დეკანოზის სახელოს დაკავებას წინ უძღოდა მღელვარებით სავსე ისტორიული მოვლენები, როგორც მთიულეთში, ისე მთელ საქართველოში.

თქმულების მიხედვით სანამ ჯერ კიდევ ლომისის სალოცავში, გვარად პატაშურები დეკანოზობდნენ გარეშე მტერთაგან დამცრობილი მთიულეთი ყალანს ანუ გადასახადს უხდიდა დვალებს (ოსებს). მათი 12-კაციანი რაზმი ყოველ წელს ყალანის ასაკრეფად საარაგვოზე ჭართლიდან მოყოლებული ყველა სოფელს მოივლიდა. ყალნის გადამხდელთ წილის ყრით ღამის მასპინძლობაც უნდა გაეწიათ. „დაეკლათ რამდენიმე ცხვარი და ერთი ლომა ხარი*, თუ ლომა ხარი არ იქნებოდა უნდა მუცელზე აეკრათ რომ ლომა გამხდარიყო“**, მოემზადებინათ არაყი, ლუდი და აუცილებლად მჟვლის წვენი. კარგი ქეიფის შემდეგ ოსთათვის საძინებელ ოთახში ღამით გასართობად ლამაზი, გაუთხოვარი ქალი ან რძალი უნდა დაეწვინათ.

მთიულეთში ქალის ღამით დაწვენის ამ ვალდებულებას „მართებულს“ ეძახდნენ. „იმ ოჯახში გაატარებდნენ დროს, გადავიდოდნენ მეორე ოჯახშიც. ისე მთლად მთიულეთი იყო ამისთანა დღეში“.

დვალთაგან ამაყ და თავისუფლებისმოყვარე მთიულეთის*** დამორჩილებას წინ უძღოდა სისხლისმღვრელი და უთანასწორო ბრძოლები, რამაც ასახვა ჰპოვა ხალხურ შემოქმედებაში:

„დარიალაში შაიბნენ
გაუთენებლივ დილითა,
ივანე ნადიბაიძე
შელესილ იყო რკინითა.
ხელში ეჭირა სიათა
ფრანგულს იქნევდა კბილითა

---

* ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, დვალთათვის დაკლული ხარი უნდა ყოფილიყო თეთრი ფერის.

** ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა, თბ., 1958, გვ. 301.

*** ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით მთიულნი არიან: „...კაცნი ჰაეროვანნი, მხნენი და მბრძოლნი, ერთგულნი. საჭურველთ მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყობნი“. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 365.

გვერდს ედგა ბურდულ გარსევან
გულით და მკლავით რკინისა.
მისთიბდნენ მტრისა ლაშქარსა,
როგორც მთიბელი თივისა,
სიბერე ახლდა გარსევანს,
გამზრდელსა შვიდი შვილისა.
მაგრამ ხომ იცით ათისგან
ასი არ მოიკვლებისა.
გატეხეს თემის სიმრავლე,
დღე გაუთენეს ჭირისა,
მძიმე ყალანი დაადეს,
როგორც უღელი რკინისა.
თორმეტ კაცს უნდა დავუხვდეთ
პირითა მომღიმარითა,
ლომაი ხარი დავუკლათ,
ღვინოც ვასმიოთ ჯიხვითა.
დაწვება, ქალიც მივგოროთ,
ნაზარდი ლერწამ-ტანისა,
დაწვება ვიდრე თავად სურს
იმასთან წოლა ძილითა“.

მთიულეთში მორიგი ყალნის აკრეფის დროს შეიარაღებული ოსთა თორმეტკაციანი რაზმი მისულა ქვემო მლეთაში და დაბინავებულა გარსევან ბურდულის ოჯახში:

„დაუხვდათ ბურდულთ სოფელი,
პირითა მომღიმარითა,
ლომაი ხარი დაუკლეს,
ღვინოც ასმიეს ჯიხვითა“.

შეძლებულად უცხოვრია ბურდულ გარსევანს. ჰყოლია ექვსი ვაჟი და ერთი ქალი. გარსევანი და მისი ვაჟები იმ დროს ომში ყოფილან. მამა იქ დაღუპულა, ხოლო მისი ექვსი ვაჟი უვნებელი დაბრუნებია სოფელს. იმ დროს, როცა დვალები მის ოჯახში დაბინავებულან გარსევანის ვაჟებიც დაბრუნებულან ბრძოლიდან. მათ ატირებული და დაუხვდათ სახლში. ძმებს ეგონათ, რომ მათი და მამის დაღუპვის გამო ტიროდა, სინამდვილეში კი ქალს დვალების სტუმრობა ადარდებდა. ვახშმის შემდეგ ისინი ქალს მოიკითხავდნენ და უყოყმანოდ უნდა შეესრულებინათ უკვე წესად ქცეული დამამცირებელი ვალდებულება:

„ამ დროს მოვიდნენ ომიდან
შვილები გარსევანისა,
ექვს-ექვსი ვაჟი ერთადა,
ექვსივე მსგავსი გმირისა.
ექვს ძმას დაუხვდა სახლში და
დაღონებული პირითა,
თუმც ლამაზია ეგეთი,
ვითა მზის სხივი დილითა.
გლოვობდა მამის დაღუპვას,
დვალნის დაწვენას ქალისა,
ძმებსა შესჩივლა თავის დამ
დაღონებულის პირითა.
ეს რომ გაიგეს ბიჭებმა,
დადგნენ პირქუშის პირითა,
სადამდინ უნდა ვატაროთ
ესე სირცხვილი კისრითა.
ძმებ ითათბირეს ერთურთში,
პირობა შეკრეს ფიცითა,
დვალნი მით უფრო გავაძღოთ
ჩვენ, — სამუდამო ძილითა“.

ექვს ძმა ბურდულს უთათბირიათ და გადაუწყვეტიათ მთიულეთის შემაწუხებელი დვალნი ამოეხოცათ. დაუწნავთ ლასტები, თოკებით ჭერზე დაუკიდიათ, ზედ ქვები და ხის ნაჭრები დაუყრიათ, დაბლიდან კი ჭრელი ფარდაგები აუკრავთ*. შეზარხოშებულ დვალთ დაწოლა მოუსურვებიათ, თან „მართებული“ გასათხოვარი ლამაზი ქალიც მოუთხოვიათ:

„დიდხანს არ დააგვიანეს,
დვალთა მოთხოვნა ქალისა,
ეხლა მოგვგვარეთ მნათობი,
დროა წოლის და ძილისა“.

ძმებს უთქვამთ: თქვენ მოისვენეთ, ქალია და რცხვენია, სიბნელით მოგგვრითო.

წამოწოლილან დვალნი და ნამთვრალევთ ქალის ლოდინში ჩასძინებიათ. მაშინ უმარჯვიათ ძმებს. ხანჯლებით გადაუჭრიათ

* ზოგიერთი ვერსიით გარსევანის ვაჟებს, დვალების დასახოცად საძინებელ ოთახში დიდი ორმო ამოუთხრიათ. ზედ ლასტის იატაკი გაუკეთებიათ და ფარდაგები დაუფენიათ.

ლასტის თოკები, სიმძიმით დაღუნული ლასტები დასცეს ზემოდან მძინარეებს, თვითონაც ზედ დაასხდნენ და ალესილი ხანჯლების ცემით სიცოცხლეს გამოასალმეს მოძალადე დვალები:

„შვილებმა გარსევანისამ
ვადა გასინჯეს ხმალისა,
ხანჯალამოწვდილნ შეცვივდნენ,
როგორც ლეკვები ლომისა,
თორმეტსვე მოჭრეს თავები,
ხმა არ გასულა ომისა,
იქვე ჩაყარეს ორმოში,
როგორც გოჭები ღორისა,
ისიც იცოდნენ ბიჭებმა
დრო დადგებოდა ომისა“.

მთიულეთში ეს ამბავი ზოგს გახარებია, ზოგს წყენია, მიხდომიან ბურდულთ ჩხუბით, რადგან იცოდნენ, რომ ოსები უსისხლოდ არ დატოვებდნენ და აიკლებდნენ მთიულეთს. ერთხნობას გარსევანის ბიჭები თავის მომხრე ხალხთან ციხე-სახლებში ჩაკეტილან. ბოლოს მთიულთაგან ერთი ჭკვიანი კაცი გამოჩენილა და ძმების წინააღმდეგ ამხედრებულთათვის უთქვამს: „დააცალეთ ბურდულებსა, თუ ეგ იფიქრეს, ეგებ სხვა რამეც იფიქრონო. მერე, როგორც ვიცით ქართული ჩოხის ბოლო ჩამოშვებით* მივიდნენ ორნი მთიულნი ბურდულებთან, ერთი მიდელაური იყო და ერთიც სხვა. — საჩხუბრად არ მოვსულვართ, ლაპარაკი გვინდაო.

მერე ექვს ძმას უთქვამს: მოგვეშველენით ყველა, როგორც დაგარიგებთ, ისე მოიქეცით და იმათაც გავასწორებთ და სხვა ოსებსაც მოვიშორებთო“**.

ბოლოს შეიკრიბა თემი ლომისის კარზე და მოითათბირეს თუ როგორ მოქცეულიყვნენ. მლეთის თემში ცხოვრობდა ერთი მოხერხებული ახალგაზრდა ვეფხია გაგაძე, რომელსაც დედა ოსი ჰყავდა და ოსურიც კარგად იცოდა. ამ ბიჭს დაავალეს მოციქულობა და დაარიგეს, რომ წასულიყო ოსებთან, მოყალნე დვალების დახოცვის ამბავიც შეეტყობინებინა და თავი ისე მოეჩვენებინა

* ბოლო ჩამოშვებით, — ე. ი. ჩოხა საბრძოლველად აკაპიწებული არ იყო, რაც ნიშნავდა იმას, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება სურდათ.

** ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 305.

თითქოს მათ მხარეზე იყო და ცდილობდა ხელი შეეწყო ოსებისთვის.

გარდა ამ „ილეთიანობისა“ მთიულებმა გადაწყვიტეს, რომ დიდვაკეზე სოფ. კაიშაურებთან სიგრძივ გაეჭრათ თხრილები, შიგ წვეტიანი მარგილები ჩაესვათ და ზევიდან ლასტები და ამწვანებული ბელტები გაეფინათ (ზოგიერთი რესპონდენტის თქმით თითქმის დღესაც ეტყობა მაშინდელი თხრილების ნაკვალევი).

მთიულები დვალთა დასახვედრად მოემზადნენ. მოიქცნენ ისე, როგორც მოილაპარაკეს და დაბანაკდნენ სეთურთას. ვეფხია გაგაძე გადავიდა ოსებთან, ვითომ ძალიან შეწუხებული ამ ამბით, გააგებინა დვალების დახოცვის ამბავი და აღუთქვა, რომ ღამით წამოდით, მე თვითონ გიწინამძღვრებთო. აღელვებულმა ოსებმა მთიულებთან ომისთვის მზადება დაიწყეს.

„ეს რომ გაიგო სალმიმა,
მიდის და მოდის ქშენითა,
ხალხის სარბოლავ სოფელში
კაცებს აგ ზავნის ცხენითა.
მოგროვდა ოსის ლაშქარი,
თოფ-იარაღის ჟღერითა,
შვიდი ათასი ვაჟკაცი,
კარგად გაწვრთნილი ცხენითა.
მთიულეთს გამოემგ ზავრნენ
სამკლავიანი ხელითა,
თემს უპირებენ აკლებას,
დაწვას ცეცხლითა ცხელითა,
უნდა გაწყვიტონ მთიულნი
ხმლების და შუბის წვერითა“.

თქმულების მიხედვით, დვალებს მთიულეთისკენ მიმავალი ყველა გზა შეუკრავთ, არც თავიანთი და არც სხვისი კაცი აღარ გაუტარებიათ სამზადისის საიდუმლოდ შენახვის მიზნით, რათა ქართველთ არ გაეგოთ ოსთა ზრახვები და მათთან „საიდუმლოდ მისული“ გაგაძის დახმარების ამბავი.

ამ საბაბით დაუკავებიათ სოფ. ქუმლისციხეში მცხოვრები ერთი ვინმე ჭილაშვილი. ბოლოს ამ ჭილაშვილს მიუცია აღთქმა დვალთათვის „ხვთის ფიცად“, რომ არ გასცემდა და არ გაამჟღავნებდა მათ საიდუმლოებას, — რის შემდეგაც იგი გაუთავისუფლებიათ. ქუმ-

ლისციხელს კი ფიცი გაუტეხია, მთიულებისთვის გაუგებინებია დვალთა მზადება და გაგაძის „მოციქულობის“ ამბავი.

მთიულებს ფშავ-ხევსურების დახმარებით, მოკლე დროში გაუმზადებიათ დიდვაკეზე წვეტიანი ბოძებითა და ლასტ-ბელტებით გაწყობილი თხრილები. ოსებს კი შეუკრებიათ შვიდი ათასი ცხენოსანი ჯარი ვეფხია გაგაძის მეგზურობით და წამოსულან არაგვზე საომრად. გაგაძემ დათქმულ დროზე გადმოიყვანა ოსთა ლაშქარი. გუდაურში რომ ამოვიდნენ ღამე იყო:

„გაგაძე უფრო ამხედრებს,
ცაშიღა ჰკიდებს ქებითა,
მე ვიცი მაგათ ადათი,
მოვექცეთ თავის წესითა,
მთლიანი ძალა ვიხმაროთ
ამ სიბნელეში ღამითა“.

მთიულებმა ცეცხლის ალით ანიშნეს გაგაძეს თუ სად იყვნენ დაბანაკებულნი. მტრის ლაშქარი ღამით თხრილებში ჩაყარეს და ამოხოცეს. ასი კაცი გადარჩენილიყო. მათთან მიიჭრა პიროფლიანი გაგაძე და დაიძახა, მომყევითო. გაგაძე ებრიაულის გზით (ზოგნი იტყვიან ჩახათკარის გზას, ვ. ქ.) მთის ძირისკენ ჩაუძღვა ბედად „გადარჩენილ“ დაუპატიჟებელ სტუმრებს, სადაც მთიულები წამოეწივნენ, — გადარჩა მხოლოდ 7 ცხენოსანი:

„თვითონ უკანა მოექცა (გაგაძე, ვ. ქ.)
ამოღებული ხმალითა,
ვისაც მისწვდება არ ზოგავს,
დაბლა ჩამოჰყრის ცხენითა.
შვილები გარსევანისა,
ვერ გაძღებოდით ცქერითა,
მოსთიბდნენ მტრისა ლაშქარსა,
როგორც მთიბელი თივისა.
ყელი გამოსჭრა სალმისა,
თავის მარჯვენა ხელითა,
ასი კაციღა გადარჩა
დამალულიყო ზევითა.
გაგაძე წამოეწია,
პიროფლიანი, ცხენითა,
ჩაუძღვა ებრიაულზე,

გზა ესე არის ქვევითა,
კლდეს გადაყარა ყველანი,
თავები დასჭრა ხმალითა,
ცამ გადიყარა გულიდან,
ღრუბლები ავი დარისა,
ამოიყარეს მტრის ჯავრი,
სადარდო რაღა არისა.
სულსა სწყევლიდნენ, კრულავდნენ
ვეფხია გაგაძისასა,
ჩაგვყარა უალაგოსა,
ებრიაულის გზისასა,*
წამოგვეწივნენ მთიულნი,
ელვასა ჰგავდა ცისასა,
ისარი წამოგვაყარეს,
სეტყვასა ჰგავდა ცისასა".

მთიულებმა ერთიანად გაწყვიტეს მტრის ლაშქარი და საბოლოოდ მოიშორეს დვალთა ყალანი. მთელი მთიულეთი შეიყარა ლომისის ეკლესიის კარზე, გამართეს დიდი პურობა — საღვთო და შესწირეს უამრავი შესაწირი, ოქრო-ვერცხლი და „ხვასტაგი არა მცირედი".

დვალთა და მისი მოკავშირე „ქვეყანათაგან" გადმოსული შვიდი ათასიანი ლაშქრის გაწყვეტას არაგვზე მოჰყოლია ხადის ხეობაში მოთარეშე ყაჩაღთა ამოწყვეტა ოსეთში გაზრდილი ვინმე მიდელაურის გამოისობით. ხალხური გადმოცემის მიხედვით: „ოსებს ულაშქრავთ მთიულეთი. მიდელაური ერთი ყოფილა. იმას ყოლია ქალი. ფეხმძიმედ ყოფილა და გაუტაცნიათ ოსებს. ბიჭი გაჩენია. მეომარი ყოფილა. დადის ოსეთში აქეთ-იქით. მერე დედისთვის უთქომ: იქ რომ გადავდივარო (მთიულეთისკენ) გული მიფუჭდებაო. დედამ უთხრა: — აბა მიდელაურები იკითხეო. მიდელაური ხარ შენაო, მე იქიდან გატაცებული ვარო.

გამოუსევია ჯარი (ოსების), დაუძახნია მიდელაურებისთვის,

---

* სტროფის პირველი ორი ტაეპი მეორე ვარიანტით შემდეგნაირად იკითხება:
„სულსა სწყევლიდნენ, ჰკრულვიდნენ
ი ბერი გაგაძისასა,
ჩაგვყარა უალაგოსა,
მან ჩახათკარის გზისასა".

უთქომ: ნუ გეშინიათ, მეც მიდელაური ვარო. იქვე ჩაუხოცავთ ოსები“*.

შედარებით კეთილმეზობლური ურთიერთობები იკვეთება როგორც არაგვის, ისე ქსნის ადგილობრივ ოს და ქართველ მოსახლეობას შორის.

მაგალითად, თქმულების თანახმად მე-17 საუკუნეში ქსნის ხეობის ზემო წელზე მცხოვრები ლომისელი და ოხირელი ოსები ქარჩოხლებთან ერთად მტერს ამოუხოცავს. ცოცხლად გადარჩენილი მოხუცები კი იძულებული გაუხდიათ გობაში ნაჭერ-ნაჭერ აკუწული ძაღლის ხორცი ეჭამათ. ვინც უარს იტყოდა თავს აგდებინებდნენ. გაუგია თუ არა ეს ამბავი ლოგოშეთელ სახალხო გმირს ლომა ზარიძეს**, თავის „შევარდენთა“ რაზმით ლომისალევის ქედით, მთა-მთა მისულა ლომისამდე და მიხმარებია გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველ და ოს მოსახლეობას.

გადმოცემის ერთი ვერსიით, ლომა ზარიძე ქარჩოხის ომის დროს (1625 წ., ივლისი) ლომისის გადასასვლელთან დაღუპულა, რასაც დიდად დაუმწუხრებია სწორუპოვარი სარდალი — გიორგი სააკაძე***.

დიდველზე 7000-ანი ლაშქრის განადგურების შემდეგ დვალთა ბელადებს რევანშის ასაღებად სამზადისი დაუწყიათ, რაც 7 წელს გაგრძელებულა: „7 წელს ემზადნენ, ვისაც მოასწრეს, თავის მიწაწყალში და მთაში მოსპეს. ერთ ობოლს, დედისერთა შვილს (ოსთაგან გამწარებულ მთიულს, ვ. ქ.) შეუთხოვნია ხატისთვისა: როგორც მე ვარ ერთი, ისე გამცემის ოჯახი ერთი კვამლი ამყოფოსო. დღესაც ერთი კვამლია ჭილაშვილები, არ მრავლდებიან ფიცის გატეხვის შემდეგ“****.

მთიულეთში ოსთა ყალნის გადაგდებასა და მთელი ამ კუთხის ხალხისთვის სირცხვილის თავიდან მოშორებაზე ხალხური ლექსი „ოსეთს იყრება ლაშქარი“ აერთიანებს ზემოთ მოყვანილ ნაწ-

---

* ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 305.

** აწ ნასოფლარი ლოგოშეთი მდებარეობს ლარგვისის აღმოსავლეთით 3 კილომეტრში. ითვლება ზარიძეების პირველ სამოსახლოდ ქსნის ხეობაში.

*** მთხრობელი რუსუდან ნოდარის ასული ზარიძე, დაბ. 1929 წ., ქ. თბილისი.

**** მთხრობელი მოსე ხიზანის ძე ბუჩუკური. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. ელენე ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 302.

ყვეტებს, რომლის შემაჯამებელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს წინამდებარე სტროფები:

„ოსეთს იყრება ლაშქარი,
სალმი მიუძღვის წინაო,
გადვიდეთ მთიულეთშია,
ნაღვარევს დავდგათ ბინაო.
პირველად ხადა გავტეხოთ,
გაუტეხელი რკინაო,
ვარჩიოთ ქალი და რძალი,
სალმის მივუძღვნათ წინაო!..
ეგ რომ გაიგეს მთიულეთს,
წელზე შაიბეს რკინაო,
შვიდი ათასი კაცისგან,
შვიდი გაგ ზავნეს შინაო“.*

მთიულეთის განთავისუფლებას დვალ-ოსების „ყალნისა“ და „მართებულის“ ბეგარისაგან, მალევე მოჰყვა ლომისის საყმოსგან თვით იმავე ოსების დაბეგვრა. კერძოდ, „ოსთ დაადვეს ჯარიმა 9 კოკა მჟვლის წვენი“**.

აქ ნახსენები სიტყვა „ჯარიმა“ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იყოს ნათქვამი, რადგან ეს „ჯარიმა“ არ ყოფილა ერთჯერადი, ვინაიდან ოსებს მრავალი წლის განმავლობაში გადასახადის სახით ლომისაში მოჰქონდათ 700 ლიტრი მჟვლის (მძვლის) წვენი, რაც ძალზე პოპულარული ბრენდი ყოფილა იმ დროის სარიტუალო და სანადიმო სუფრებზე. გამოდის, რომ სხვისი დამბეგრავი და დამჩაგვრელი ოსები, ბურდულების გმირობის გამოისობით, თვითონ ხდებიან ბეგარის გადამხდელნი. მთიულეთი თავისუფალი და სახელიანი, ხოლო ამ ბრძოლების უშუალო მონაწილე გმირობისა და ერთგულების ჩამდენი საგვარეულოები ბურდულები, გაგაძეები და ჭილაშვილები მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შეიქმნენ პატივსაცემი და ცნობილი გვარები.

ჭილაშვილს — მიეცა „რასაც ხელი დაადვა მამულითა და სახნავით“.

---

* სრული ტექსტი „ოსეთს იყრება ლაშქარი“, იხ. გვ. 89.

** ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, რედაქტორი ელ. ვირსალაძე, თბ., 1958, გვ. 302.

გაგაძეს — „მიეცა მღვდლობა ქსნისა და არაგვის ლომისაზე“, რაც ჩვენი აზრით გამოიხატებოდა ბერთა წინამძღოლობით. რაზეც მინიშნებას აკეთებს ფოლკლორული მასალაც: „სულსა სწყევლიდნენ, კრულვიდნენ, ი, ბერი გაგაძისასა*.

ბურდულებს — მიეცათ ქსნისა და არაგვის უპირველესი სალოცავის დიდი მთავარმოწამე ლომისის წმ. გიორგის დეკანოზობა, ულაპარაკოდ მთელ მთიულეთში „სუფრა უწევარი, ქალი უთხოვარი“ და სახელი იმ ერთადერთი ქართული გვარისა, რომლისაც „ეშინოდა“ საქართველოს მეფესაც კი მთელ საქართველოში და მთელ მსოფლიოში (რადგან საქართველოს მეფეებს სხვისი არავისი შინებიათ გამოდის, რომ მთელ მსოფლიოში).

დვალთა ყალნის გადაგდების შემდეგ მთიულებს ლომისის კარზე მოწყობილ „ჯარობაზე“ უთქვამთ, 6 ძმა ბურდულები როგორ დავასაჩუქროთო: „ბურდულებს უთხოვიათ ლომისის კარი ჩვენი კითხული იყვესო. ეს უჩუქებიათ მათთვის და კიდევ ზედმეტად დაუსაჩუქრებიათ, უთქვამთ საბურდულოსთვის კაცსა სუფრა უწევარი გქონდეთ და ქალი უთხოვარიო“.

ბურდულის გვარის მატარებელ ნებისმიერ მამაკაცს შეეძლო დაუპატიჟებლად „უწევარ“ სუფრაზე მისულიყო და ანგარიშმიუცემლად ექეიფა („უწევარი“ — ე. ი. შეუწევარი ფსონში ჩაუსვლელად, წილის შეუტანლად). მას მერე მთიულეთში დამკვიდრდა გამოთქმა: „რაც გინდ ცუდი ბურდული, დაისვიან სუფრის თავშია!“

„ქალი უთხოვარი“ — გულისხმობდა მაჭანკლების შუამავლობის და ხვეწნა-თხოვნის გარეშე ქალის შერთვას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს მთასა და ბარში ოჯახის შექმნის მიზნით საქორწილოდ მომზადებულ ახალგაზრდა კაცს სამი წელი მაინც უნდა ევლო საცოლის კარზე, მიეგზავნა რამდენიმე მაჭანკალი და ზოგჯერ სასულიერო, გავლენიანი პირები — დეკანოზი**, ხევისთავი, უხუცესნი. გადაეხადა ქალის

---

* მლეთაში მცხოვრებ გაგაძეთაგან დღესაც მოისმენთ: „ლომისაში ცხრა მღვდელ-დიაკვანი გვყავდა ჩვენო!“

** მთიულეთში ხშირად ქალის ოჯახში მაჭანკლად ლომისის დეკანოზს გზავნიდნენ იმ იმედით, რომ მას უარის თქმას ვერ კადრებდნენ. მაჭანკლად წასული ბურდული უბით თან ლომისის სამლოცველო თასს წაიღებდა და უარის შემთხვევაში მასპინძელს სუფრაზე მის დადებას თუ დაასწრებდა, მაშინ ლომისის ძალით ახალგაზრდების შესაუღლებლად დალოცვაც უნდა მოჰყოლოდა.

ოჯახის სასარგებლოდ სოლიდური გადასახადი (ოსების დამოყვრების შემთხვევაში ურვადი), რაც საკმაოდ რთულ პროცედურას წარმოადგენდა, მით უმეტეს ხელმოკლე და ფიზიკური ნაკლის მქონე ახალგაზრდისთვის. ამიტომ, საქვეყნოდ ითქვა და დამტკიცდა, რომ რაგინდ მახინჯი ყოფილიყო ბურდული, ქალის ოჯახს უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა მის სიძეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ქალი კარგს ვერაფერს ნახავდა ცხოვრებაში. ლომისის ეკლესიის კარებზე ჩასმულია სამრისხველო სამანი იმ პირთა მიმართ ვინც ბურდულს ქალს არ მისცემდა.

მთიულეთში საბურდულოს დიდ პრივილეგიაზე აქვეყნებს კორესპონდენციას მე-19 საუკუნის ცნობილი ქართული გაზეთი „დროება“.

„ბურდულნო, როგორ გადაგიხადოთ მაგიერი სიკეთე ან რას გვთხოვთ თქვენი სამსახურისთვის“? ბურდულებს უპასუხიათ: «ჩვენ გთხოვთ თქვენი მამა-პაპათა სალოცავი* ლომისის ხატი, რომელიც პატაშურებს აბარიათ ახლა ჩვენ ჩაგვაბაროთ. ეკლესიასაც ჩვენ მოვუვლით და მისი შემოსავლითაც ჩვენ ვისარგებლებთო». ხალხს აუსრულებია მათი თხოვნა და ბურდულები ლომისის წმინდა გიორგის შემოსავლით სარგებლობდნენ 1851 წლამდე. თუმც ბურდულებს 1852 წლიდამ ეკლესიის შემოსავალი ხელიდამ გამოეცალათ მაგრამ ლომისის დეკანოზობა ისევ შეინარჩუნეს.

. . . . . .

ლომისის დეკანოზების მისაწვევად ბევრჯერ ოცი-ოცდა-ათი ვერსის მანძილიდამ მოდიან. ხშირად მლეთას მიმდებარე სოფლებიდან კაცს უგზავნიან შემდეგი სიტყვებით: «ჩვენ ამა და ამ სოფელში ამა და ამ ხატის კარზე ვართ მოსულნი. ლომისის დეკანოზთაგან ვინმე გამოგვიგზავნე ცხვარი დაგვიკლას და დაგვამწყალობნოსო»**.

ბურდულების თვით საქართველოს მეფეებსაც ეშინოდათო — ამბობს ხალხში დარჩენილი ძველი გადმოცემა:

---

* ბურდულები, წიკლაურები და ბუჩუკურები მთიულეთში ხევსურეთიდან არიან მოსულები. მთხრობელი, კაცინა ბეჟანის ძე ბუთხუზი, დაბ. 1924, სოფ. ზემო მლეთა.

** გაზეთი „დროება“, № 173, 1885 წ.

„ჩვენ ექვსი ძმანი ბურდული,
ქალაქს ჩავუხტით მეფესა,
დავაწყებინეთ ძუნძული“.

მთიულეთში შექმნილი ხალხური ლექსი „ოსეთს იყრება ლაშქარი“ მთავრდება ბურდულთათვის მინიჭებული „რეგალიების“ არასრული ჩამონათვალით და მათი ქებით:

„შამოიკრიფნენ ბიჭები
სიმღერითა და ლხენითა,
დაასაჩუქრეს, გადასცეს,
წინამძღოლობა თემისა,
დიდი ლომისის ტაძრისა
გასაღებელი კარისა,
რომელიც მოეწონება,
ცოლად წაყვანა ქალისა.
გამრავლდნენ საქართველოში,
მთლად ბურდულების გვარისა“.

ასე გამოიყურება საბურდულოს პრივილეგიების კარტოთეკა:

1. მთიულეთით თითქმის ყველა ხატ-სალოცავში საკლავის დაკვლა ლომისის წმ. გიორგის დეკანოზების ხელდასმით და დამწყალობებით ხდებოდა, ბურდულების იგნორირებით და გვერდის ავლით მსხვერპლშეწირვა „უყაბულო“ და სალოცავისაგან „მიუღებლად“ ითვლებოდა.

2. სუფრის უწევარობა — შეუწევლად პურობა და ქეიფი. დიდი უფლებაა ეკონომიურად დაუცველ და ასაკობრივად დიფერენცირებულ, ადათ-წესებით განმტკიცებულ მთის თემში.

3. „ქალი უთხოვარი“ — მტკიცე, შეუვალი ადათ-წესებით დაბლოკილ მთიულეთის საზოგადოებაში, ამ უფლებებით სოციალურად დაწინაურებული ფენებიც კი ვერ სარგებლობდნენ თუ არა გვარად ბურდული*.

---

* მსგავსად მთიულეთში ბურდულებისა, გუდამაყარში ჩოხელები, ხევში ფიცხელაურები და ხევსურეთში გოგოჭურების გვარები სარგებლობდნენ ზემოაღნიშნულ პრივილეგიებით. თუმც ბურდულების უფლებათა წინააღმდეგ საჯაროდ გალაშქრების გამომხატველია ხევიდან მთიულეთში გადმოსულ და დამკვიდრებულ ჭიკაიძეების გვარის პოზიცია, კერძოდ, ისინი ქალის გათხოვებას კრძალავდნენ ბურდულებზე და ჩოხელებზე (ინფორმაცია მოგვაწოდა ლექსო ნაზღაიძემ).

4. საქართველოს მთიანეთში უძლიერესი ლომისის სალოცავის დეკანოზობა, გასაღების ფლობა (ტარასტის თანამდებობა) და შემოსავლით სარგებლობა.

5. ბოლოს, ხალხური გამოთქმა: „საბურდულოსი თვით საქართველოს მეფესაც ეშინოდაო". შიშისა რა მოგახსენოთ, მაგრამ განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა კი უთუოდ ექნებოდათ მტერთან ბრძოლაში ხმალჩაუგებელი გვარის, რომელთა წარმომადგენლებიც ავსებდნენ სამას გმირ არაგველთა რიგებს.

ბ) პავლიაშვილები

საქართველოს მთიანეთში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ლომისის წმ. გიორგის სახელზე, ქსნის ხეობის 70 კილომეტრიან მონაკვეთზე უამრავი ნიშია აგებული. მათგან უმთავრესი ლომისის უღელტეხილის სამხრეთით მთის ძირში ლომისის ხევში მდებარე ნიშია. იქვეა 1998 წელს ლომისის სახელზე აგებული სამლოცველო.

ბუნებრივია, ლომისის დეკანოზებს — ბურდულებს საარაგვოდან ქსნის ხეობაში ხელი ვერ მიუწვდებოდათ რათა შეესრულებინათ ყველა ის რიტუალი, რაც დეკანოზთა მონაწილეობით ხდება. ამიტომაა, რომ ქსანზე დღემდე დღის წესრიგიდან არ ამოვარდნილა ლომისის დეკანოზთა ინსტიტუტის არსებობა.

როგორც ცნობილია, ქსნის ხეობიდან ლომისის დეკანოზებად სახელდებიან გვარად პავლიაშვილები. საბურდულოსნაირად პავლიაშვილებზე არ მოგვეპოვება მდიდარი ისტორიული თუ ზეპირი გადმოცემები იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში და რა დამსახურებისთვის მიაკუთვნეს ამ ძირძველ გვარს უპირველესი სალოცავის დეკანოზობა.

საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, პავლიაშვილები „ხარით შეყრილი" გვარია, რომლის მამამთავარი ადგილობრივი, ლომისის ყმა და დეკანოზი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ეს სახელი პავლიაშვილებს „მუხიშართის ჯვარობიდან" გადაყვათ ლომისაზე. ლეგენდიდან ვიცით, რომ მუხიშართის ჯვარობა შეურაცხყოფის შემდეგ გაფრინდა ლომისის მთაზე და მოგვევლინა

წმ. გიორგიდ. მანამდე კი მუხიშართის პლატოზე ჯვარობის დეკანოზები უნდა ყოფილიყვნენ, იქვე აღმოსავლეთით სოფ. პოროლიანში მცხოვრები პავლიაშვილები, რომელთაც დაახლოებით XVI-XVII საუკუნეებში გაუკეთებიათ წარწერით ვერცხლის ჯვარი და შეუწირავთ ლომისის წმ. გიორგისთვის.

პრაქტიკიდან და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პავლიაშვილები ლომისის ნომინალური დეკანოზები არიან. ხალხში არანაირი ზეპირი ინფორმაცია არ არსებობს, რომელიც პავლიაშვილების გვარის პრივილეგიებზე მიუთითებდეს — როგორც დეკანოზთა გვარისა. ამ შემთხვევაში, ქსნის ხეობაში ლომისის დეკანოზის შეუვალი უფლებები ატროფირებულია საბურდულოს უფლებების გაზრდის ხარჯზე. რაც წინასწარ წინაპართაგან იყო შემუშავებული და მიღწეული კონსენსუსის გზით.

ლომისის გლეხის სისხლი

ქსნის ხეობაში ლომისის დეკანოზთა გვარის, პავლიაშვილების, არაპრივილეგირებული გვარის გვერდით პრივილეგირებულად მოსჩანან (ისტორიული საბუთებით) ლომისის ყმა-გლეხები, აგრეთვე მცხოვრებნი უღელტეხილის სიახლოვეს, რომელთა საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებული იყო ლომისის სალოცავთან და მის სტრატეგიულ მნიშვნელობასთან — კერძოდ, ევალებოდათ ლომის-ოხირის გადასასვლელების გაკონტროლება. ასეთი კატეგორიის გლეხების დაცვა ყოველთვის იყო მეფეთა, ერისთავთა, ხევისთავთა და სხვა „ჰეროვანთა“ ზრუნვისა და დაცვის საგანი. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალეს დროს დამდგარა დღის წესრიგში მათი კანონით დაცვა. ამ ყველაფერმა ასახვა ჰპოვა „ძეგლისდებაში“, რომლის შედგენა ნაკარნახები იყო ლომისის წმ. გიორგის საყმოში, სადაც „...სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა“* (ურჯულოება, ვ. ქ.).

„ძეგლისდების“ მიხედვით კანონის 41-ე მუხლი იცავდა გან-

* ძეგლისდება. ქართული მწერლობა, ტ. V, თბ., 1988, გვ. 91.

საკუთრებულად სხვა გლეხებისგან ლომისის კუთვნილ — შეწირულ გლეხს. მისი სისხლი გაცილებით ძვირად იყო შეფასებული მეფისგან იქნებოდა შეწირული თუ „სხვათა ვისგანმე“.

მუხლი „41. ლომისისა, ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია გინა სხვათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს“*. — რაც იმდროისთვის სოლიდურ თანხას შეადგენდა.

ლომისის წმ. გიორგი სოფ. ძვ. მლეთაში

საქართველოში უამრავი ნიში არსებობს ლომისის წმ. გიორგის სახელზე აგებული. მათგან უმრავლესობა ქსნისა და არაგვის ხეობებზეა განთავსებული. „მოდიოდნენ (ხოროსნიდან, ვ. ქ.) და სადაც დაისვენებდა ხარი, იქ ნიშს აგებდნენ“, გვეუბნება თქმულება.

ლომის-ალევის ქედის ყველაზე სტრატეგიულ ლომისის გადასასვლელზე აგებული წმ. გიორგის სახელობის სამლოცველოს შემდეგ უფრო მასშტაბური სხვა ლომისის სამლოცველო არსად არ მოიძებნება თუ არა სოფ. მლეთაში, რომელიც 1876 წელსაა აგებული.

როცა წინაპართაგან დაარსებული სამლოცველო ძლიერ და უპირველეს სალოცავად ითვლება, მისი სახელობის სხვა მეორე სალოცავის აგება იმავე მრევლისაგან საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად, მიგვანიშნებს მშენებლობის წინაპირობების კანონზომიერებაზე. რა მოხდა ამ მხრივ სოფ. მლეთაში და რას გვეუბნება გარდასული დროის „მოამბენი“.

ძველთაგანვე სოფ. მლეთაში ყოველ ახალ წელიწადს თავმოყრილი მრევლი დეკანოზებთან და მეხატეებთან, დროშებითა და ხატ-ჯვრებით „ფერხის სიმღერით“ მიემართებოდნენ ლომისის მაღალ მთაზე — იწირვებდნენ, ილოცებდნენ და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ. ერთხელ წირვაზე წასული ხალხი თოვლის ზვავს წამოუღია, რის შემდეგ მთიულებს დღის წესრიგში დაუყენებიათ, უსაფრთხო ადგილზე ლომისის წმ. გიორგის სახელზე ახალი სამლოცველოს აშენება, რაც განახორციელეს კიდეც.

---

* ძეგლისდება. ქართული მწერლობა, ტ. V, თბ., 1988, გვ. 102.

მთიულეთის ცნობილი მკვლევარის, პროფ. ელენე ვირსალაძის მიერ ხადაში ჩაწერილი, ერთი რესპოდენტის თქმით: „...ბერი ჰყვანდათ მაგათ იქ (ლომისის მთაზე, ვ. ქ.), შესთხოვა ბერმა ლომისას, მე გთხოვ ამოუჩინე სადმე სხვაგან სალოცავი ამ ხალხს.

ხედავს, რომ მტრედები კირსა ჰკეკენ. უთხრა ბერებს: აბა დაათვალიერეთ მანდაო. ნახეს ხალხმა იმათ სოფელთან, პატარა კირი შაქუჩული ნიშივით. შემდეგ იმისა ააშენეს იქ ეკლესია და დღესაც ახალ წელიწადს სალოცავად ის აქვთ“*.

ქართულ მითოლოგიაში მეტ-ნაკლებად ვხვდებით რაიმე მოვლენის, ფაქტის თუ წეს-ჩვეულების პირველად შექმნა-დაარსების ამბავს. „კოსმოგენური“ — მითოლოგიური გადმოცემა არსებობს გუდამაყარში (შავი არაგვის ხეობა) ზეგარდის წმ. გიორგის აშენებაზე, სადაც მსგავსად მლეთაში ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის აშენებაზე მინიშნებას აკეთებს მტრედი.

„ერთ ლაკათხეველ ქარჩაიძეს ხე უჭრია ტყეში სახლის ასაშენებლად. რამდენ ნაფოტსაც გააგდებინებს ხეს ეს კაცი, იმდენჯერ მტრედი დასცემდა ნისკარტს და წაიღებდა ნაფოტს. დაფიქრდა კაცი, სად მიაქვს ეს ნაფოტი მტრედსაო. როცა მოჭრა ხე, ადგა და გაჰყვა ამ მტრედს. ბოლოს გუდამაყარში სოფ. დუმაცხოს მაღლა, ერთ უღრან ტყეში შევიდა მტრედი და, ხედავს კაცი, მტრედს ნაფოტები ერთმანეთზე უწყვია და საბუდარს აშენებს ეკლესიასავით“. ხალხმა ყველაფერი ეს ინიშნა უფლისგან ეკლესიის აშენების თხოვნად და ააშენეს კიდეც დუმაცხოს ზეგარდის წმ. გიორგის სალოცავი.

2006 წლის 14 ივნისს, ლომისობას, სოფ. მლეთის ლომისის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში, მრავალი ათეული წლის წინ, კომუნისტური იდეოლოგიის ძალისხმევით გაუქმებულ ეკლესიაში კვლავ აღდგა წირვა-ლოცვა. წმინდა ლიტურგია აღასრულა თავად უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

ეკლესიაში მღვდლად მოვლინებული იქნა ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა მამა გიორგი (ქავთარაძე), რომლის მოღვაწეობა ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში არის პირდაპირ ღვთის წყალობა.

---

* ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, რედ. ელ. ვირსალაძე, თბ., 1958, გვ. 309.

სოფ. მლეთას ლომისის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება რამდენიმე ხატ-ჯვარი და საეკლესიო ნივთი. რაზეც მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას.

ლომისის სამლოცველოები ქსნის ხეობაში

„ძეგლი ერისთავთა“-ს თუ დავუჯერებთ, საქართველოს მეფე, დავით VIII, ორგულობისთვის არბევს ცხრაზმის საერისთავოს, როგორც ვახტანგ III-ის ერთგულს. ამ დროს ერისთავი შალვა თან ახლავს ოქროს ურდოში წასულ ვახტანგს. მეფე აოხრებს შალვა ცხრაზმის ერისთავის სამფლობელოს. ომი შვიდ წელს გაგრძელებულა. ამ ხნის მანძილზე ცხრაზმის საერისთავოში გარდა 4 ციხისა ყველა აუღიათ და მოუსვრიათ. ალყაშემორტყმულ ციხიონს ისე გასჭირვებია, რომ ღვედის ჭამა დაუწყიათ.

„...და მოადგა ცხრასავე ხევსა შალვაის საერისთავოსა, და ჩამოასხნა დვალნი და ხადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქვემონი. და დაწვეს და მოაოხრეს ყოველი ცხრაზმის ხევი გარეშე ციხეთა; და ციხეთა ჰბრძოდეს ქვენიფნევს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს, არამედ ვერ აიხვნეს, და შვიდი წელი განგრძელდა ჰომი მათი, ხოლო ციხიონთა ესოდენ შესჭირდა, და იწყეს ჭამად ღვედისა*.

ქსნის ხეობაში არსებულ მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია ითქვას, რომ 7 წლის მანძილზე ქსნის მთიანეთის მრევლი ცხრაზმის ადმინისტრაციული ერთეულიდან ვერ მივიდოდა და ვერ ილოცებდა ლომისის წმ. გიორგის სახელობის სალოცავში. იმ სალოცავში, სადაც დეკანოზად მთიულნი ქსნელთა ოპოზიციონერები იყვნენ, ხოლო ქვენიფნევისა და ქარჩოხის ციხეს მეფის ერთგულთა შორის ქსნელებზე დამტერებული „ხადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი“ ალყად გარს შემოწყობილი იყვნენ.

მაშასადამე, ლომისის წმ. გიორგის სახელობის სალოცავში 7 წელი ქსნელს სანთელი არ დაუნთია და ხატის კარზე საკლავი არ დაუკლავს, რაც ჩვენი აზრით, ბიძგის მიმცემი და კატალიზატორი იქნებოდა სხვა დანარჩენ იმ მიზეზებთან ერთად ქსნის ხეობის ვაკისში, კერძოდ, ლომისის ხევში ლომისის ნიშის გამართვისა.

---

* „ძეგლი ერისთავთა“, ქართული მწერლობა, ტ. V, გვ. 108, თბ., 1988.

საქართველოს მთა და ბარი მოფენილია ლომისის ნიშებით. XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე მთიდან ბარში გადასახლებული მრევლი თავიანთ ახალ საცხოვრისზე აგებდა ზემოაღნიშნულ ნიშებს, სადაც მთავარ სალოცავში ხშირი მიუსვლელობის გამო ლოცულობდნენ და სწირავდნენ. ასეთი ნიშები მრავლადაა ჩრდილოეთ კავკასიაში (ქ. ორჯონიკიძე, ალაგირი, სოფ. ბალთა) და სტავროპოლის მხარეში კურსკოის რაიონში.

ქსნის ხეობაში, ლომისის მთაზე არსებულ მთავარ სამლოცველოს სამხრეთით მთის ძირში, სოფ. ელოიანთან, ლომისის ხევის გავაკებაში არის ლომისის ორი ნიში, 1998 წლიდან კი სამლოცველო-ეკლესია, რომელიც აიგო ახალგორის რაიონის მაშინდელი გამგებლის ნუგზარ რაჟდენის ძე თინიკაშვილის ძალისხმევით.

ლომისის ხევში ჩრდილოეთით არსებული ლომისის ნიში წარმოადგენს 150 სმ. სიმაღლეზე ქვების კომბინაციას, აღმოსავლეთით დატანებული პატარა ნიშათი, სადაც ძირითადად ხდებოდა სანთლების დანთება. აქვე მდგარა კლდის რუხი ფერის ფლეთილი ქვისგან გაკეთებული წარწერიანი სტელა (70X30 სმ.), რომელიც ამჟამად ლომისის მეორე ნიშშია ჩაშენებული*. მეორე ნიში კი ამავე ხევის მდ. ქსანთან წარმოქმნილ დელტაში მდებარეობს. იგი უფრო მოხერხებულ ადგილზეა და ლამაზადაა წარმოდგენილი. ქვის წარწერიანი სტელა ნიშის გრძივი კედლის შუაშია ჩასმული. წარწერიდან ვგებულობთ, რომ იგი შეუწირავს გლახა ობგაძეს.

ლომისის ხევში ამ ორ ნიშს შორის უძველესი დროიდან დღემდე იმართება ლომისის სადღესასწაულო სუფრები, საიდანაც ნაწილი მლოცველებისა მთის ციცაბო ბილიკებით მიემართება ლომისის მთაზე არსებულ წმ. გიორგის სალოცავში.

---

* რესპონდენტის თქმით (ლადი ყიდას ძე ელოშვილი, დაბ. 1930 წ. ს. ელოიანი), „ამ სამოციოდე წლის წინ ნიშთან დაყრილ ცხვრის ტყავებზე მისულ დათვს სულ დაენგრია იქაობა. მემრე ხალხმა ისევ გააკეთა ნიში, მაგრამ დაწერილი ქვა ვეღარ იპოვეს. მემრე მკითხავს ეთქო, რომა თქვენი ნიშის ქვა პირქვე გდია წყალშიო. მონახეს დეკანოზებმა, მართლაც იპოვეს ლომისის ხევში ჩავარდნილი, აიღეს და ქვევით ნიშთან გააკეთეს, რადგან იქ ტყავებს არ ყრიდნენ და დათვიც აღარ გადააგდებდა“.



ლომისის კარები

ტაძრის ყველა ატრიბუტი: კარები, ჯაჭვი, საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები დაკავშირებულია ლეგენდადქცეულ ისტორიასთან. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა სალოცავის მუხის კარები, რომელიც ეკიდა სამხრეთით. რკინის ფურცლებითა და დიდ, სფეროს ფორმის თავებიან სამსჭვალეებით შეჭედილ ლომისის კარებს გაუყვება ოთხ მწკრივად რკინის მოძრავი რგოლები. „ღამის დარაჯი, ეკლესიაში ქურდი რომ არ შეპარულიყო რგოლებს ფეხზე აყენებდა, თუ კარს ვინმე მიადგებოდა და წვალებას დაუწყებდა, რგოლები ცვიოდა და ხმაური ჩაძინებულ დარაჯს აღვიძებდა. თუკი მცველი დღისით დატოვებდა ეკლესიას, რგოლებს ისე აწყობდა, რომ უკან დაბრუნებულს შეემჩნია, ვინმე ხომ არ მიჰკარებოდა ტაძრის კარს“*.

მთავარმოწამის ამ კარებზე, რომელიც დაარსებიდან (VII-VIII სს.) დღემდე საქართველოს მთიანეთში ყველას საფიცარი და საამაყოა (ზომით 1,53X74 სმ) ამოჭრილია 19 სტრიქონი ხუცური წარწერა. ეს კარი დღეს ჩამოხსნილია და ეკლესიაში ინახება**.

---

* გაზეთი „ახალგორი“, № 11, 2006 წ. გვ. 2.

** ლომისის კარები ვნახე და სურათი გადავუღე 2007 წ. (იხ. სურათი) იგი ნახევრად დამპალი და დაშლილია. რკინის 24 რგოლიდან მხოლოდ 17-ია შემორჩენილი. კარგი იქნება თუ ძეგლთა დაცვის სამსახური იზრუნებს მის გადარჩენასა და რესტავრაციაზე.

კარების წარწერიდან ირკვევა როგორც კარის დამკვეთის, ისე პურისა და რკინის შემწირავის, აგრეთვე ხელოსან-მჭედელთა გვარ-სახელები, რომელთაც „ხელთა ფასი არა აიღეს“.

პირველი წარწერა ქარაგმებით ასე იკითხება:
კარის ზემო წარწერა:

1. ქ. სახელით:. ღთსთ:. ესე:. კარი:. ლომს:.
2. მთვრ:. მოწმისა:. შვჭედინე:.
3. მე:. მხრებელმან:. და მისთა:. შვლ:.
4. თა:. (ჩ)ენ:. სო(ხ)ტსძემნ:. ყმ(ამან)
5. თსი:. ერთი:. ქობი:. შვწირე:. რ
6. ომე:. გიორგობს:. დ:. ლ
7. ომისობსა:. ვნც:. დგვაკლ(ნ)
8. ეს:. რისხვსმცა:. წმიდა:.
9. გიორგი:. ლომის:. მთავარ:.
10. მთვრ:. მოწმე:.

ქარაგმა გახსნით ასე იკითხება:

„ქ. სახელითა ღმრთისაითა ესე კარი ლომისა მთავარმოწამისა შევაჭედინე მე მახარობელმან და მისთა შვილთა ჩუენ სუნტის ძემან. სამი თასი, ერთი ქობი შევწირე რომე გიორგობას და ლომისობასა ვინც დაგვივიწყნეს რისხავსმცა წმიდა გიორგი ლომის მთავარ მოწამე“.

კარის ქვემო წარწერა:

1. სხელით:. ღთსთ:. მჭედელთ:.
2. კიყური:. ლზრ:. და
3. ბუთხუზი:. ლ(ა)ორიშ:. ხელთ:.
4. ფსი:. არა:. აიღეს:. სლს(ა)
5. მთსა:. შნ:. ღნ:. (კ)ღაისძემნ:.
6. ვეფხიამ:. მოგორთო:.
7. პორი:. კეთილი:. ზორა:.
8. და რკინ:. სლს:. მთსა:.
9. შნ ღნ:.

ქარაგმა გახსნით ასე იკითხება:

„ქ. სახელითა ღმრთისაითა მჭედელნი კიშური (კაიშაური) ლაზარე და ბუთხუზი გიორგი ხელთა ფასი არა აიღეს. სულსა მათსა შეუნდვენ ღმერთმან. ნასღაისძემან ვეფხიამ მოგორთო პური კეთილი, ზორა და რკინა. სულსა მათსა შეუნდვენ ღმერთმან. ამინ“.

წარწერა უთარიღოა და დამწერლობის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს XVI-XVII საუკუნეებს.

ლომისის კარების შესახებ ხალხში ასეთ ამბავსაც ჰყვებიან:

— „ერთხელ მთაზე მეფის ამალას შეუსვენია. მოლაშქრეებს კერძის მოსახარშად შეშა ვერ უპოვიათ, მეთაურის ბრძანებით ლომისის კარი ჩამოუხსნიათ, დაუპიათ და ცეცხლი დაუნთიათ. უჭამიათ თუ არა საჭმელი ყველა დაბრმავებულა. მეთაური ლომისას შევედრებია, თვალისჩინი დაგვიბრუნე და ტაძარს რკინის კარს შევაბამო. ჯარს თვალი ახელია და სარდალს მადლიერების ნიშნად ხატისთვის რკინის კარი შეუბამს“*.

ლომისის ჯაჭვი

ჯაჭვი — ლომისის მთავარმოწამე წმ. გიორგის სალოცავში არანაკლებ ინტერესს იწვევს დღემდე დაცული რკინის დიდი ჯაჭვი. მასზე სხვადასხვა თქმულება და ლექსია შექმნილი. არავინ იცის ჯაჭვი ვინ მიიტანა და ვისია. ამის გამოა, რომ ყველა ენაწყლიანმა მნახველმა თავისი ვერსია გაავრცელა ხალხში, რამაც ასახვა პოვა ზეპირსიტყვიერებაში.

პირველი ის, რაც „ლომისის ჯაჭვის“ — შესახებ უნდა ითქვას; მკვლევართაგან დაფიქსირებულია 12 ვარიანტი, რასაც თვით მთიულეთის მკვლევარი სერგი მაკალათიაც ადასტურებს**. ჯაჭვზე ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს როგორც არაგვზე ისე ქსანზე მღეროდნენ „ფერხისას“.

---

* კარების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა სოფ. ზემო მლეთაში მცხოვრებმა კაცინა ბეჟანის ძე ბუთხუზმა. დაბ. 1924 წ.

** ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1932, გვ. 74.

„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის ვისია,
შაჰხედა ქალმა, შასტირა,
ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია.
ლაშქრიდან გამოტანილი
შავგვრემანაის ყმისია.
ოქრო დაადნო, მაწურა,
ლომისის საკადრისია,
დაეხსენ, ჯანგმა შაჭამოს
*ალბათ მაგისი ღირსია“.**

ლექსი ჩაუწერია პროფ. ელ. ვირსალაძეს ისაკო აბრამის ძე სეთურიძისაგან მთიულეთის სოფ. სეთურებში 1958 წელს. იმავე ექსპედიციისას მეზობელ სოფ. ქიმბარიანში დაუფიქსირებია ლექსის განსხვავებული ვარიანტი, სადაც ბებერი ქალი ტირის თავის ქმრის ნაქონ ჯაჭვს და ანდერძსაც ტოვებს:

„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია, არავინ იცის ვისია,
ბებერი ქალი ატირდა — ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია,
სიკვდილის ჟამსა ნათქომი დაბარებულიც მისია,
ისეთმა ყმამა შაირტყას, ვინც ხმარებისა ღირსია“.

აღნიშნული ვარიანტით ჯაჭვი, ქვრივი დედაბრის ქმრისაა, რომელიც დატოვილ ანდერძით გმირობის რეციდივის — კვლავ ჩად-

---

* ზეპირსიტყვიერების ლაბირინთებიდან ჩვენამდე მოღწეულ გადმოცემათა ერთი ვარიანტით თითქოს ეს ლექსი ეკუთვნოდეს ლომისაში არა დღეს არსებულ ჯაჭვს, არამედ ლომისის მაშენებელ კალატოზისგან შეწირულ ოქროს ჯაჭვს, რომელზეც გადმოცემა შემდეგს მოგვითხრობს: ლომისის უღელტეხილზე წმ. გიორგის სალოცავის მშენებლობისას ხევიდან მლეთაში მოსულა ზაქაიძეების წინაპარი (იგივე ზაგაშვილების წინაპარი. ეს გვარი დღესაც ცხოვრობს ყაზბეგის რაიონში), მიხმარებია მთიულებს არაგვის ჭალიდან მთაზე ქვის მიწოდებაში. სცმია შიგნიდან ოქროქსოვილი ჯაჭვის პერანგი. შეუმჩნევია ლომისის კალატოზს და მშენებლობა შეუჩერებია. ხალხს უკითხავს შეჩერების მიზეზი. კალატოზს კი ხმამაღლა განუცხადებია: სანამ ის ოქროს პერანგი ჩემი არ გახდება, მანამ არ გავაგრძელებ მშენებლობასო. შეხვეწია ხალხი სტუმარს. მასაც დაუთმია ოქროს პერანგი და ლომისაც აშენებულა. შემდგომ უთქვამთ მთიულებს ზაქაიძეთა წინაპრისთვის: გაწეული დახმარებისთვის ამოირჩიე საცხოვრებელი და სახნავ-სათესი ადგილი და მოგეცემაო. მასაც დღევანდელ ზაქათის ადგილზე (დიდვაკეზე) დაუდვია ხელი და ულაპარაკოდ მიუციათ მამული (ჩავიწერე ლექსო ნაზღაიძისგან, ვ. ქ.).

ენის, მიბაძვის ფონს ქმნის თავისფერა, ჯაჭვის ხმარების ღირსი ვაჟკაცისადმი.

თქმულების ერთი ვარიანტით ლომისის ჯაჭვი ბარიდან კისერზე დაკიდებული სალოცავში ამოუტანია ღვთის მონა-მორჩილ დადიანის ქალს. სხვა ვარიანტით — წმინდა გიორგის სასწაულებრივად უხსნია ერთი ქართველი ტყვე და მასაც მადლობის ნიშნად ჯაჭვი, რომელიც ტყვეობაში კისერზე ედო ლომისის მთაზე ამოუტანია.

ჯაჭვზე შექმნილი მრავალი თქმულებიდან საგულისხმოა კიდევ ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვით, აზიაში სალაშქროდ წასული შავშეთელი (ამჟამად ჩრდილოეთ თურქეთი) ყმაწვილკაცი ლომს დაუკბენია. უკან სამშობლოში მობრუნებულს წყლულები გაავებია და სიკვდილის პირას მისულა. მაშინ მკითხავს მისთვის უთქვამს: „ლომის დაკბენილს მხოლოდ ლომისის წმ. გიორგის სალოცავი თუ მოარჩენსო“.

წამოსულა ავადმყოფის და, მოულოცია ლომისის ძლიერი სალოცავი და დაუდვია აღთქმა: „ღმერთო ჩემი ძმა მომირჩინე გაავებული წყლულებისგან და რაც ყველაზე მძიმე რკინის იარაღია ჩვენს სახლში იმას შემოგწირავო. ამის მერე არ გასულა დიდი დრო და ვაჟს ლომისგან მიყენებული ჭრილობები მორჩენია. მის დას კი კისერზე დაკიდებული მძიმე ჯაჭვი მთის ძირიდან მთაზე ფეხშიშველს აუტანია და შეუწირავს ლომისის ეკლესიისთვის.

„ლომისის ჯაჭვის“ მთიულურ ვარიანტში იქ, სადაც წერია „შავეთით გამოგზავნილი შავგვრემანაის ყმისია“ ქსნურ ვარიანტში იცვლება შემდეგი სიტყვებით: „შავშეთით ამოტანილი ლომნაომარი ყმისია“.

მეცნიერი და მკვლევარი სერგი მაკალათია ეხება რა ლომისის ჯაჭვის თემას აღნიშნავს: „ლომისის სალოცავში დევს ჯაჭვი, არავინ იცის ვისია იგი. ამ ქარგაზე იქმნება სხვადასხვა ვარიანტი: ხან ეს ჯაჭვი ლაშქრიდან არის გამოტანილი „შავგვრემანაის ყმის“ მიერ, ხან შავეთიდან არის გამოგზავნილი მის მიერვე. ეს ჯაჭვი ხან იმის ღირსია, რომ მისთვის წითელი ოქრო დასწურონ, ხან კი ამ ჯაჭვზეა ნათქვამი: „დაეხსენ ჯანგმა შეჭამოს ეს მისი საკადრისია“. ამ ჯაჭვს ვაჟის და იცნობს და დასტირის „დედ-მამის დაუჯეროსა, ეგრემც დღე დაადგებაო“*. აქ უკვე სხვა, ჩვენთვის უცნობი ამბის ტრაგიკული დასასრულის დასკვნითი ნაწილია.

---

* ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1932, გვ. 74.

ხალხურ სიტყვიერებაში არა მარტო ჯაჭვის მოტანის ამბავი უკავშირდება შავშეთს, არამედ ლომისის ყველაზე ხსენებული ხატისაც.

„ჩვენი ხატები ვადიდოთ,
ხატები დიდებულია,
ლომისის წმინდა გიორგი
ყველაზე ხსენებულია.
შვიდჯერ ყოფილა ომშია,
შვიდი ათასის მხსნელია,
შავშეთით მობრძანებული
მლეთაში მბრძანებელია.
ღუდ ყოლა წმინდა ვადიდოთ
ღუდაში მბრძანებელია
სუყველა დაულოცნია
სტუმარი, მასპინძელია“.*

ხალხის წიაღში ჯაჭვის თემაზე მრავალვარიანტიან შედევრის შექმნაში უძველეს წარმოდგენებს დიდი ადგილი უჭირავს, თუმც არანაკლები წვლილი ვარიანტულ ცვლილებებში მხატვრულ იმპროვიზაციასა და მიმბაძველობას უნდა შეეტანა.

სალოცავში მისულნი დღესაც ვნახულობთ საყელურიან რკინის ჯაჭვს. რატომღაც ამ ბოლო წლებში გავრცელდა ხმები — ლომისის ჯაჭვის გარკვეული ნაწილის დაკარგვაზე. ასეთივე აზრს ავითარებს გაზეთი „ახალგორი“ (11, 2006 წ., ქსნის ხეობა). „ტაძარში ახლაც ინახება საყელურიანი რკინის ჯაჭვი, საუკუნის წინ 2,80 სმ. სიგრძის იყო და 20 რგოლისგან შედგებოდა. დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჯაჭვის სიგრძე შემცირებულა, მაგრამ რაც დარჩა, ისიც საკმაოდ მძიმეა“.

ჯაჭვი ბოლოს ვნახე და სურათი გადავუღე 2007 წლის ივნისში. სიგრძით ნამდვილად არ არის 2,80 სმ და არც ადრე უნდა ყოფილიყო. რგოლების რაოდენობა კი ოცის ნაცვლად ოცდაერთია. როგორც ირკვევა ხალხში მოარული და გაზეთით გაცხადებული (სტატია გადმობეჭდილია გაზ. „კვირის პალიტრიდან“) სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს თუნდაც იმიტომ, რომ არა მგონია მოიძებნებოდეს სადმე ისეთი ადამიანი, რომელიც ლომისის

* ლექსი ჩაგვაწერინა სოფ. ზემო მლეთაში მცხოვრებმა კაცინა ბეჟანის ძე ბუთხუზმა, ქსნის ხეობაში სტუმრობის დროს 2007 წლის 26 ივლისს.

სალოცავის ხილვის შემდეგ ამ ვანდალობას მოიმოქმედებდა და თანაც რისთვის?!

მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცნობილია ლომისის ჯაჭვის მაგიური — ტრადიციული დანიშნულება, რასაც სალოცავში მისული ყველა მორწმუნე მიმართავს. „თუკი აღთქმა აქვს დადებული ან დადება უნდა, ანდა სურს რაიმე შეევედროს, წმ. გიორგის ამ ჯაჭვს კისერზე იდებს და ტაძარს სამგზის შემოუვლის ლოცვით. ზოგს ეს წარმართობის გადმონაშთი ჰგონია, მაგრამ ეს ასე არ არის. ჯაჭვის კისერზე დადებით წმ. გიორგისთვის ყმობის განცხადების ტრადიცია საქართვლოში სხვაგანაც ყოფილა გავრცელებული. საინტერესოა ისიც, რომ პალესტინაში წმ. გიორგის საფლავის მოლოცვისას პილიგრიმებს სწორედ ასეთი საყელურიანი რკინის ჯაჭვი უნახავთ და ქედზეც დაუდვიათ“*.

ლომისის ჯაჭვის მაგიური ძალა უფრო მეტად დასაოჯახებელ წყვილებს წყალობს. ახალგაზრდებს, რომელთაც აწუხებთ ეს პრობლემა ტაძარში ლოცვითა და კისერზე ჯაჭვდაკიდებით სალოცავის გარშემო სამჯერ შემოტარების მერე უთუოდ დაეხმარება იესო ქრისტე მაცხოვრის მთავარმოწამე — ლომისის წმინდა გიორგი. დაილოცოს მისი მადლი!

ხატ-ჯვრები

ერთობ მყარი გარანტიები ჰქონიათ საიმედო და საიდუმლო სამალავების მოიმედე ლომისის განძის მცველებს. თუმც დრომ აჩვენა, რომ ის გარანტიები, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე წარმატებით მოქმედებდა მურვან ყრუს, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის, ქურდბაცაცა ლეკიანობის დროს ვერ იმოქმედა და ვერ იმუშავა საუბედუროდ ბევრად ახალი ურთიერთობების გაჩენისას, ბატონყმური ჩაგვრის მოსპობისას შედარებით განათლებული და გათვითცნობიერებული საზოგადოების ჩამოყალიბებისას. გაიძარცვა და გაქრა ხატ-სალოცავებიდან ქართველი ხალხის კულტურული ფასეულობები. მათ შორის, ლომისის წმ. გიორგის სახელობის სალოცავიდან, სადაც ვახუშტის თქმით „არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით“.

* გაზ. „ახალგორი“, „შეგეწიოთ დიდი ლომისა“, № 11, 2006 წ.

ქრისტეს პატივისცემიდან და კრძალვიდან გამომდინარე ქსნისა და არაგვის მთიელთათვის დამახასიათებელი ყოფილა, როგორც საერთო ისე სათემო სალოცავებში ხატ-ჯვრების შეწირვა, ხშირად მათი ძვირფასი ლითონებით და ქვებით შემკობა, მოკაზმვა. ამ მხრივ საგულისხმო კორესპონდენციას აქვეყნებს 1882 წლის გაზეთი „შრომა“ (№ 23).

„მე არ მგონია, რომ საქართველოში რომელიმე სალოცავი შეედრებოდათ(!) ამათ (ლომისის წმ. გიორგის და ალევის სამებას, ვ. ქ.*) თავისი სიმდიდრით. მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ მთიელს, როგორც მოგეხსენებათ, გადაჭარბებით უყვარს ოქროულის და ვერცხლეულის შეძენა, როგორც თვითონ უყვარს ოქროთი და ვერცხლით მოკაზმვა, ისე არაფერს იშურებს თავის სალოცავ ხატების მოსაკაზმავად და ამიტომაც მთიელთა ხატები სულ ოქროსა და ვერცხლში ლაპლაპებენ“.

უამრავი ხატ-ჯვარი „ოქრო-ვერცხლისანი“, სხვა უამრავ ფასეულობებთან ერთად გაუტაცია მტარვალთ ლომისისა და ალევის ეკლესიებიდან. ქსნისა და არაგვის ამ ორ სალოცავის ისტორიას წუთით თუ გადავხედავთ დავინახავთ ჩვენი ერის მანკიერებას. მანამდე კი ჩვენზე სამტროდ მოსულ მომხდურთა „უმანკოებაზე“ და უნებლიე სიკეთეზე: „ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუმბათო, ... კარნი აქუს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რაჟამს წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა, უქმნეს კარი ოქროსანი და დასდვეს ურემსა ხარბმულსა, და მოიღო მუნ“** (გვ. 354).

მძარცველი, რომელიც არ არის მოსული არც არაბეთიდან, არც სამარყანდიდან, არც დაღესტნიდან აცოცხლებს ლომისის კარის დაჩეხვის ლეგენდას ალევის სამების კარის მაგალითზე და კიდევ უფრო ბევრად სამარცხვინოა, როცა მტრის ჩამობმულ ოქროს კარებს „მოყვარე“ ხსნის და იპარავს, ხეს კი ნაფოტებად აქუცმაცებს. „ესენიღა იყო დარჩენილი იმ აუარებელი სიმდიდრისაგან,

* ეს ორივე სალოცავი მდებარეობს ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ლომის-ალევის ქედზე. ორივე საერთო სალოცავია ამ ხეობელთათვის. ისტორიულად ლომისაში ინახებოდა არაგველთა დროშა და უფრო მათ ხელდებულად ითვლებოდა, ხოლო ალევის სამებაში ქსნელების დროშა და შესაბამისად ქსნელებისად ითვლებოდა.

** ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 354.

რომელიც ერთხელ ჰქონდა ამ უძველეს ტაძარს (ალევის სამებას, ვ. ქ.) და ეს მცირე დანაშთიც აღარ შეიწყნარა უწმინდურის კაცის მარჯვენამ. ამ რამდენიმე კვირის წინათ ვიღაცას გაუტეხია ეს ეკლესია: ოქრო და ვერცხლი სულ მთლად შემოუძვრიათ კარებისათვის და ხატებისთვის და ცალიერი ფიცრები ნაფოტებად უქცევიათ და იქვე დაუყრიათ“*.

არ არის გამორიცხული დუშეთის მაზრაში ჩადენილი ამ ვანდალიზმის ჩამდენს ლომისის სიწმინდეებიც მოესპო.

მთლად წყალში არ ჩაყრილა და არ გამქრალა წინაპართა ნაღვაწ-ნაამაგარი. იმედად დღემდე თითო-ოროლა ხატ-ჯვარი კიდევ არის შემორჩენილი ლომისის წმინდა გიორგის სახელობაზე. მათი ნაწილი დავანებულია საქართველოს მუზეუმებში, ნაწილი კი სოფ. მლეთას ამავე სახელობის სალოცავში, საიდანაც დღესასწაულის წინა სამშაბათ დღეს, „ფერხისას“, სიმღერით მიაბრძანებენ ლომისის მთაზე. ასევე ერთი ვერცხლის ხატი „წმინდა გიორგი“ და ორი წარწერიანი საწინამძღვრო ჯვარი, დაბრძანებულნი არიან ქსნის ხეობის სოფ. თინიკაანის (ყოფილი სახევისთავოს ცენტრი) ერთაბრძანებულების სალოცავში, საიდანაც ასევე დღესასწაულის წინა დღეს დეკანოზ-მეხატენი, გალობით მიაბრძანებენ ლომისის მთის ძირში არსებულ ლომისის წმ. გიორგის სალოცავში.

ლომისის სიწმინდეები, უფრო „სრულად“ წარმოდგენილია სოფ. ქვემო მლეთას ამავე სახელობის სალოცავში.

ცნობილი მეცნიერი სერგი მაკალათია 1928-30 წლებში მთიულეთში მსახურობდა და ამავე დროს იკვლევდა ამ საინტერესო კუთხის ისტორიას. ცხადია, მისი ყურადღების არეალში მთიულეთის უპირველესი სალოცავიც მოექცეოდა. მეცნიერი იმ ხნობას სოფ. ქვემო მლეთაში არსებულ ლომისის წმ. გიორგის სალოცავში ასახელებს ლომისის დროშასა და ალამს. დროშა წითელი ნაჭრებითა და ზანზალაკებით ანუ მინიატურული ზარებით ყოფილა შემოსილი. ალამი კი სამფეროვანი: წითელი, თეთრი და ლურჯი ყოფილა. წითელი ფერი აბრეშუმის, თეთრი და ლურჯი სატინის. ალამს წვერზე შუბიანი თითბერის ბურთი კეთებია შემდეგი წარწერით:

„ალამი არაგვისა და ქსნის ლომისის წმ. გიორგისა სახელზედა შეეწიოს მათი სოტნის კამადერი ბაადურ კაზიბეგი ჩყნთ (1859) წელსა თიბათვ-ვსა (6) დღესა“.

---

* გაზეთი „შრომა“, 1882, № 23, გვ. 3-4.

მლეთაში არსებულ ლომისის სალოცავში დროშა-ალამის გარდა მეცნიერი ლაპარაკობს იქ დავანებულ ხატ-ჯვრებზეც: „ლომისის ხატები (ჯვრები) ვერცხლითაა მოჭედილი და უბრალო ფერადი ქვებით შემკულ ორ მათგანს ხუცური გვიანდელი (მე-17 საუკუნე) წარწერა აქვს, სადაც ბურდულის გვარია მოხსენიებული. მესამე ხატი, რომელიც ლომისის ძველი ხატის ანალოგიას უნდა წარმოადგენდეს უწარწეროა*.

ლომისის ინვენტარის ნაწილი დღეს დაცულია საქართველოს მუზეუმში როგორც ჩვენი ეროვნული საგანძურის ნაწილი. მათგან ერთი ვერცხლის კანდელია, რომელიც ლომისისთვის შეუწირავს ერეკლე II-ის რძალს — ქეთევანს. წარწერაში ქეთევანი მთავარმოწამეს შვილიერებას ასე შესთხოვს:

„ღვაწლით შემოსილო უძლეველო დიდო მოწამეო, მხედარო უფლისაო გიორგი, მე შენმა მსასოებელმან: და მხევალმან მუხრანის ბატონის კონსტანტინეს ასულმან და რძალმან მეფის ირაკლისამან ქეთევან, შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი კანდელი ვერცხლისა ვითა მწვლილნი მდედრისანი: ლომისის წმინდის გიორგის ეკლესიას და გულისა ჩემისა თხოვითა აღნთებულმან ესე უკუ მაგალითად ვიქმენ აღსანთებლად რათა მოსცე მეფის ირაკლის ძეს ბატონის შვილს ვახტანგს შვილიერება და მოანიჭო ძენი და ასულნი ვითარ იგი სამარადისოობს უკუ ზესთა სასწაულნი და მეცა მხევალსა მომეც ნაწილი მადლთა შენთა სულთა ჩემთა საოხად. იულის კა (21) წელსა ჩღპთ (1789 წ.) ქ. კ. ნს უო ̄ზ (477)“.

ამავე კანდელის მეორე მხარეზე იგივე ტექსტია განმეორებული, რომელიც ასე იწყება: „სისხლისა დათხევითა ძისა ღვთისა ხორცქმნილსა შემძინებელო ღვაწლით შემოსილო უძლეველო დიდო მოწამეო მხედარო უფლისაო გიორგი, მე შენმა მსასოებელმან და მხევალმან მუხრანის ბატონის“... და სხვა.

აღნიშნული წარწერები დასტურია იმისა, რომ ქართლის სამეფოს ელიტარულ წრეებში იყო დიდი რწმენა და ნატვრა იმისა, რომ გაეზარდათ შვილები მართლაც ამ ღვაწლით შემოსილი უძლეველი მთავარმოწამის კედლიდან ჩამოფხეკილი კირის წყლით რძე მოცემულთ.

ლომისის ინვენტარზე გაკეთებულ წარწერებში ძირითადად მოსხენიებული არიან არაგვის ერისთავნი.

❖ თასი ვერცხლისა, დიამეტრი 13 სმ. წარწერით: „ქ. შემოგწი-

* ს. მაკალათია, „მთიულეთი“, თბ., 1932, გვ. 171.

რე ეს თასი: არაგვის ერისთავმა: ჩოლოყაშვილმა: ჯიმშერ: (+1756) ლომისის წმიდას გიორგის: ჩვენდა მოსახსენებლად:“

❖ ვერცხლის ფეხიანი ფიალა დიამეტრი 12 სმ წარწერა: „ქ. შემოგწირე დიდებულს ლომისა მთავარ მოწამეს წმიდას გიორგის არაგვის ერისთავმა ბეჟან“ (ერისთავობდა 1742-1743 წწ.).

❖ ჯამი ვერცხლისა, დიამეტრი 11 სმ. შემდეგი წარწერით: „ქ. მე არაგვის ერისთავის ოთარის შვილმა გიორგიმ და ბარძიმ შემოგწირეთ ჯამი ესე წმიდას გიორგის ლომისა მთავარმოწამეს ჩვენდა სამწყალობნად და სადღეგრძელოდ (ცხოვრობდნენ მე-18 საუკუნეში).

❖ თასი ვერცხლისა, დიამეტრი 13 სანტიმეტრი, გარშემო ასეთი წარწერით: „ქ. ესე თასი შემოგწირე მე არაგვის ერისთავის შვილმა სარიდან და მეუღლემა ჩემმა როდამ თქვენ დიდებულს წმინდას გიორგის ლომისა მთავარმოწამესა სულსა ჩვენისა სალხინებლად და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად, ამინ. ასე რომ ამოწყვეტილნი და გარდაცვანილი. ჯხეს (თუ ჯეხეას?) ციხეში ვიდექით ხელმწიფის ჯარი მოვიდა და შემოგვადგა თოფხანითა. ოთხს თვესა შენის მოსები მშვიდობით გამოვედით. ვინც წაიკითხევდეთ შენდობას გვიბძანებდეთ ქ-კს უ-ლგ (433) = 1745 წ.

თასზე ამოჭრილია ცხენოსანი წმ. გიორგი, რომელსაც უკან ადამიანი უზის, შესაძლოა თვით სარიდანი) და მიჰქრის.

რაც შეეხება ქარჩოხის ყოფილ სახევისთავოს ერთაბრძანებულების სალოცავში დაბრძანებულ ხატ-ჯვრებს მართლაც ღირს-შესაფერისნი არიან დიდმოწამე უფლის მხედრის გიორგის სახელისა.

❖ ხატი ვერცხლის (ზომა 45X36 სმ.), მთლიან ფართზე გამოსახულია ცხენზე მჯდომი წმ. გიორგი, რომელიც შუბით კლავს ფეხქვეშ დანარცხებულ ურჩხულს.

❖ ჯვარი ვერცხლის (ზომა ტარით 40X20 სმ.), ჯვარსა და ტარს შორის გაკეთებულ ბურთულაზე იკითხება მხედრული წარწერა: „ქ. უფლ. თ(ი)ბათვის მე ვარ ლომისა მთავარ მ(ო)წამე, წმინდა გიორგი. ჩაველ ხორას(ა)ნს წვ(ა)ლებით მოველ მოგებით. გ(ა)უკეთებივარ პავლეთ შვილებთ თავისი საქონლიდამ“.

❖ ჯვარი საწინამძღვრო შემკული თვლებით. ტარზე ასომთავრული წარწერით. რესტავრირებული. (ზომა 59X44 სმ.)

ამ ხატ-ჯვრის წინ წამძღვარებით, დროშებით ხელში, დეკანოზ-მეხატენი გუნდთან ერთად სიმღერით მიემართებოდნენ ლომისის მთის ძირში არსებულ წმ. გიორგის მთავარ ნიშთან (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დღეს იქ უკვე ეკლესიაა).

ბერები

ყველა დროის საქართველოში, მონასტრები წარმოადგენდნენ არა მარტო ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და ერთი რომელიმე წმინდანის სახელობის სადღესასწაულო ობიექტს, არამედ მეტნაკლები შემოქმედებითი ძალის სწავლა-განათლებისა და ეროვნული კულტურის ცენტრს.

არაგვისა და ქსნის ხეობებზე არსებული სამონასტრო კერები: ანანური, წილკანი, ლარგვისი, ყანჩავეთი, მუხრანი, ლამისყანა კულტურის შესანიშნავ კერებს წარმოადგენდნენ. მათ შორის, საპატიო ადგილი ქსნისა და არაგვის უპირველეს და უწმინდეს სალოცავს, ამ ორ ხეობათა ზეკარზე აგებულ ლომისის სამონასტრო კომპლექსს ეკავა.

სიტყვა მონასტერი — ასოცირდება და მივყავართ ბერებთან, მწიგნობრებთან, კალიგრაფისტებთან, მათი სახელები კი პირიქით, მონასტრებთანაა გაიგივებული. გადმოცემით ლომისის მთის ამ ზეკარზე სამასზე მეტ ბერს უცხოვრია. ამ ადგილების კარგად დათვალიერების შემდეგ (ზაფხულით და შემოდგომით შამბით არის დაფარული) მნახველს კიდევაც ეცოტავება ბერთა რაოდენობა. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ვახუშტი ბატონიშვილამდე (მე-18 ს. დასაწყისამდე) ლომისაზე ბერების ავანგარდში გვარად კეკიშვილი მდგარა. უფრო ადრე კი გაგაძე.

„ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად, მეტწილად ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა, მათ გადაწერასა და მოვლა-პატრონობაზეც მონასტრის მესვეურები ზრუნავდნენ. მონასტერთანვე არსებობდა სკოლა, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ იმ ბავშვებს, რომლებსაც მომავალში სასულიერო მოღვაწეობისთვის ამზადებდნენ. მათ მასწავლებლებად ბერ-მონაზვნები ჰყავდათ“*.

ამ თვალსაზრისით გამოდის, რომ ლომისაზე 300 ბერის თუნდაც 30% პოტენციური მწიგნობარ-გადამწერი, უკიდურეს შემთხვევაში წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ, ადვილი წარმოსადგენია უცოდინართა ზღვაში რა მასშტაბის საგანმანათლებლო კერა იქნებოდა ლომისის მთავარმოწამე.

---

* რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 22.

„ძველთა მონასტერთა და უდაბნოთა შთაბერეს საქართველოს ერს ის ძლიერი სული და საარაკო მხნეობა, რომელსაც საუკუნეთა გრძელს მანძილში ამაოდ ებრძოდა მთელი ძალა და მანქანება ამ ქვეყნისა: მთელის დედამიწის ამრევ-დამრევთა, დამპყრობელთა და მბრძანებელთა საქართველოს მცირე ერი ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდათ, თუ რომ ეს სჯულისა და ქრისტესთვის მებრძოლი მხედრობა, რომელსაც მუდამ წინ უძღოდა **ბერი ჯვარის მტვირთველი**, არ ყოფილიყო აღფრთოვანებული მონასტერ-უდაბნოთაგან შთაბერილის სარწმუნოების ძალით“. საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, თამარ შაკიაშვილი. — ჟურნ. „რწმენა და ცოდნა“, 5(9) 2001-2002, გვ. 32.

მარანი

გარდა სალოცავისა და მასში დაცული რელიკვიებისა (კარები, ჯაჭვი, რკინის ქალამნები) მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სამხრეთით მდგარი სამრეკლო, მარანი, ქვევრები და სხვა დანიშნულების ნაგებობანი: ზურგიანი ციხე-კოშკი, ბერთა სადგომები, აკლდამები, ორმო-ბეღლები* და კიდევ სხვა ე. წ. „გარე ნაგებობები“, რომლებიც თავის დროზე იმ სოფელთა და გვართა სათევ-სადგომი სახლები ყოფილა, ვისაც კი მონაწილეობა მიუღია ლომისის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში.

კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მოთავსებულია თაღოვანი სათავსი, რომელსაც კარები დატანილი აქვს სამხრეთით. იატაკი ქვაფილებისაა. კედლებს ჯერ კიდევ აქა-იქ ბათქაშის ფრაგმენტები შერჩენია. აღნიშნული მარანი გასული საუკუნის 60-იან წლებში უნახავს, აღუწერია ცნობილ მეცნიერს ჯონდი გვასალიას**. მისივე თქმით: „ჩრდილოეთის კედლის შელესილობაზე ხუცური

* კარგი ჯიშის ხორბალი ხელსაყრელ ნიადაგურ პირობებში 15 წელი ინახებოდა. ხორბლის ორმოს გლეხი შეუმჩნეველ, შენიღბულ ადგილზე ინახავდა, რათა მტრისთვის მიუგნებელი ყოფილიყო. ტყეში გახიზნულ და სახლკარაკლებულ კაცს კვლავ რჩებოდა იმედი სამომავლოდ ცხოვრების გაგრძელებისა, ხვნა-თესვისა, რადგან ხორბლით სავსე ორმოები ეგულებოდა.

** ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ძეგლები, ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, № 21, თბ., 1970, გვ. 17.

წარწერაა, რომელიც აღდგენილი სახით შემდეგნაირად იკითხება: „სახელითა ღვთისაითა ესე მარანი აღვაშენე სუნტის ძემ მახარობელმან“.

ირკვევა, რომ არა მარტო ეს მარანი აუშენებია მახარობელ სუნტის ძეს და „მის შვილთა“, არამედ ლომისის კარიც მასვე შეუჭედინებია, რომელიც დღეს უყურადღებობით ნადგურდება ლომისისავე კარზე, ჩვენ თვალწინ.

დღესდღეობით არავის შეუძლია თქვას თუ რა ტევადობის ან რა რაოდენობის ქვევრია დაფლული ლომისის კარზე. როგორც ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უფრო ქსნის, ცხავატური ქვევრია გავრცელებული. ბარში კი დიდი ტევადობის — იმერული ქვევრი.

ლომისის სამონასტრო კომპლექსი არქეოლოგიურად შეუსწავლელია, რის გამოც როგორც ბევრ რამეზე მარანზეც და მის ატრიბუტებზე მხოლოდ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, მათზე ზოგიერთ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის:

„და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუალ არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“*.

ვახუშტი აქ არ ასახელებს ვენახების გეოგრაფიულ მდებარეობას, მაგრამ გვისაბუთებს ვენახების ფლობის ტრადიციებს „აქა და ლომისას“, რაც ფართოდ ყოფილა მთიანეთში მიღებული როგორც მასშტაბურ ისე ლოკალურ სალოცავებში.

ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ლომისის ქვევრებში 12 ათასი ლიტრი ღვინო ეტეოდა. რითაც ადგილობრივ მღვდელმთავრებს რამდენჯერმე უღელტეხილზე გადამავალ მეფის არც ისე მოკრძალებული მხედრობისთვის გვარიანი მასპინძლობა გაუწევიათ. ქვევრებთან ერთად ჰქონიათ ხორბლის შესანახი სამალავი ორმობეღლები (ხორბალი აუღიათ მამულების შემოსავლებში), უფქვავთ როგორც წყლის ისე უწყლო წისქვილით — ჯორ-მოზვრით. უთესიათ ქერი და ფეტვი, უცხვიათ არყის და დეკის ფიჩხით, ადგილზე (ზამთარში) ჰყოლიათ ქათამი და ფუტკარი.

---

* ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 355-56.

ჩვენ დროში ლომისის დღესასწაულზე მიმავალ მლოცავთ შეშა და წყალი საკმაოდ დაბალი ადგილებიდან მიაქვთ, რადგან უღელტეხილზე სალოცავთან არც ერთია და არც მეორე. ბუნებრივია, ყველას დაებადებოდა კითხვა, საიდან და როგორ მარაგდებოდა წყლით 300 ბერი ან იქ მდგარი სათვალთვალო ციხე-კოშკის გარნიზონი.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამ ვეება მთის წვერზე წყლის მიწოდება ხდებოდა წინაპრებისთვის კარგად ცნობილ „მახარეს“ საშუალებით*, რომლის რეალიზაციის შანსს იძლევა სალოცავიდან 300 მეტრის ქვევით, სამხრეთით მთის 70^0-ით დახრილი ფერდობიდან გამონადენი წყარო, თუმც აღნიშნული ხერხით წყლის მომარაგების საკითხი გამორიცხა ჩვენ მიერ მოკვლეულმა საველე-ეთნოგრაფიულმა მასალებმა.

რესპონდენტთა თქმით, ლომისის უღელტეხილზე მდგომი სასულიერო და საერო პირები სარგებლობდნენ ლომისის ზურგიანი ციხე-კოშკის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 100 მეტრში გამონადენ წყაროს წყლით, რომელიც თიხის მილებით ჰქონიათ გაყვანილი სამრეკლოდან, დასავლეთით, 30 მეტრში**.

იმავე მთხრობელის თქმით აღნიშნული წყარო XX საუკუნის 40-იან წლებში სამხრეთით მთის ფერდობიდან მეწყერის ჩამოწოლის მერე დაკარგულა. ჩანს მიწის ფენებმა განიცადეს გარკვეული დეფორმაცია, რამაც ჩაკეტა წყლის ძარღვი და წყაროც დაშრა.

მრევლი

ათასწლეულის წინ, ლომისის წმ. გიორგის სალოცავის დაფუძნებისთანავე ჩვენი არაგველი და ქსნელი წინაპრები შეთანხმებულან, რომ ყველანაირ ასპექტში, მწერლობასა თუ ლოგიკაში ლომისის წმ. გიორგისთან დაკავშირებით ჯერ უნდა ხსენებულიყო ყოველთვის ქსანი მერე არაგვი. „ძველთაგანვე ასეა დაკანონებული, ჯერ ქსანს იტყვიან, მერე არაგვს, ქსნისა და არაგვის ძალთა მბრძანებელო ლომისის წმ. გიორგი-ო და ასე შემდეგ“. —

* იხ. ილია ადამია, წყლით მომარაგება ძველ საქართველოში. თბ., 1954.
** მთხრობელი კოფინა ბურდული, ლომისის დეკანოზი. სოფ. ზემო მლეთა.

გვეუბნება სოფ. ზემო მლეთის მკვიდრი, ლომისის დეკანოზი კოფინა ბურდული. ჩვენ შემთხვევაშიც ასე ცხადდება თუ არ ჩავთვლით ზოგიერთის გაუთვითცნობიერებელ მსჯელობას, მიუხედავად იმისა, რომ მამა-პაპიდანვე ლომისის სალოცავი მიიჩნეოდა არაგვის დროშის საბრძანისად, ხოლო ალევის ოქროსკარებიანი სამება ქსნის დროშის საბრძანისად. ამ მხრივ საგულისხმო კორესპონდენცია დაიბეჭდა მე-19 საუკუნის პრესაში:

„ამ ორ ხატს არა მარტო მისტიკური, უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში. ქსნის დროშა სამებაში იყო, არაგვისა — ლომისაში. რომელთა წმინდა ფრთეს ქვეშ იყრიდნენ ხოლმე თავს მამაცნი გმირნი“*.

როგორც ცნობილია, ხალხის დიდი ნაკადი ლომისის სალოცავში ჩრდილოეთის გზით არაგვიდან უფრო მიდიოდა, ვიდრე სამხრეთიდან, რაც დამოკიდებული იყო მთელ რიგ გარემოებებზე**, კერძოდ: ლომისის უღელტეხილი და იქ არსებული სალოცავი თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით მეტად მოსახერხებელი იყო მრევლისთვის.

ლომისის უღელტეხილის სამხრეთ კალთასთან შედარებით ჩრდილოეთის კალთა ბევრად უფრო ადვილად დასალაშქრია, იმდენად, რამდენადაც დიდთოვლობისას შეიძლებოდა სოფ. მლეთადან ასვლა ახალი წლის დღეებში. ეს რიტუალი სრულდებოდა 1876 წლამდე, სანამ ქვემო მლეთაში აიგებოდა ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

სამხრეთ კალთიდან ოხირიდან — არახვეთში გადასვლა წყალგამყოფი ქედის გადავლით ზამთარში მოსახერხებელი იყო მხოლოდ თოვლის არხილობისას.

---

* გაზ. „შრომა“, № 23, 1882 წ.

** აღმოსავლეთ საქართველოს ის ტერიტორია, რომელიც ითვლებოდა ლომისისა და ალევის სამების საყმოთა საცხოვრისად, შედიოდა წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოსოში. კერძოდ, ქსნის ხეობის მარჯვენა და მარცხენა მხარე სოფ. კორინთის ზევით სამთავისის სამწყსოში, ხოლო ქსნის მარცხენა მხარე და არაგვი წილკნელის სამწყსოში XVII ს. წილკნელის სარგოს გარიგების წიგნიდან ჩანს, რომ იმ დროისთვის წილკნელის უფლებები ვრცელდებოდა მხოლოდ ანანურამდე, მაგრამ იმავე წიგნიდან ვგებულობთ, რომ ანანურის ზემოთ მთიულეთი ხევს გარდა გაქრისტიანებული იყო იესე წილკნელის მიერ და მაშასადამე, წილკნელის სამწყსოში შედიოდა.

გარდა ამისა, თვითონ თერგის ხეობა, შემდეგ ჯვრის უღელტეხილის გადმოვლით არაგვის ხეობა და იქ არსებული გზები უძველესი დროიდან ყველაზე მობილური საკომუნიკაციო არტერია იყო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის (ჩრდილოეთიდან ლომისაში სალოცავად მოემართებოდნენ როგორც მოხევეები, ისე ოსები და იარაღით, ცხენის აღკაზმულობით მოვაჭრე ქისტები).

ჩრდილოეთის გზით ლომისის სალოცავში მრევლის მოზღვავებას ხელს უწყობდა სხვა გარემოებანიც. კერძოდ, უკეთესი სავალი გზა არაგვის ხეობის მთელ სიგრძეზე, — ვიდრე სამხრეთით ქსნის დინებაზე, რის გამოც კასპი-სამუხრანოს მიმდებარე სოფლებიდან მლოცავი ჩარდახიანი ურმებით და სხვა სახის ტრანსპორტით ყოველთვის არაგვის გზით არჩევდა წასვლას. პარალელურად ქსანზე, XVIII საუკუნეში არსებულ გზაზე ლომისამდე მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის გერმანელი მოგზაური, ი. ა. გიულდენშტედტის ჩანაწერი:

„მთელი გზა ახალგორიდან ლარგვისამდე მიემართებოდა ჩრდილოეთ — ჩრდილო-დასავლეთით და არის 4 საათის სავალი ანუ 20 ვერსი. გზა მიდის კირქვიან კლდეებში, უმთავრესად ნავთობიან მიდამოზე და არს ისე ვიწრო, რომ ურემს ვერ დაიტევს“*.

ისედაც მოუწესრიგებელ და ვიწრო გზას კიდევ უფრო ავერანებდა და გამოუყენებელს ხდიდა მდ. ქსანის სათავეებში რამდენიმე მეტრი სისქის თოვლისა და ყელის ტბის ყინულის დნობა. ახალგორს ზევით გზების უვარგისობაზე წერდა 112 წლის წინათ ქართული პრესაც:

„მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ ახალგორის ზევით მთაში მცხოვრებნი! იმათთვის არსად მიწის მოსავალი, არსად გზა, არსად კვალი. ნამეტან წელს (1896 წ., ვ. ქ.) გაზაფხულ-ზაფხულის წვიმებმა ზოგან ქვეითად გასავალი ბილიკიც კი მოსპო. ისე შეავიწროვა მთაში მცხოვრებნი, რომ დიდის ვაებით, გარდა ურმით შეშის ზიდვისა — ცხენით ბარიდამ ჭირნახულის აზიდვისა შეუძლებლად ჰყო ქვეითად სიარული და ბევრ მთიულს დააფრქვევინა მწარე ცრემლი“**.

---

* გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა; ტ. I, 1964, გვ. 152.

** გაზ. „დროება“, № 173, 1885 წ., გვ. 2.

ლომისის მთაზე დავანებულ მთავარმოწამეში მისასვლელად სამხრეთის გზით სარგებლობდნენ შიდა ქართლის ზემო ნაწილის მთა და ბარის, ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ხეობებში არაკომპაქტურად მოსახლე მრევლი. სწორედ მათ საკულტო ყოფით ტრადიციებში ერთ-ერთი ღრმა კვალის გავლება ლომისის წმ. გიორგის სალოცავს ეკუთვნოდა.

ლომისის მრევლის გარკვეულ ნაწილს ეროვნებით ოსი მოსახლეობა წარმოადგენდა. მის დღესასწაულზე ჟამურის, ჭურთის და ქნუღის ოსობა ძირითადად უღელტეხილზე მთავარ ტაძარში დაიარებოდა* ქსნის სათავეებში მცხოვრები ოსები თავიანთ სათემო სალოცავ ალავერდს (ალარდს) ლომისის წმ. გიორგის თანამებრძოლად** და მეზობლად (ერთმანეთთან დაახლოებით 7-8 კილომეტრში მდებარეობენ) თვლიდნენ და ამიტომაც უფრო ლოცულობდნენ ლომისაში. ასევე დღესასწაულზე ოსთა დიდი ნაკადი დაიარებოდა დღევანდელი ჩრდილო ოსეთის სამხრეთ რაიონებიდან. ისინი იშვიათად თუ ადიოდნენ ლომისის მთაზე — „წვერის ლომისაში“. ძირითადად კმაყოფილდებოდნენ მლეთის წმ. გიორგის მოლოცვით.

სამზადისი

სიცოცხლის მთელ მანძილზე ქსნელი და არაგველი კაცისთვის ლომისის წმ. გიორგი უზენაესობისა და უწმინდესობის აბსტრაქციულ მცნებას წარმოადგენდა. სოფლის კაცი, სამწყემსურში იქნებოდა თუ სხვა რაიმე საქმეზე, უნდა ცდილიყო, რომ ის დღე ლომისის სალოცავისთვის თვალშეუვლებად არ დაეღამებინა (რა

* ქსნის ხეობაში ჩამოსახლებული ოსების, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში: თრუსოს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები ოსების ყოფის შესახებ შეკრებილი მასალები გადმოცემული აქვს ვლ. ითონიშვილს სპეც. მონოგრაფიაში. „კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა“, I, 1969.

** ოსთა გადმოცემით „ალარდი“ იგივე ალავერდი წმ. გიორგის მსგავსად იბრძოდა ქრისტიანთა მტრების წინააღმდეგ. ომში ალარდმა ფეხები დაკარგა, რის შემდეგაც მას სანთლის ფეხები გაუკეთეს. ალარდს ფეხები რომ არ დაწვოდა, ჟამურის ოსები მის დღეობაში სანთელს არ ანთებდნენ. კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ საკმევლის მოკმევით.

თქმა უნდა, გამომდინარე სოფლის გეოგრაფიული მდებარეობიდან). დღე, რომელსაც თუნდაც შრომაში, ლომისის დაუნახავად გაატარებდა ცუდი და უბარაქო იქნებოდა*.

დიდი ლომისის დღესასწაულის საკადრისად დახვედრისთვის მრევლი წლიდან-წლამდე ემზადებოდა. უნდა დაეყენებინა სალომისოდ კურატი (მიღებული იყო ლომა** მამალი ხბო) ყოჩი ან მამალი თოხლი, ბატკანი (წითელი ფერის შესაწირს უფრო „ყაბულობდა“ ხატი), იშვიათად მამალი ქათამი. მთიული კაცი ფურის პირველ მონაგებს „პირველა“ ხბოს, დედალი იქნებოდა თუ მამალი*** ლომისის სახელზე დააყენებდა. შემდეგ ან ლომისაში, ან ხბორობის ასაკში მისსავე სახელზე, ოთხშაბათ დღეს სახლში დაკლავდა (ლომისაში არ იკვლებოდა დედალი საქონელი) სალოცავის სახელზე პირუტყვის „დაყენებისას“ პატრონი სასმელით ხელში დაილოცებოდა, შესთხოვდა წმ. გიორგის საქონლისა და ხალხის გამრავლებას, კარგად ყოფნას, ბარაქას. სანთლით მარცხენა ბეჭს და ყურს შეუტრუსავდა, რის შემდეგაც ოთხფეხი სალომისოდ, „დაყენებულად“ ითვლებოდა****.

მთიელთა ზოგიერთი წეს-ჩვეულება ლუდთან იყო დაკავშირებული. სტუმრის პატივისცემა, წაკიდებულთა შერიგება, „მეკოდეობა“, „ხარით შეყრილობა“, დალევაში შეჯიბრი და სხვა.

ყველაზე შრომატევად საქმედ და საპატიო მოვალეობად მთაში ითვლება სალომისოდ ლუდის ხარშვა. ზოგჯერ ოჯახს 300 ლიტრამდე ლუდი და 50 ლიტრი არაყი უნდა დაემზადებინა.

ლუდის მოსახარშად სვია ქსნის ზემო წელის სოფლებში მცხოვრებთ „მურვლის“ ტყიდან (სოფ. თინიკაანის ჩრ. დასავლეთით) ან ქართლის ბარის სოფლებიდან უნდა მიეტანათ. მართალია, ლომისის უღელტეხილზე წმ. გიორგის სალოცავში უნიკალურ მარანთან, საქვაბესთან ერთად ლუდსახარშიც ჰქონია, მაგრამ

---

* მთხრობელი სანდრო გიგოს ძე თინიკაშვილი, დაბ. 1903 წ., სოფ. თინიკაანი.

** ლომა ამ შემთხვევაში თეთრად-ჭრელი.

*** მამალ საქონელს არქმევდნენ: ზორას, ჯორას, ხშირად ლომას, თუ თეთრად ჭრელი იყო. დედალს არქმევდნენ: ხატულას, ტაბლიას, ღვთისნულას.

**** სალომისო კურატის ტყავით ქალამნების ამოსხმა იკრძალებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხარის ტყავი საუკეთესო ნედლეულად ითვლებოდა და ერთი ჭედილა ღირდა (მთხრობელი მიხა თედოს ძე ბალაშვილი, დაბ. 1909 წ. სოფ. ბალაანი).

მლოცავს ტრადიციისამებრ სხვა სასმელებთან ერთად სალოცავის სახელზე აუცილებლად ლუდი უნდა მოეხარშა.

გარკვეული წვლილი ლუდის ხარშვის კულტურის დახვეწაში ლომისის სალოცავსაც მიუძღვის სხვა სათემო თუ სასოფლო სალოცავებთან ერთად. ამ მხრივ რელიგიურმა სექტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამიტომაა, რომ დღესაც ლუდმა მთიანეთში ძველებურად საკრალური დატვირთვა შეინარჩუნა.

მთაში სტუმრისთვის დიდ პატივად ითვლებოდა სალომისო ლუდით გამასპინძლება.

ასევე ლუდით სავსე ჯამებით ხელში ხდებოდა განიარაღების (ქამარ-ხანჯლის მოხსნის) შემდეგ მოქიშპეთა დაზავება და შერიგება ლომისის სასწაულმოქმედ ხატზე „იმედის დაყრით“ და ლომისის მადლის დაფიცებით.

აღსანიშნავია, რომ მტრის მოსაგერიებლად რამდენიმე სოფელი „მეკოდედ“ ერთიანდებოდა, რაც ითვალისწინებდა ერთმანეთის დახმარებას. სოფლების შეკავშირების ცერემონიალისას ყველასგან დაფიცებულ და დალოცვილებისგან ერთდროულად ლუდით სავსე კოდიდან ხდებოდა სასმელის დალევა.

ასევე ლუდით სრულდებოდა ერთი ან რამდენიმე გვარის ხალხის ერთ რომელიმე გვარზე გადასვლა. გვარის მიმღები კლავდა ხარს, ხარშავდა ლუდს და ლუდით სავსე კოდთან ახდენდა დაფიცებას, რომ ამის იქით, მიღებული გვარის გამგრძელებელი, სალოცავთა დამცველი და ქალ-რძალის დამნდობი იქნებოდა.

საინტერესოდ ხდებოდა დალევაში გამარჯვებულის გამოვლენა. ლუდით სავსე ქვაბში ან ფართოყელიან ჭურჭელში ერთ ნაპირზე ჩააგდებდნენ ჩალის ღერს, მეორე ნაპირზე სასმელს დაწაფებულ პრედენდენტს მანამდე უნდა ესვა შეუსვენებლივ ლუდი, სანამ ჩალის ღერი მასთან არ მიცურდებოდა. პირით დაიჭერდა ღერს და როგორც გამარჯვებული წამოდგებოდა „პირში ჩალაგამოვლებული“ — კარგი გაგებით.

დღესაც შეურყეველ ტრადიციად რჩება როგორც მთიულეთში, ისე ქსანზე სალომისოდ ლუდის ხარშვა და ზედაშედ დაყენება. მისი ხარშვის საუკეთესო მცოდნენი მთიულეთში ბევრი გვარია. ქსანზე კი ოსურ ლუდს არაფერი შეედრებოდა.

სიტყვამ მოიტანა და ვახსენეთ „ზედაშე“. სალომისო ზედაშე-

თა არასრულ ჩამონათვალში ფიქსირდება: ლუდის, ღვინის, არყის, ერბოს, ფქვილის, სანთლისა და თაფლის ზედაშეები.

სალომისოდ მისივე ერბოს ზედაშეთი, კეცში ცხვებოდა „სამწყალობნო“ ქადა, „ბიჯისთვის“ რამდენიმე გულიანი ქადა და „ფურქადა“, რომელიც ლომისის სახელზე საქონლის გამრავლების სავედრებლად კეთდებოდა. „ფურქადას“ ამავდროულად საკრალური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ის ითვლებოდა ლომისის ძღვნად, ფურების ნაწველ-ნადღვების ბარაქის მომცემად.

პროცესია „აისი“

როგორც ლომისის უღელტეხილზე, ისე სოფელ ქვ. მლეთაში ლომისის წმ. გიორგის სახელობის სალოცავში დეკანოზობა ბურდულების კითხულია, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთიდან ლომისის მთის ძირში ადრე არსებულ ნიშთან, დღეს უკვე ეკლესიაში მისულ ათასობით მრევლს დეკანოზობენ და ლომისას მსახურობენ ქსნელები გვარად პავლიაშვილები. მათთვის მინიჭებული დეკანოზობის ერთგვარი „ავტონომია“ ძველი დროიდანვე აძლევთ უფლებას მოახდინონ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული საკულტო-სარიტუალო ტრადიციების რეალიზაცია ლომისის სადიდებლად. წინაპართაგან „დაწერილი სცენარი“ ქსანზე შემდეგნაირად სრულდებოდა.

ლომისის დეკანოზ პავლიაშვილების სამკვიდრო ქარჩოხის თემის სოფელი პავლიანია. პავლიანსა და მის მეზობელ (1000 მ-ში) სოფ. თინიკაანს შორის მდებარეობს სათემო სალოცავი „ერთაბრძანებულება“ (აგებულია XIX ს. 80-იან წლებში), რომელიც არის მემკვიდრე ადრე ფეოდალური ხანის ქარჩოხის სახევისთავოს ძველი სალოცავის „ერთაბრძანებულებისა“. მემკვიდრე მისი ხატ-ჯვრებისა, საგანძურისა, საკულტო-სარიტუალო ტრადიციებისა. უპირველესად მემკვიდრე იმ სალოცავის მისიისა, რომელიც ახდენდა ფოკუსირებას სახევისთავოს საერო-სასულიერო ცხოვრებაზე.

ამ ძლიერი სალოცავის „ფრთეებ ქვეშ“, სახევისთავოს სალოცავთა დანარჩენი სხვა ხატების გვერდით იყო დაბრძანებული დიდი ლომისის ხატ-ჯვრები, დროშა, ალამი და სხვა ატრიბუტები.

სოფ. პავლიანში მცხოვრები დეკანოზები* (3 დეკანოზი, 1 ტარასტა, 2 მედროშე, 2 მეზარე და 3 დეკანოზთა დამხმარე — მგელქაშა) მეხატე-მგალობლებთან ერთად ცხრაპირთას მთის წვერზე მზის შუბის ტარზე ამოსვლისას შეიკრიბებოდნენ სოფლის ცენტრში „ციხის-განძთან“, იქ ახალგაზრდების გუნდთან ერთად დაილოცებოდნენ, ადიდებდნენ ჯერ განძს, შემდეგ ლომისის მთავარმოწამეს და ერთაბრძანებულებას. ციხის ლომთ-ქვასთან** დაანთებდნენ სანთლებს და მთელი იქ მოგროვილი ხალხი უხმაუროდ გაემართებოდა სოფლის წმ. გიორგის ნიშთან (სოფლიდან 200 მ. სამხრეთით). მოიყრიდნენ მუხლს, დაანთებდნენ სანთლებს და ყანებზე გავლით*** მივიდოდნენ ერთაბრძანებულების სალოცავში, სადაც სოფ. თინიკაანიდან ჩამოეგებებოდათ ტარასტა, გახსნიდნენ სალოცავის ჭიშკარს და ტრადიციისამებრ სრულდებოდა ყველაფერი.

ერთაბრძანებულების კარზე ჯერ მისი დეკანოზი გვარად თინიკაშვილი**** თავის სოფლის ახალგაზრდებით მივიდოდა, შემდეგ საერთო სუფრას შეუერთდებოდნენ სოფლებიდან: კალერთკარიდან, წიპტაურიდან, დოჩიანიდან, ბალაანიდან მისული მრევლი თავიანთი შესაწირი ოთხფეხა საქონლით, სანოვაგით სავსე ჭრელი ხურჯინებით და სხვა სამზადისით.

სულთმოფენობის სამშაბათს შუადღისთვის ერთაბრძანებულების ეზოში დარეკილი ზარებით (2 დიდი და ერთი მომცრო, ადრე 6 ზარი ყოფილა) ხეობას ეუწყებოდა ლომისის ხატ-ჯვრების გამობრძანება. სალოცავთან ცაცხვების ტევრში იშლებოდა გრძელი სუფრა, სადაც ყველა იქ მყოფი ვალდებული იყო გამოეცხო და მიეტანა 1 კეცეული (კეცში გამომცხვარი — მრავალ-

---

* ლომისის დეკანოზები ყოველთვის პავლიაშვილების გვარისანი იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები.

** ლომთ-ქვა, ლომის გამოსახულებიანი ქსნის წითელი კოხის ქვა, დამაგრებული ციხის-განძის დასავლეთ კედელში.

*** ლომისის დღესასწაულის დროს (აღდგომიდან 7 კვირა) ყანები უკვე მუხლს ქვევით იყო მოსული, რისთვისაც სასტიკად იკრძალებოდა გავლა და ზედ სიარული გარდა დეკანოზ-მეხატეებისა. მათზე ხალხი ფიქრობდა, რომ მლოცავის ფეხი უწყინარია და ნათესებიც არ გაფუჭდებაო.

**** დღეს სოფ. თინიკაანში ახალგაზრდობა აღარ ცხოვრობს და მოხუცებმაც თავიანთი სურვილით ერთაბრძანებულების დეკანოზობა ლომისის დეკანოზებს გვარად პავლიაშვილებს გადააბარეს.

ფურცლიანი, ფენოვანი) ქადა, უკიდურეს შემთხვევაში გულიანი ქადა. კეცეულ ქადას „სასოფლოს“ ეძახდნენ, რომელზეც თან უნდა დაერთოთ მინიმუმ 2 ლ. არაყი და 3 ლ. ლუდი.

ქსნის ხეობაში კეცეული ქადა „საკლავთან“, ცხვართან იყო გატოლებული*. „გინდ საკლავი დაგიკვლია შვილო, გინდ კეცეული ქადა გამოგიცხვია და მიგირთმევია, ხატისთვის სულ ერთია“ — ამბობდნენ „ძველები“.

ვისაც თავის გამოჩენა სურდა დღეობებში, ერბოში გამომცხვარ კეცეულ ქადას (ბევრ ნათითურებს უკეთებდნენ, რათა მეტი ერბო ჩატეულიყო შიგ), ტაბაკით ან ორომის თავზე დადგმით, ოჯახიდან სალოცავში დეკანოზებთან, საერთო სუფრისთვის.

გამობრძანებული ლომისის ხატ-ჯვრების „თანდასწრებით“ გამართული ქეიფის და ცეკვა-სიმღერის შემდეგ აიშლებოდა მოზეიმე ხალხი: კაცი-ქალი, მოხუცი-ჯეილი, თავ-თავიანთ სამსხვერპლო საკლავებით. ჯგუფს წინ ხატ-ჯვრებით ხელში დეკანოზები მიუძღოდნენ. პირველი ლომისის „დიდი ხატი“ მიჰქონდათ, მის უკან „პატარა ხატი“. მიჰყვებოდნენ მედროშენი, მეზარენი, მგალობელთა გუნდი. ახალგაზრდების დიდი ჯგუფი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი, ყაბალახებითა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლებით დამშვენებულნი ომახიანად მღეროდნენ:

„ხოროშან ლაშქრად ვიყვენით, ჩვენ ლომნი ლომისისანი,
იქ გავიგონეთ ყღერანი ჟამურ ბერციხის კლდისანი.

---

* ქსნურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა ერთი პატარა ამბავი კეცეული ქადის ღირსებაზე, რომელიც მართლაც „საკლავის“ ეკვივალენტადაც შეიძლება მივიჩნიოთ.
სოფ. გეზევრეთის მამულებში არის ერთი პატარა „გული“ — (კარგი) ადგილი „ამორჩეული“, რომლის ტოპონიმი უკავშირდება კეცეულ ქადას. ერთ ღარიბ გლეხის ქალს წმ. გიორგის დღესასწაულზე ქადა გამოუცხვია და ბატონის წინ სუფრაზე დაუდვია. ბატონს ბატკნის ხორცისთვის თავი გაუნებებია და გლეხის გამომცხვარი ქადა გაუსინჯავს. ისე მოსწონებია, რომ მალე სულ შეუჭამია. „გემო გამოღებულ“ ბატონს ქალისთვის უთქვამს. გემრიელი ქადის გამოცხობისთვის მინდა დაგასაჩუქრო, მიდი ჩემს მამულში და სადაც ისურვებ იქ აიღე ერთი დღის სახნავი მიწა. ქალს მადლობა მოუხსენებია ბატონისთვის და მასაც ყველაზე კარგი ადგილი შეურჩევია. მას მერე იმ ადგილს ხალხმა ამორჩეული უწოდა.

მუხლი გვქონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ჭარმაგისანი,
სადილი სამხრობამდისა ჟამურს დავლახეთ ქვიშანი.
შვიდნი ჩვენ — შვიდას ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენით,
გაშჭრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით“.

ამ სიმღერით გაივლიდნენ სოფ. თინიკაანს და სოფლის ჩრდილოეთით „გოდორათის“ ხევის პირზე დააბრძანებდნენ ხატებს. იქ თინიკაშვილებს გაჰქონდათ სოფლის „ბიჯა“. იმართებოდა ხანმოკლე ქეიფი, სიმღერა და ცეკვა. მთელი მოზეიმე გუნდი, ფუტკრის მართვესავით — გუგუნით დაეშვებოდა ფერდობზე, აღმოსავლეთით და იმავე ხევის პირთან მდგარ ცაცხვის ქვეშ, სოფ. ლოთიანის სამხრეთით შეისვენებდნენ, სადაც ლოთიშვილებს თავიანთი „ბიჯა“ მოჰქონდათ. ცხელ-ცხელი ქადები და ჭვავის სქელი ლუდი. იყო დიდი მხიარულება და სიმღერები.

საკმაოდ შექეიფიანებული მრევლი ლომისის სადიდებელი სიმღერებით გზად კობათკარის ნიშთან ჩერდებოდა (დღეისთვის იქ იოსებ გიორგის ძე პავლიაშვილის მიერ აღდგენილი და განახლებულია წმ. გიორგის სახელობის ნიში), სადაც უერთდებოდნენ სოფ. პავლიანიდან წამოსული ღამისმთეველი მლოცველები სამსხვერპლო საქონლით. წინ-წინ დეკანოზ-მეხატეებს მიართმევდნენ სოფლის „ბიჯას“. იქაც ხანმოკლე ქეიფისა და „მუზიკობის“ შემდეგ მსვლელობა გრძელდებოდა ლომისის მიმართულებით, მოზეიმენი ხის ხიდით გადავიდოდნენ მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე და მივიდოდნენ ლომისის პირველ ნიშთან, რომელიც მდებარეობს ქსნის მარცხენა მხარეზე ლომისის ხევის შერთულში. აქ, ამ ადგილზე მთავრდება ქსნის ხეობის ფართო კალაპოტი — ტაშირი და იწყება ვიწრო ჟამურის ხეობა, რომელზეც ვახუშტი ამბობს:

„ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურისა არს ციხე, ბერციხედ წოდვილი, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე . . . . ჟამურის მხარეს ამ მთასა ზედა (ლომისის მთა, ვ. ქ.) არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი მაღალნი და კეთილ ნაშენნი. მოსავლით ვითარცა სხუანი მთის ადგილნი. ცხვარი აქაცა უდუმო, პირუტყუნი არა ეგოდენ მრავალი“ (გვ. 360).

ლომისის აღნიშნულ I ნიშთან, რომლის ჩრდილოეთით მაღლა მთაზე მდებარეობს ბრწყინვალე ლომისის წმ. გიორგის სალო-

ცავი, მოზეიმეთა ჭამა-სმის გარეშე) ხანმოკლე ლოცვისა და სანთლების დანთების შემდეგ რჩებოდა ერთი დეკანოზი, ერთიც მისი მოადგილე და მგელქაშა „პატარა ლომისის“ ჯვრით ხელში. მათ მოვალეობას შეადგენდა ნიშთან გამვლელის დალოცვა და დამწყალობება*.

პროცესიის მონაწილენი სამი კაცის მოსაკლისების შემდეგ მიემართებოდნენ ლომისის ხევში მთავარ ნიშთან, სადაც ათენებდნენ ღამეს. ბავშვებისა და ქალების პატრონები შლიდნენ კარვებს. ორი-სამი კაცი წინა დღისით დეკანოზ-მეხატეთა და სხვათა და სხვათა პატივსაცემად, ნიშთან სიახლოვეს დგამდნენ ხმელ შეშის ხორას ღამის მთევლებისთვის.

მლოცველთა მლოცავად დარჩენილი დეკანოზები „პატარა ლომისის“ ხატით ხელში მეორე დღეს მთავარ ნიშთან უერთდებოდნენ წინა ღამით დაბანაკებულ ღამენათევ დეკანოზ-მეხატეთა და მლოცველთა დიდ ბანაკს, სადაც უნდა ჩატარებულიყო ბრწყინვალე ლომისობის დღესასწაული.

დალოცვა-დამწყალობეგა

„ლომისის კალთისქვეშ“ ღამენათევი დეკანოზები ოთხშაბათს მზის ამოსვლიდან იჭერდნენ თადარიგს მლოცველთა მიღება-დამწყალობებისათვის. ხალხი კი დილიდანვე მატულობდა და მატულობდა. ადამიანებისა და საქონლის უწყვეტი ნაკადი მიედინებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უძლიერეს მთავარმოწამე ლომისის წმინდა გიორგის სალოცავში. მლოცავთა ერთი ნაწილი „წვერის ლომისაში“ რჩეობდა გულმხურვალე ლოცვას. მეორე ნაწილი მლოცავებისა კი თავს იყრიდა ქვემო მლეთის ლომისის სალოცავში, სადაც 128 წლის წინანდელ, ლომისის დღესასწაულს აგვიწერს მაშინდელი ქართული პრესა:

„ამ დღისთვის (ლომისობა დღისთვის) მთიულეთის ყველა სოფლებითგან, ოსეთიდგან და ერწო-თიანეთიდგან ურმებით და ცხენებით დაიძვრის ხალხი ლომისაში სალოცავად. მოსული ხალ-

* ლომისის ეკლესიაში ან მთავარ ნიშთან სალოცავად მიმავალი მრევლი ვალდებული იყო მისულიყვნენ I ნიშთან, აენთოთ სანთლები, ელოცათ და გაეღოთ მცირედი შესაწირი ფულის ან სანოვაგის სახით.

ხის რიცხვი რამდენიმე ათასამდის მიაღწევს ხოლმე. ურმებისა და ცხენების სიმრავლე, რომელნიც გაფანტულნი არიან დიდ მანძილზე, ეკლესიის გარშემო თქვენ მოგაგონებს დიდ სამხედრო ბანაკს. ერთი მხრიდან სიმღერა გესმით, მეორე მხრიდან ქალები „მუზიკას“ უკრავენ, მესამიდგან ჟღავი-ჟღუვი და ყვირილი გაისმის შექეიფიანებული ხალხისა“*.

საუკუნეების მანძილზე სასტიკად იკრძალებოდა ლომისის კარზე ღორის და ცხენის ტყავის ქალამნებით სიარული. მიუხედავად იმისა, რომ ღორის ქალამანი უფრო გამძლე „ჭინჭიანი“, ე. ი. ქონიანი იყო და სიცხეში არ ხმებოდა. ცხენის ტყავის ქალამანს მთაში ნაკლებად იცვამდნენ, რადგან ცხენი წმინდა ცხოველად ითვლებოდა და ხატის სიმბოლოდ ასოცირდებოდა. ამიტომაა, რომ ქრისტიანებს კვების მენიუში არა გვაქვს შეტანილი ცხენის ხორცი. ღმერთმა ჩვენდა საცნობარად ცხენს ჩლიქი არ გაუყო ნიშნად სიწმინდისა. რაც შეეხება ღორის ხორცს, ჩლიქის გაყოფის გამო საკვებად ვიყენებთ. უფრო მეტად იმიტომ, რომ მისთვის იესოს, როგორც გადმოცემა გვეუბნება კუდზე ფეხი დაუდგამს, რის შემდეგაც ღორის კუდის წვერი ყოველთვის გაბრტყელებულია**.

ოთხშაბათს დილით დეკანოზები ხარისხისადა მიხედვით ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებდა. უპირველესი დეკანოზი პირველ ლოცვას ლომისის სახელზე ტაძარში ასრულებდა მოადგილეებთან ერთად. სრულდებოდა ლოცვა — „ლომისის სადიდებელი“:

„ღმერთო, დიდება შენთვინაო!
ღმერთო, შენთვინაო!
ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისასა! ხორასნიდან
მობრძანებულსა, შვიდი ათასი ტყვის დამხსნელსა: ქსნისა და
არაგვის თავდამყურებელს დიდ ლომისასა!
ღმერთო, გაუმარჯვე ღუდის ყოვლადწმინდასაო,
ქვა-წულად მქცეველსა!

---

* გაზ. „დროება“, № 173, 1885 წ., გვ. 2.

** სოფ. შილდაში (კახეთი) ქრისტიანულ წეს-ჩვეულებად არის მიღებული ნეკრესის სალოცავში მსხვერპლად ღორის შეწირვა, რომელსაც ლომ-ტახს ეძახიან. ლეგენდის მიხედვით ლეკები, მორიგი დარბევის შემდეგ ნადავლით შინ ბრუნდებოდნენ, გზად ნეკრესისკენ გამოუვლიათ. ქართველებს მათთვის მამალი (კერატი) ღორები მიუსევიათ და ლეკები ხელცარიელი გაუშვიათ.

ღმერთო, გაუმარჯვე გერგეტის ღვთისმშობელ დედასა!
ღმერთო, გაუმარჯვე ხადის მთავარმოწამესა. იალბუზზე
დაბრძანებულსა!
ღმერთო, გაუმარჯვე კიდევ ნაღვარევის წმ. გიორგისა!
ღმერთო, გაუმარჯვე გუდამაყრის სალოცავს ფუძის
ანგელოზსა!
ღმერთო, გაუმარჯვე მთელი ქვეყნის სალოცავებსა. იმათ
ძალო და სამართალო, შენ უშველე მთელ საქრისტიანოსა!
ღმერთო, ქვეყნის ძალო და სამართალო, შენ უშველე
საბურდულოსა, შენ მხვეწარს, შენ მლოცავს, შენს
მაქებ-მადიდებარსა, მშვიდობით ამყოფე, ხელი მოუმართე.
ლოცვა ჩვენი, — რგება ღვთისაო,
შეგეწიოთ წყალობა მაღალ ღვთისაო!“

„ლომისის სადიდებლის“ შემდეგ „დილით მლოცავი ხალხი, მამაკაცნი და დედაკაცნი მოშორებით უნდა დამდგარიყვნენ. ტაძრის წინ მოიყრიდნენ თავს ცხვრით, ქადებით და ნაზუქებით ხელში. გამოვიდოდა დეკანოზი და ქუდმოხდილი ბოურაყით ანუ დროშით, რომლის წინაც რამდენიმე ათასი კაცი დაიჩოქებდა. დეკანოზი ერთ გრძლით ჩამოილოცავდა და მთელ მლოცავ ხალხს ერთად შეავედრებდა ღმერთს:

„დიდება ღმერთსა და მადლი ღმერთსა, გაუმარჯოს დიდ
ლომისას!
გაუმარჯოს ჩვენს ადგილის დედას და ღუდას
ყოვლადწმიდას, არაგვის თავს დაბრძანებულს.
ღმერთო, მათო მადლო და ძალო შენ უშველე ქსნისა და
არაგვის ხალხსა“ და სხვა...

დეკანოზი შემდეგ ევედრება ლომისას მტრებზე გამარჯვებას, ადამიანისა და საქონლის გამრავლებას, შვილიერებას და სხვა“.

ლომისის სახელზე „დაყენებულ“ სამსხვერპლო კურატებს და ცხვარ-ბატკანს ზოგი მაღლა მთაზე მიერეკებოდა, ზოგიც დაბლა ნიშთან სწირავდა — ასეა ახლაც. იშვიათობას არ წარმოადგენს ცოცხლად ლომისის მთაზე გაშვება-შეწირვა. სამსხვერპლოსთან ერთად მლოცავი ხატს გარშემო სამჯერ შემოუვლიდა, გალობდნენ „ფერხის“ სიმღერებს და მერე ხელში შესაწირ მომარჯვებულ მლოცავს დეკანოზი დაამწყალობებდა:

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა!
ღმერთო გაუმარჯვე ლომისის წმ. გიორგისა!
ღმერთო გაუმარჯვე ჩვენს საქრისტიანოს ხელმწიფესა!
კვირასა ღვთის კარზე მდგომელსა ღვთის იასაულსა!
მათო მადლო, სამართალო ღვთისაო, თქვენ შეეწივნეთ
ყოველ ქრისტიანსა, მთასა, ბარსა თავიდან ბოლომდე,
ქსანსა, მთიულეთსა, ბატონსა, ყმასა!
თქვენი გამობრძანება, კარის გაღება კეთილად მოუხდინე
ჰმატე (მლოცველის სახელი, მაგ. ანდრო) ანდროს ოჯახში
პური, პურის მუშა, წული და კაი საქმე. რაც ჰყვანდეს
გაუზარდე, დაურჩინე, კიდევ წული გაუჩინე, შენი წყალობა
დაურჩინე. ალალად შეიწირე ამის სამსახური,
წამოყენებული საკლავი, სავსე თასი და სანთელი“.

ამდაგვარი ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობდა ლომისის დღესასწაული დაახლოებით საუკუნის წინ. ინფორმატორთა თქმით (მთხრობელი შალიკო ბეგოიძე, სოფ. წკერე, დაბ. 1941 წ.) რვაასამდე მსხვილფეხი და წვრილფეხი იკვლოდა ლომისობა დღეს.

„დამწყალობებისას დეკანოზი ართმევს ქადას მომტანს და ხმამაღლა მჭევრმეტყველურად გაიძახის: მოურთმევია საწირი, სამსახური, სამწყალობნო (ქადა), საკლავი, სანთელი, მოსულს მიეცი შენი წყალობა, წასულს თან გაატანე შენი მფარველობა წმ. გიორგივ!“.

მთიულებს წესად ჰქონიათ ლომისაში ხორბლის, ყველის, ერბოს მიტანა — მათივე რწმენით თითქოს აღნიშნული პროდუქტებით უხდიდნენ ბეგარას თავიანთ ბატონს — ლომისის წმ. გიორგის.

სამხრეთით ქსნის ხეობელი დეკანოზები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლომისის მთის წვერზე აუსვლელად მისივე მთის ძირში, ლომისის ხევში მოწყობილ სამლოცველოსთან (1998 წლამდე მხოლოდ ნიში იყო) ღმერთის საკადრისად დეკანოზობდნენ და აწესრიგებდნენ დღესასწაულის მსვლელობას.

ნიშთან „ლომისის სადიდებელი“ ლოცვის შემდეგ დეკანოზები განუსხვავებლად მთიულური ადათ-წესებისა ლომისის ხევში ათასობით მისულ კაცსა და ქალს ლოცავდნენ და ამწყალობებდნენ.

საინტერესოდაა აღწერილი 1874 წლის ლომისობის დღესას-

წაული ლომისის ხევში მე-19 საუკუნის გაზეთის ერთ პატარა კორესპონდენციაში:

„დღესასწაული (ხატობა) ლომისის წმ. გიორგისა იციან სულის წმინდის კვირის შემდეგ ოთხშაბათსა, რომელსაც იმ კვირაში მსგეფსი აქვს. ეკლესია აქვსთ მთაზედ. საშუალ არაგვის და ქსნისა სამძღვარზედ. ეს ეკლესია არის საზიარო არაგვისა და ქსნისა, ეკლესიის ძირსა ჭალაში ჩამოვაკებაზედ აქვსთ ნიში და ერნი მოდიან სალოცად ნიშთან. ნიში არის ერთი ათი ქვა შეგროვებული, და იმ ნიშთან მოასვენებენ დეკანოზები იმ ლომის წმინდის გიორგის ხატსა და ადღესასწაულებენ.

დეკანოზებს ეძახიან უბრალო ერისკაცსა. დეკანოზი ჯვარს ჩამოაცვამს გრძელ ხეზე, შემოსავს ბაღდადებით და დაკიდებენ პატარა ზარებსა. უჭერია დეკანოზს ხელში ხე, იმაზედ ზევიდან ჯვარი ზარებით ჩამოცმული. დააწკარუნებს იმ ზარებსა, და მლოცავნი მივლენ, ამწყალობნებენ დეკანოზები ლოცავს ამ სახით:

დიდებულო ლომისავ, მთავარ მოწამე, ხორეშანის ტყვეთა მხსნელო, შენ შეეწიე ბერუას (სახელი მლოცავისა), მოსულა შენ კალთას ქვეშე, ღამე უთევია, თაყვანი უცია, მოურთმევია სანთელი სამწყალობნო, ქადა, შანა, ზედაშე. შინ მშვიდობა მიეცი, გარეთ გამარჯვება. ჰმატე ამასა ხარი ნახნავსა, კაცი ნამუშევარსა, წრეულ ქალით მოვიდა და ჭედილა მოურთმევია და მემრის ვაჟითა და კურატით (ხარით) მოიყვანე! შენი წყალობა მიეცი და მაღალი ღვთისა! და სხვანი. ერნი დაიძახებენ დაჩოქილები: „ომენ, შენს მადლსა“. ხოლო მლოცავი იგი დაჩოქილი ადგება“*.

ძველი წესისამებრ, ლომისის დეკანოზს, როგორც ღვთისა და ერის რჩეულს, შეფარდებით თავის ავტორიტეტთან და მისადმი ხალხის რწმენასთან, რაც მორალურ უფლებას აძლევდა ეთამაშა რჩეულის როლი (რის იმიტაციასაც თვითონაც ქმნიდა) და ხატის კარზე მისული გაჭირვებული ავადმყოფი მრევლისთვის დახმარება უნდა გაეწია რაიმე სენის დამარცხებაში. ადრექრისტიანული ხანიდან მომდინარე, ხატთა სასწაულმოქმედების ნათლად დადასტურებას წარმოადგენდა „ხატით გალახვა“, რაც შემდეგში მდგომარეობდა.

„სალოცავთან ახლოს ან მის კარებში ავადმყოფი პირქვე წვე-

* „სასოფლო გაზეთი“, 20 აპრილი, № 9, 1874 წ.

ბა, დეკანოზი მას ლომისის ხატს წელზე, თავზე და ბეჭებზე დააჭერს და ზედვე გადახტება.

ვინც ხატისაგან დამიზეზებულია და ამის გამო რაიმე აღთქმა აქვს დადებული, ის სხვადასხვა რიტუალს ასრულებს: ტაძარს ბამბის თეთრ ძაფს შემოარტყამს, ფეხშიშველა ან რკინის ქალამნით მას სამჯერ შემოუვლის, ყელის შარნებს, საყურეებს, ბეჭდებს და სხვა სამკაულებს იხსნიან და ეკლესიაში ტოვებენ. ლომისას სწირავენ და იქვე ცოცხლად უშვებენ მტრედებს და მამლებს. უშვილონი შვილიანობას შესთხოვენ და ამ მიზნით მას აკვნებს სწირავენ, რომლებსაც დეკანოზები ჰყიდიან და ფულს ხატს ახმარებენ. ბავშვს თმას დეკანოზი პირველად აქ შეკრეჭს“*.

ლომისის შარნი

გასულ საუკუნეებში მედიცინის განვითარების დაბალი დონის გამო, ეპიდემიები და ათასი სხვა დაავადებები ხშირი იყო იმდროინდელ საზოგადოებაში.

მთიელი კაცი და ქალი თავიანთი ფიზიკური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა საშუალებებთან ერთად რწმენის ფაქტორზეც ამახვილებდა ყურადღებას. მაგალითად, ლომისის მთავარმოწამეს შეუთქვამდნენ რაიმე „შარნის“ ტარებას, თუნდაც სამკაულს ან რაიმე სამოსს. მთიულეთში და შედარებით უფრო ნაკლებად ქსანზე „შარნის“ გავრცელებული სახე ყოფილა „ხატის უღელი“.

„ხატის უღელს“ ატარებდა ქალი, რომელიც ლომისის ძალასა და მადლს შეეხვეწებოდა განეკურნა ამა თუ იმ ავადმყოფობისგან (გარდა მძიმე ავადმყოფობისა) ტარების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო ავადმყოფობის კატეგორიაზე. ქალი ზოგჯერ სამ წელიწადს და უფრო ხანგრძლივადაც ატარებდა, მისი ტარების პერიოდში იგი ლომისის მონად ითვლებოდა.

„ხატის უღელი“ სხვადასხვა ზომისა და წონისა შეიძლება ყოფილიყო. მის დასამზადებლად ავადმყოფი მჭედელს შეკვეთას აძლევდა, რისთვისაც თეთრ აბაზიანსაც უხდიდა. ავადმყოფი

* სერგი მაკალათია, „მთიულეთი“, თბ., 1932, გვ. 174.

გამოჯანმრთელების შემდეგ მიდიოდა ლომისის დღესასწაულზე სხვადასხვა შესაწირით და იქ ტოვებდა ლომისის „შარნას“.

„ზოგი მთიული დედაკაცი ორ-სამ ასეთ ხატის უღელს ატარებს, ამ დღიდან ხატის უღლიანი დედაკაცი ხატის მონად ითვლება. დადებული ვადის გასვლისას ყელუღლიანი ქალი მიდის იმ ხატის დღეობაში და თან მიაქვს ნაზუქი, კელაპტარი და თეთრი ფული. ამ „საწირს“ მას აქ დეკანოზი ჩამოართმევს და დაამწყალობლებს. დალოცვის შემდეგ დეკანოზი დედაკაცს ყელიდან უღელს შეხსნის და ხატის ნიშში შესდებს. ამასთანავე დედაკაცი უღლის „საცვეთში“ დეკანოზს თეთრ ორშაურიანს აძლევს. ამის შემდეგ დედაკაცი ხატის მონობიდან თავისუფლდება“*.

ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ 1930 წლისთვის მთიულ დედაკაცს კიდევ ედო ყელზე „ხატის უღელი“, „რომ ასეთივე ხატის უღლები როგორც არქეოლოგიური აღმოჩენებით ირკვევა ბრინჯაოს ხანაშიც გავრცელებული ყოფილა, დაახლოებით ჩვ. წ. აღმდე XIII-IX სს. რასაც ადასტურებს ახტალა-ალავერდში, ქართლში, გოგჩაზე (სომხეთში) აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრები“**.

ამ უძველესი პრეისტორიული ხანის ბრინჯაოს უღლის გამოძახილია მთიული და ქსნელი დედაკაცების მიერ „ხატის უღლად“ წოდებული სარიტუალო შარნის ტარება.

მღვდელ-დეკანოზთა ურთიერთობები

ლომისის მთავარმოწამესთან დაკავშირებით სარიტუალო-საწესჩვეულებო მდინარებას თუ გადავხედავთ ბოლო საუკუნე-ნახევრის მანძილზე მიმდინარეობს დაპირისპირება ხატ-სალოცავებში მოღვაწე მღვდელთა და დეკანოზთა ინსტიტუტებს შორის, რაც ქვეყნის მმართველი წრეებისგან იყო პროვოცირებული. სამღვდელონი, რომელთათვისაც განუკითხაობისა და მექრთამეობის ოაზისს წარმოადგენდა მეფის რუსეთი, სადაც „მოღვაწეობდნენ“ შემთხვევით მოხვედრილი სასულიერონი და დიდი ხნის მანძილზე სახელს უტეხდნენ ქვეყნის სამღვდელოებას.

---

* ს. მაკალათია, „მთიულეთი“, თბ., 1932, გვ. 145-146.

** იქვე.

რეალობიდან გამომდინარე, სამღვდელოების პოზიციების შესუსტებით სარგებლობდნენ დეკანოზები და იწყებდნენ გააქტიურებას. მათ ხელს უწყობთ და დიდად ეხმარება ნდობის ფაქტორი. ისინი უბრალო, ხშირ შემთხვევაში გაუნათლებელი და ღარიბი გლეხები არიან, მაგრამ ამავდროულად პრესტიჟულნი და სამართლიანნი, რის გამოც მთელი თემი დიდ პატივს სცემს და ირჩევენ ხატის წინამძღოლად. მით უმეტეს, თუ მას თემისა და ქვეყნის წინაშე რაიმე დამსახურება აქვს. მსგავსად გარსევან ბურდულის ბიჭებისა. პარალელურად ჩრდილში ექცევა მანამდე სალოცავში მოღვაწე მღვდელი, რომელიც განათლებულია, მაგრამ მატყუარა, გაუმაძღარი, მექრთამე და მექალთანე. ბუნებრივია, ასეთი ზნის მღვდელთან უფრო მეტად იქმნება ნდობის დეფიციტი, ვიდრე პატიოსნებით ცნობილ, ღმერთის მოშიშსა და ენაწყლიან გლეხთან.

მღვდელთა და დეკანოზთა ურთიერთობებში გასარკვევად მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს ძველი ქართული პრესიდან:

„ამ ბოლო დრომდე, მინამ მათრახისა და პოლიციის ძალით არ შავიდნენ, ამ ხატებთან მღვდელი ფეხს ვერ მისდგამდა. აქ იყვნენ დეკანოზები ანუ ხევისბერები, რომელთა ხელთაც იყო ამ ეკლესიების მთელი საუნჯე და დიდი პატივიც ჰქონდათ ხალხში. დღეობის წინა კვირაში ის ხევისბერები დასწმენდნენ, დაასუფთავებდნენ როგორც ხატებს, ისე ვერცხლეულს და ტაძარში დააწყობდნენ ..... ამ რიგს შემდეგ იწყებოდა დღესასწაული. დღეობა რომ გათავდებოდა ხატებს და სხვა მრავალ ვერცხლეულს ისევ დეკანოზები ცალკე საკუჭნაოში ჩაასვენებდნენ, რომელიც იმათ მეტმა ხორციელმა არ იცოდა, მინამ ამ ხატების გამგეთ და მოსამსახურეთ ხევისბერები იყვნენ აქ არამცთუ ვერცხლეული ერთი წკირიც არ დაკარგულა. მღვდლების ხელში კი რომელნიც ვითომ ცრუმორწმუნეობის მოსასპობლად და ნამდვილის ქრისტიანობის დასამყარებლად შევიდნენ და დეკანოზები სულ მათრახით გამოარეკინეს, არამცთუ მთელი სიმდიდრე დაიკარგა, ხატებს ვერცხლის პერანგებიც კი შემოაძრეს. რამდენი ძველად შეწირული ნივთი, რომელსაც დაუფასებელი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენის ისტორიისა და არხეოლოღიისათვის, ჩაიყლაპა ამათ ხელში და ვეღარას გზით ვეღარ მოვიპოვებთ ეხლა“.

ასევე მღვდლებზე უარყოფით სურათს გვიხატავს შირაქში

ქარჩოხის მაგალითზე მოსმენილი და ჩაწერილი ერთი ძველი გადმოცემა:

„ჩვენი მხრის ამბებიდან (ქარჩოხის, ვ. ქ.) ერთს გეტყოდი ძველი ხალხი დათუნაანთ კოლა, თოხლიანთ სანდრო, ნინიაანთ ზაქარა და სხვები ბანზე რომ შექუჩდებოდნენ, მე მაშინ პატარა ბალღი ვიყავი, იტყოდნენ რომ აღდგომის დღესასწაულებში მღვდლები თავიანთ დიდ ცხვირსახოცებზე გაფენდნენ ხორბლის მარცვალს და ნატვრად ამბობდნენო თურმე: „ღმერთო რამდენი მარცვალიც აქ არი იმდენი მკვდარი გვაზიარებინე ჩვენს მრევლში, რომ პური და შემოსავალი არ მოგვაკლდეს“-ო*.

საპირისპირო აზრს გადმოგვცემს სოფ. ახალდაბაში (მაშინ ჯერ კიდევ ამ სოფელს არ ერქვა ბალაანი) მცხოვრები აზნაური მიხეილ ჟღენტი, რომლის პიროვნება საინტერესოა XIX საუკუნის ქარჩოხის ამბებით დაინტერესებულ პირთათვის.

„...მლოცავი (ლომისის წმ. გიორგისა, ვ. ქ.) იგი დაჩოქილი ადგება და დეკანოზებს ძველ მწვირიან ჩოხის კალთაზედ აკოცებს და ხატსა კი არა, დეკანოზები უშლიან, ხატსა ახლო არ მიეკაროთ, თორემ არ გაწყრესო. დეკანოზი იმ ჯვარსა აქანქარებს ხელში და ამბობს, ხელში ვერ ვიჭერო, გაფრენას აპირებსო, დაილოცა ამის დიდებაო. მლოცავი შინ წავა მხიარულებით და ფიქრობს დეკანოზმა დამლოცა, მერმის ვაჟი მეყოლებაო და კურატით წავალ ხატშიო.

ამგვარი დეკანოზები ყოველსავე შემოსავალსა ხატისას თვითონ სჭამენ. მაგრამ შესავალსაც რომ გაიგებთ ამ ხატისას მკითხველნო, ბრძანებთ, მართლა დეკანოზები ყოფილანო, ასე რომ იმ დღეობაში იკვლის ოთხასამდინ ცხვარი და ბატკანი და სამოცამდინაც ძროხა, ფულათ შედის ორასამდინ. სხვა სანთელ-საკმელი, ქადა-პური და ზედაშე არაყისა და ღვინისა უანგარიშო. თითქმის იმ დღეობაში შესულით თხუთმეტი კომლი დეკანოზებისა გამოდის პურითა და ღვინითა.

აქმდე ამტელ შემოსავალში მღვდელსა და დიაკვანს არ აძლევდნენ ერთ მანეთსაც და არც ახლო მიუშვებდნენ, შორიდან სეირს უყურებდნენ, მაგრამ ეხლა კი აკრძალული აქვთ, რომ აღარ გაბედონ დეკანოზობა და ამ შემოსავლის შეჭმა. უკანასკნელ ხანის

* მთხრობელი სეროჟა ნიკოს ძე თინიკაშვილი, დაბ. 1924 წ., დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. არხილოსკალო.

განმავლობაში ხატი მღვდელს ჩაბარდა და შემოსავალზედ იმათ უხარიან, თუმცა ამბობენ ეკლესიის სასარგებლოდ მიდისო, მაგრამ ხალხი კიდევ ეტანებიან ძველს ჩვეულებასა, თუმცა უწინდებულათ კი ვეღარ ბედავს.

მიხეილ ჟღენტი. 20 აპრილი, 1874 წელი".*

ქრისტიანული რელიგიის ცენტრალური ფიგურის სამღვდელონის გვერდით, დეკანოზთა ინსტიტუტის გაჩენა, ნაკარნახებია ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულით, რასაც ათასწლეულების მანძილზე ათასი ჯურის დამპყრობი თავის კანიბალობით თავს ახვევდა ჩვენს წინაპართ. მტრის ხელით აოხრებულ სოფლების ხატ-სალოცავში ქალსაც კი დაუკლავს საკლავი და სანთელიც მარტოს აუნთია:

„მარტოს აუნთავს სანთლები
და ხატიც უდიდებია;
მარტოს დაუკლავს საკლავი,
თვითონვე უტყავებია".

ვაჟა

კატაკლიზმებით აღსავსე წარსულში, მღვდელთა ხელდასმით წირვა და ლოცვა იშვიათობა იყო საქართველოს მაღალმთიან კუთხეებში, რამაც შექმნა წინაპირობა დეკანოზთა ინსტიტუტისა, რომელმაც უფრო მეტი მხარდაჭერა მთის მოსახლეობაში ჰპოვა. ამიტომ, როგორც საკულტო-სარიტუალო-საწესჩვეულებო ნორმების რეალიზატორმა, ნაწილმა ჩვენი ყოფითი კულტურისამ უნდა იარსებოს სიმბოლურად, როგორც ნომინალურმა აღმსრულებელმა და ხევისბერმა უნდა იარსებოს მანამ, სანამ, საქართველოში თუნდაც თითზე ჩამოსათვლელი მთის დიდი ტრადიციების მატარებელი პატარა სოფლები იქნებიან. თუ გაქრებიან მთის პატარა სოფლები, გაქრებიან დეკანოზებიც. დიდ, მრევლმრავალ სათემო-სალოცავებს კი უნდა ამშვენებდნენ და აძლიერებდნენ გონებანათელი, ქვეყნის სიყვარულით და პატიოსნებით გულანთებული მღვდელმსახურნი.

---

* „სასოფლო გაზეთი", № 9, 1874 წ., გვ. 2.

მსვლელობა (მგელქაშა)

როგორც ქსნის ხეობის მთიანეთში ყველა ტრადიციულ საზოგადოებრივ-საკულტო სალოცავებთან ისე ლომისის წმ. გიორგის სალოცავშიც არსებობდა მგელქაშას თანამდებობა. რომლებიც დეკანოზის და მისი მოადგილეების უშუალო მითითებებით მოქმედებდნენ, მათგანვე დამწყალობებულ შესაწირ პირუტყვს კლავდნენ და ატყავებდნენ. დაკლული საქონლის თავ-ფეხი მათ კუთვნილებად ითვლებოდა, ხოლო მარჯვენა ბეჭი საკლავის პატრონს დეკანოზთათვის უნდა მიერთმია. ლომისის დღესასწაულზე 5-6 მგელქაშა იყრიდა თავს, რომლებიც ამგვარივე სამსახურს ეწეოდნენ საგვარეულო და სათემო ხატ-სალოცავებშიც.

ჯერ კიდევ დილით, მსხვერპლშეწირვის დამთავრების შემდეგ, სანამ ხორცი მოიხარშებოდა და სუფრა გაიშლებოდა მანამდე მლოცველი ვალდებული იყო მოემთავრებინა ლომისის დალოცვა და შეთხოვდა დახმარებას. მფარველობას შვილიერებას (გავიხსენოთ ერეკლე მეფის რძლის ქეთევანისაგან ლომისისთვის ვერცხლის კანდელის შეწირვა: „ვით მწვლილნი მდედრისანი... რათა მოსცე შვილიერება და მოანიჭო ძენი და ასულნი"), „თოთოთა ბავშვთა დედანი" შესთხოვდნენ უფლის უძლეველ მხედარს, ლომისის წმ. გიორგის, სასწაული მოეხდინა და მიეცა მათთვის ძუძუში რძე. სიტყვიერად გაცხადების მერე დეკანოზი ხატის კედლიდან კირს ჩამოფხეკდა (ნიშის ქვებიდან ქარაგოზებს ააფხეკდნენ) და წყალში გახსნილს მეძუძურთ შეასმევდა.

საგმირო სცენები

ისეთი საქვეყნო საქმეების ასრულებისთვის, როგორიც იყო მშვიდობა და მტერზე გამარჯვება, ღმერთს ათასობით მლოცავის წინაშე შესთხოვდა დეკანოზი ბავრაყითა და ხატ-ჯვრებით ხელდამშვენებული. მთელ საქართველოსთან ერთად ლომისის მრევლი და ლომისაში მოღვაწე ბერები დიდად იყვნენ შეწუხებულნი ლეკთა თარეშით, მრავალგზის გადარჩენილა საიდუმლო სამალავების წყალობით მთავარმოწამის საგანძური — მაწანწალა ყაჩაღების ხელში ჩავარდნას.

ღონემიხდილი ქართველი ხალხი, მათგან თავმობეზრებულნი ღორებითა და ძაღლებითაც კი ებრძოდნენ*. გავიხსენოთ სოფ. შილდაში, ნეკრესის სალოცავთან კერატი „ლომტახების“ ხალხისგან დასევით ლეკების გაქცევა და ნაძარცვის დაყრევინება).

ძალიან ბევრჯერ, გამიზნულად ლომისობა დღეს, ლეკები დასცემიან მთიულეთისა და ქსნის სოფლებს და აუწიოკებიათ. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის შესახებ ნიჭიერმა მთიელმა ხალხმა შემოგვინახა ხალხური სიტყვიერების შესანიშნავი ნიმუში გიორგი მიდელაურზე, რომელიც პოპულარობით სარგებლობს და ფართოდაა გავრცელებული ქსან-არაგვზე. ლექსის აქ მოტანას საჭიროდ მივიჩნევთ როგორც ლომისის კარზე სალოცავად მოსულ ლომისის ყმის თავგადასავალს და როგორც სიმღერას, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ლომისაში მიმავალი ღამისმთევლები „ფერხისას“ (მსვლელობისას) მღეროდნენ დეკანოზ-მეხატეებთან ერთად:

მიდელაურის ლექსი (ფერხისა)

გველ-ხუჯას იყო ვაჟოძე, ლეკი ღთისაგან წყეული,
ის იყო გამარჯვებული, ტყვეთა ტაცებას ჩვეული,
ემზადებოდა ვაჟოძე, დრო თიბათვისა ხანიაო
ტყვეების მოსატაცებლად გული არ მოუფხანიაო.
წავიდნენ მუქარაზედა ლეკის შვილები რვანიაო.
ჟინვანის ხიდზე ჩავიდნენ თორის ამოსვლის ხანიაო,
მაილაზრება არაგვი, მაანგრევ არე-მარესო,

* მტერზე ძაღლებით ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი შემოგვინახა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ. ბაზალეთში მცხოვრებ გელა ნათელაშვილს (მეფე ერეკლე მოფერებით „მგელანას“ ეძახდა, ხალხი კი „გელანას“) შვიდი-რვა ძაღლი ჰყოლია, იმათ კაცი არ წაუვიდოდა, ლეკებს სულ ბეჭებზე ასხდნენ. გრემისხევიდან ბატონები რომ გამოივლიდნენ თურმე, გელანას ძაღლები ჩამოიღებდნენ ცხენებიდან. ბოლოს უჩივლეს გელანას: „ძაღლები მოგვაშორეო“. იქ თურმე უთხრეს: „თქვენ გზა შეიცვალეთო, გელანამ კი ძაღლებს მოუმატოსო. ისა გვყავს იქ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი, იმის იმედით ვართო“ (იხ. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, თბ., 1964, გვ. 119).

ესრე წავიდეთ ბიჭებო, შევყვეთ არაგვის მხარესო.
ჯერ არ გეევლო ვაჟოძეს ე მაგ ლომისის მთაზედო.
იმ დღესა ჰქონდათ მთიულთა დღეობა ხატის კარზედო.
ქვეშეთის გამოსავალსა ლეკები ჩასხდნენ გზაზედა,
ჯანს უზმენ ვაჟოძის ცხენსა, აღარა დგება გზაზედა,
ცხენს შასვეს გიორგის ცოლი, დაღისტანს წავა წამზედა
სწრაფად ავიდა ამბავი ხატში ლომისის კარზედა.
იფიქრეთ ახალგაზრდებო, მტერ დაგვცემია თავზედა,
გიორგი მიდელაური ლუდსა სვამს, იჯდა ჯარზედა,
ჯერ მძიმედა ზის ვაჟკაცი, ჩქამსაც არა სძრავს ჩქამზედა,
დასცლის ლუდიან ჯამასა, მეღვინეს აწვდის წამზედა
სწრაფად ჩააწყდა ყურშია, – ცა გატეხილა რისხვასა.
ამბის მიმტანთან მივიდა – გული აქვს ანათრთოლარი,
ნეტარ ვინ იყვნენ ქალები ლეკებს რომ წაუყვანია?
ერთი შენი და სოფიო, მეორე შენი ცოლია,
საწყალო, ვეღარ გეღირსოს მასთან წოლა და ძილიო.
ეგეთი ამაიგმინა, თითქო გველმა ჰკრა კბილიო,
ხატის წინ მიდგა მთიული, ჩოქსა და სალამს ჩვეული,
მოგესალმები ლომისავ შენს ყმებში გამორჩეული,
მარტო მას გელით ღვთისშვილნო – მისმინოთ თქვენსა მონასა
გზა-კვალს ნუ ამარეინებთ დამწივეთ ლეკის ფარასა.
ესა სთქო, გადმოფრინდება, – ეხლა ხანია ცდისაო!
მაშინ ინატრა საღარი, მუხლად გამლელი გზისაო,
სწრაფად ავიდა ხადაში, ბნელობა იყო ცისაო,
მოესმა დედის ტირილი, ხსენება თავის დისაო.
ყელში მოადგა ტირილი და გაიმაგრა გულია,
გიორგი კაზმავს საღარას გულზე ცეცხლ მონადებია,
მივდივარ ჩემო დედაო, მეც იმათ კვალზე ვკვდებია.
სეფეს გავალი სიმამრთან, გული აქვს ანათრთოლია,
გმართებს მიშველო ცოლის ძმავ, მიძმო, მიჭირო მხარია.
მე დილასავე გელოდი, წამლით გავავსე მათარა
შენსა ლოდინში სიძეო, გულმა ათასად გამღლარა,
ცხენმა რომ დაიჭიხვინა შენი მეგონა საღარა,
სამი დღის გადასავალი გიორგიმ წუთზე გაღლარა.
გადაეწივა ლეკებსა თოფმა გაიღო ჩქამია.

ესროლა, მოხვდა ვაჟოძეს, მოსწყდა მარჯვენა მხარია.
შვიდ მოკლა, ერთი გაექცა, ისიც ტყვიაით მთვრალია,
ცხენდაცხენ გადაეწია შემოათალა თავია,
შინვე მოასხა ქალები, როგორც რჯული და წესია“.*

„ომებისა და უბედურობების ხანაში“ მტერთან საომრად წასული ვაჟკაცები ლომისის საწინამძღვრო ჯვარს დაჰყრიდნენ გამარჯვების იმედს, აგრეთვე დიდი იყო წვლილი „ღვაწლით შემოსილი უფლის მხედრისა ლომისის წმ. გიორგისა“, — გიორგი სააკაძის მეთაურობით ქარჩოხში 1625 წლის ომის გამარჯვებით დაგვირგვინებაში**, რის მერეც ლომისაში გადახდილი საღვთო იყო დიდი დემონსტრირება ქსან-არაგვის ერთობისა და მეგობრობისა მთელ ქვეყანასთან ერთად. ომისაც და საღვთოს მასპინძელი იყო მთავარმოწამე ლომისისა, სადაც ჩვენ წინაპრებს მრავალი ომის საღვთო აქვთ გადახდილი.

„განთავისუფლდა თბილისი, თათრებს
შეუკრეს გ ზანიო,
გაანადგურეს თათრები, გადაავლინეს მთანიო,
მეფე ირაკლიმ მთიულებს უბოძა
ოქროს ჯვარიო,
სამხთო ქნეს ლომისაშია დაკლეს
სამასი ცხვარიო“.

ძველად ლომისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, შინა ტომობრივი ბრძოლა წყდებოდა (მსგავსად ოლიმპიადებისა ძველ საბერძნეთში), სამკვდროდ გადაკიდებული გვარი — გვარს ურიგდებოდა, კაცი — კაცს დანაშაულს მიუტევებდა, უდანაშაულო „დამნაშავის“ ხატის კარზე დაფიცების შემდეგ სიმართლე ზეიმობდა.

---

* ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ტექსტის მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელენე ვირსალაძისა. თბ., 1958, გვ. 118-119.

** 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში ქართველთა დაღვრილი სისხლი ქსანზე, ქარჩოხში იმავე წელს გიორგი სააკაძის მეთაურობით იქნა ამოღებული. არშის ოპერაციისას, ლომისის მთაზე ქსნის ხეობაში გადმოსული 12 ათასი ყიზილბაში განადგურებული იქნა ლომისისა და ოხირის ხევებში. რის აღსანიშნავადაც 2005 წლიდან, ახალგორის რაიონში — ქარჩოხში დამკვიდრდა სახალხო ზეიმი „სააკაძეობა“. იგი ყოველწლიურად ტარდება მაჟორიტარი დეპუტატებისა და რაიონის გამგეობის ხელშეწყობით.

ქსნის ხეობის მთიანეთში და მთიულეთში „ლაზარეზე სიარული“ არ იცოდნენ, ვინაიდან გვალვების დროს ხალხი მთელ იმედს ლომისის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის მფარველი ხატის გამობრძანებაზე და მის წყალობაზე ამყარებდა.

„ლომისის ხატს, როგორც ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გამგებელს უსაშველო გვალვისას გამოაბრძანებდნენ და გაინათლებოდა მთელი ქვეყანა, მაშინვე გაავდრდებოდა. ოთხჯერ მახსოვს, რომ გამააბრძანეს“ — უყვება სოფ. ელოიანში მცხოვრები რესპონდენტი ბატონ ნიკო კეცხოველს 1971 წ. მოწყობილი ექსპედიციის დროს.

ნეგატიური სცენები

გასულ საუკუნეებში ლომისის დღესასწაულებზე ჭიდაობა და დოღი იმართებოდა. ხალხი, უფრო მეტად ახალგაზრდობა, ერთმანეთს ეცნობოდა. ხშირი იყო ძმადშეფიცვისა და დაძმობის თქმის მაგალითები. იყო შეჯიბრი სიმღერასა და ცეკვაში, კაფიობასა და თამადობაში, ლუდისა და ღვინის სმაში.

სახალხო სანახაობებთან ერთად ლომისის დღესასწაულზე იმართებოდა ვაჭრობა-გაყიდვები. მოდიოდნენ როგორც ახალგორელი ვაჭრები, ისე ჩრდილოეთ კავკასიიდან ქისტები, ლეკები, ოსები, რომლებიც ყიდიდნენ ხელოსნური წარმოების პროდუქციას: ცხენის აღკაზმულობებს, ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს, ტყვია-წამალს, ნაბდებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს. საქვეყნოდ ცნობილი იყო „ლეკური ხანჯალი“, რის დიდი მოთხოვნილებაც იყო ქართულ ბაზარზე*. განსაკუთრებით ქალის მორთულობებითა და აქსესუარების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ურიების მოძრავი სავაჭროები. ფართლეულით ვაჭრობაში ცნობილნი იყვნენ ახალგორელი სომეხი ვაჭრები, რომლებიც მოჩარდახულ (კიბიტკიანი) ურმებზე მოწყობილ სავაჭროებში ყიდდნენ თავიანთ საქონელს. ხდებოდა ბარტერული — გაცვლითი ვაჭრობაც.

ისტორიაში ცნობილია ქრისტიანული რელიგიის წინააღმდე-

* მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაღარიბებულმა მთიელებმა მამა-პაპის დანატოვარი ქართული და ლეკური ვერცხლის ქამარ-ხანჯლების მასიური გაყიდვა-ჩაბარება დაიწყეს ქ. ორჯონიკიძეში ე. წ. „ტორგ-სინში“.

გობისა და ბრძოლის ფაქტები მოძრავი სავაჭროების მოწყობაზე დღესასწაულების დროს წმინდა ადგილებზე. 1103 წელს რუისურბნისის საეკლესიო კრებამ სპეციალური დადგენილება მიიღო ამის თაობაზე: „ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდან: ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაჭროთა ერის კრებათაჲ ნუცამცა რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა“*.

ლომისობის დღესასწაულზე ვაჭრობის გარდა ადგილი ჰქონდა სხვა ნეგატიურ მოვლენებსაც ქალისა და ცხენის მოტაცებას და ჩხუბს, რაც ზოგჯერ კაცის კვლით დამთავრებულა. ამასთან დაკავშირებით არსებობს ერთი გადმოცემა. ლომისობის დღესასწაულებზე ყოველთვის წარმატებულ მოჭიდავეებად ცხრაზმელი ბაშარულები გამოდიოდნენ, მაგრამ ხშირად კარგ ჭიდაობას „კარგ“ ჩხუბსაც მოაყოლებდნენ. ერთ-ერთი ჩხუბისას მათ არაგველი კაცი შემოკვდომიათ. მათი გვარის დეკანოზს კი ბაშარულების გვარი დაუწყევლია (დაურისხია): „ამ ლომისის მთიდან ჩამონადენ წყალზე და ხეობაზე თქვენმა გვარმა და მოდგმამ არ გაიხაროსო“.

ინფორმატორთა თქმით, თითქმის სრულდება კიდეც ეს წყევლა ქარჩოხზე გათხოვილ ბაშართ ქალების მისამართით. მათივე თქმით „ვინც კი ქარჩოხში გათხოვდა, ტანჯული და შვილებიდან გამწარებული ქალია“. ალბათ ამიტომაც ბაშარული გვარის ქალს ცუდ ცხრაზმელზე უფრო გაათხოვებდნენ, ვიდრე კარგ ქარჩოხელზე, რასაც დღეს კიდევ მხარს უჭერენ უხუცესები.

ხანდაზმულთა თქმით ახლო წარსულამდე თურმე პრესტიჟული ყოფილა ლომისობის დღესასწაულზე ჩხუბი, რაც ხშირად ქალის გამო ხდებოდა. გადმოცემით ლომისობას გამართულ ჩხუბს „ლომის ომს“ ეძახდნენ წინაპრები. მოგვიანებით ტრადიციადაც კი ქცეულა კომუნისტების მმართველობის პერიოდში. რაც უკვე დიდი ხანია ხალხმა დაივიწყა.

აღნიშნულ დღესასწაულზე ჩხუბში უფრო ემოციურები და ამაყები მთიულები ყოფილან. მათგან ზოგიერთს უჩხუბრად ლომისობა სრულფასოვან დღეობად აღარ მიუჩნევია. ერთ ასეთ ამბავსაც ყვებოდნენ მლეთელებზე მათი ქსნელი მონათესავენი:

„ერთ მლეთელ მოხუც კაცს 4 ვაჟიშვილი გაუგზავნია ლომი-

* ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 119.

სის წმ. გიორგის დღეობაში. ბიჭებს ულოციათ, უქეიფიათ და შინ კარგი განწყობით დაბრუნებულან. სახლში მამა შეკითხვია:

— როგორი ლომისობა რამე იყოვო? — კარგიო, უპასუხიათ შვილებს.

— ჩხუბით თუ იჩხუბეთო? — არაო.

უი, თქვენამც დამეხოცენით! უჩხუბრად ლომისობა ვინ თქვაო. აუკიდია ბერიკაცს ზურგზე სადღობელი და გამოვარდნილა გზაზე, სადაც ლომისის მთიდან მომავალი მლოცველი მოძრაობდა. ვიღაცას ქვა უსვრია, გატეხილა სადღვებელი და ჩხუბიც დაწყებულა. მოხუცს შვილები მიხმარებიან და ისეთი მუშტი-კრივი გამართულა, რომ ავყია ბერიკაცი სახლში ხელით შეუყვანიათ. მერე ბერიკაცს უთქვამს: „აი, ეს იყო ლომისობა და „ლომის ომი“ და არა ის, ჩოდრივით მარტო შენ რომ სცემ სხვასაო“*.

პროცესია „დაისი“

ძლიერი და მრევლმრავალი დღესასწაულის დასრულების ნიშანს მთებზე მიმდგარი „მკვდრის მზე“ იძლეოდა. დეკანოზები კიდევ ერთხელ დაილოცებოდნენ, შესთხოვდნენ წმ. გიორგის, ყველა იქ მისულ მრევლისთვის თან გაეტანებინა თავისი უშურველი წყალობა და გადაეფარებინა ძლიერი მფარველი კალთა ყველა მორწმუნე ქრისტიანისთვის.

აიშლებოდა ხალხი, წამოიწევდნენ დეკანოზ-მეხატენიც და ხატ-ჯვრებით, დროშებით, ზარ-ზანზალაკებით დაიწყებდნენ ერთაბრძანებულებისკენ ლომისის ხატების წაბრძანებას, უკან ნელი სვლით სანოვაგით დატვირთული ურმებით მისდევდნენ მგელმექაშენი. მხიარულებით გათანგული გუნდის წევრები, დაირის ჟღარუნით და ცეკვა-სიმღერით გაივლიდნენ ქარჩოხის ციხეს, მის მოპირდაპირედ ოხირის ხევის მარცხენა კიდესთან არსებულ „ლომის სასვენ“ ნიშთან შეასვენებდნენ ხატებს (იქ ადრე გიგოთკარელებს და ვაშლოვნელებს მიჰქონდათ თავიანთი ბიჯები) დაილოცებოდნენ, იცეკვებდნენ, იმღერებდნენ ლომისის სადიდებელ სიმღერებს და შემდეგ ხის ვიწრო ხიდით ქსნის მარჯვენა ნაპირზე გავიდოდნენ, საიდანაც სოფ. პავლიანის „ციხე-განძთან“ ჩერდე-

* მთხრობელი ამირან გიორგის ძე ბაშარული. დაბ. 1924, ახალგორი.

ბოდნენ, იწყებდნენ ღამისთევას და ქეიფს. საგანგებოდ იმ ოთხშაბათ დღისთვის და ხუთშაბათის მეორე დღისთვის ქვევრებში გადანახული იყო „სალომისო“ ლუდი და არაყი.

ღამენათევი ლომისის მრევლი ხუთშაბათს შუადღისთვის დიდი მხიარულებით და „მუსიკობით“ მივიდოდნენ სოფლის სამხრეთით „პატარა ტყესთან“ არსებულ წმ. გიორგის სამლოცველო ნიშთან. დეკანოზ-მეხატენი ხუთშაბათ ღამეს და პარასკევი დღის დიდ ნაწილს „პატარა ტყესთან“ ქეიფსა და სიმღერაში ატარებდნენ. გადმოცემით — „ამ ადგილას სცოდნიათ ძველთაგანვე მოქეიფე ყმაწვილ ბიჭებს მიზანში თოფის სროლა და „ქვის აწევა“. დღეს ეს ტრადიციები იქ აღარავის ახსოვს.

პარასკევს შუადღისთვის ზემოხსენებული ნიშიდან მლოცველნი, რომელთა შემადგენლობა გარდა დეკანოზ-მეხატენისა შედგებოდა ახალ შემატებულ მლოცველებისა და ღამის მთევლებისაგან, რომლებიც ითვლებოდნენ სახევისთავო სალოცავის „ერთაბრძანებულების“ ღამისმთევლებად, მიემართებოდნენ დასავლეთით იქ, საიდანაც სამშაბათ დღეს გამოაბრძანეს ლომისის ხატ-ჯვრები, დროშა და ალამი.

როგორც ვთქვით, პარასკევს „ჩრდილების დაძვრიდან“ ძალაში შედიოდა მორიგი, სათემო სალოცავი „ერთაბრძანებულების“ დღესასწაული, რომლის დეკანოზებთან, გვარად თინიკაშვილებთან შეთანხმებული მოქმედებით შაბათ დღეს, დიდი პომპეზურობით ტარდებოდა დღესასწაული და პარალელურად ხდებოდა ლომისის წმ. გიორგის ხატ-ჯვრებისა და „ერთაბრძანებულების“ სიწმინდეების შებრძანება-დავანება.

ხალხი ამ ხატ-სალოცავთა სახელზე მოხარშულ ლუდის ზედაშეს წლის ბოლომდე — ქრისტეშობამდე ინახავდა ღვთისა და თავის — „ღვთის სტუმრის“ პატივსაცემად.

* * *

მთიულეთში შექმნილი ხალხური ლექსი „ოსეთს იყრება ლაშქარი“ მოგვაწოდა მლეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ქალბატონმა ალექსანდრა ბენიაიძემ, რისთვისაც ვუხდი დიდ მადლობას (ლექსი აზრობრივად დალაგდა და დაიბეჭდა ჩვენეული ვარიანტით, ვ. ქ.).

ოსეთს იყრება ლაშქარი!

დარიალაში შაიბნენ
გაუთენებლივ დილითა,
ივანე ნადიბაიძე
შალესილ იყო რკინითა,
ხელში ეჭირა სიათა,
ფრანგულს იქნევდა კბილითა,
გვერდს ედგა ბურდულთ გარსევან,
გულით და მკლავით რკინისა.
მისთიბდნენ მტრისა ლაშქარსა,
როგორც მთიბელი თივისა.
სიბერე ახლდა გარსევანს,
გამზრდელსა შვიდი შვილისა,
მაგრამ ხომ იცით ათისგან
ასი არ მოიკვლებისა.
გატეხეს თემის სიმძლავრე,
დღე გაუთენეს ჭირისა,
მძიმე ყალანი დაადეს,
როგორც უღელი რკინისა.
12 კაცს უნდა დაუხვდეთ,
პირითა მოღიმარითა,
ლომაი ხარი დაუკლათ,
ღვინოც ასმიოთ ჯიხვითა.

დაწვება, ქალიც მოგოროთ,
ნაზარდი ლერწამ ტანისა.
დაწვება ვიდრე თავად სურს,
იმასთან წოლა ძილითა.
დაუხვდა ბურდულთ სოფელი,
პირითა მოღიმარითა,
ლომაი ხარი დაუკლეს,
ღვინოც ასმიეს ჯიხვითა,
დიდხანს არ დააგვიანეს,
დვალთა მოთხოვნა ქალისა,
ეხლა მოგვგვარეთ მნათობი,
დროა წოლის და ძილისა.
ამ დროს მოვიდნენ ომიდან
შვილები გარსევანისა,
ექვს-ექვსი ვაჟი ერთადა,
ექვსივე მსგავსი გმირისა.
ექვს ძმას დაუხვდა სახლში და
დაღონებულის პირითა,
თუმც ლამაზია ეგეთი,
ვით მზისა სხივი დილითა,
გლოვობდა მამის დაღუპვას,
დვალნის დაწვენას ქალისა.
ეს რომ გაიგეს ბიჭებმა
დადგნენ პირქუშის პირითა,
სადამდის უნდა ვატაროთ
ესე სირცხვილი კისრითა.
ძმებმა შესჩივლეს ერთმანეთს,
პირობა შეკრეს ფიცითა,
დვალნი მით უნდა გავაძღოთ
ჩვენ სამუდამო ძილითა.
შვილებმა გარსევანისამ,
ვადა გასინჯეს ხმალისა,

თითოს ორ-ორი შეგვხვდება
ვაგემოთ გემო მკლავისა.
ხმალამოწვდილნი შეცვივდნენ,
როგორც ლეკვები ლომისა,
თორმეტსვე მოსჭრეს თავები
ხმა არ გასულა ომისა.
იქვე ჩაყარეს ორმოში,
როგორც გოჭები ღორისა.
ისიც იცოდნენ ბიჭებმა
დრო დადგებოდა ომისა.
ეს რომ გაიგო სალმიმა,
მიდის და მოდის ქშენითა,
ხალხის სარბოლავ სოფელში,
კაცებს აგზავნის ცხენითა.
მოგროვდა ოსის ლაშქარი,
თოფ-იარაღის ჟღერითა,
შვიდი ათასი ვაჟკაცი,
კარგად ნაწვართი ცხენითა.
ოსეთს იყრება ლაშქარი,
სალმი მივუძღვის წინაო,
გადვიდეთ მთიულეთშია,
ნაღვარევს დავდგათ ბინაო.
პირველად ხადა გავტეხოთ,
გაუტეხელი რკინაო,
ვარჩიოთ ქალი და რძალი,
სალმის მიუძღვნათ წინაო.
მთიულეთს გამოემგზავრნენ
სამკლავიანი ხელითა,
თემს უპირებენ აკლებას,
დაწვას ცეცხლითა ცხელითა,
უნდა გაწყვიტონ მთიულნი,
ხმლებით და შუბის წვერითა.

გაგაძე უფრო ამხედრებს,
ცაშიღა ჰკიდებს ქებითა,
მე ვიცი მაგათ ადათი,
მოვექცეთ თავის წესითა.
მთლიანი ძალა ვიხმაროთ
ამ სიბნელეში ღამითა.
თვითონ უკანა მოექცა,
ამოღებული ხმალითა,
ვისაც მოსწვდება არ ზოგავს
დაბლა ჩამოჰყრის ცხენითა.
შვილები გარსევანისა,
ვერ გაძღებოდი ცქერითა,
მისთიბდნენ მტრისა ლაშქარსა,
როგორც მთიბელი თივისა.
ყელი გამოსჭრა სალმისა,
თავის მარჯვენა ხელითა,
ასი კაციღა გადარჩა,
დამალულიყო ზევითა.
გაგაძე წამოეწია
პიროფლიანი, ცხენითა,
ჩაუძღვა ჩახათკარშია,
გზა ესე არის ქვევითა.
ეგ რომ გაიგეს მთიულთა
უკნით მიაწყდნენ წინაო,
კლდეს გადაყარეს ყველანი
თავები დასჭრეს ხმლითაო,
შვიდი ათასი კაცისგან,
შვიდი გაგზავნეს შინაო.*
სულსა სწყევლიდნენ, კრულვიდნენ,

* ლომისის მთავარმოწამე წმ. გიორგისთან დაკავშირებით გავრცელებულ ლეგ-ენდა-თქმულებებსა და ფოლკლორულ მასალებში ფიგურებს 7, (700, 7000), რაც ლომისის სალოცავის სიმბოლურ რიცხვად ასოცირდება.

ვეფხია გაგაძისასა,
ჩაგვყარა უალაგოსა
ებრიაულის გზისასა,
წამოგვეწივნენ მთიულნი,
ელვასა ჰგავდნენ ცისასა,
ისარი წამოგვაყარეს
სეტყვასა ჰგავდა ცისასა.
ცამ გადიყარა გულიდან
ღრუბლები ავი დარისა,
ამოიყარეს მტრის ჯავრი
სადარდო რაღა არისა.
შამოიკრიბნენ ბიჭები,
სიმღერითა და ლხენითა,
დაასაჩუქრეს, გადასცეს
წინამძღოლობა თემისა,
დიდი ლომისის ტაძრისა
გასაღებელი კარისა.
რომელიც მოეწონება,
ცოლად წაყვანა ქალისა.
გამრავლდნენ საქართველოში,
მთლად, ბურდულების გვარისა.

ლოცვანი წმინდა გიორგისა

— ტყვეთა განმანთავისუფლებელო და გლახაკთა ხელის ამპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეუფეთა უძლეველო წინამძღოლო, ღუაწლით შემოსილო, ქრისტესო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

— გიხაროდენ, უძლეველო წინამძღოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო, გიხაროდენ, ძლევამოსილო დიდო მოწამეო გიორგი.

* * *

„დიდო მთავარმოწამეო ლომისის წმ. გიორგი, ხოროსნიდან 7000 ტყვის დამხსნელო, მობრძანებულო დიდებითა და დაბრძანებულო ლომისის მთაზე, ქსნისა და არაგვის თავდამყურეო, გაღმა-გამოღმა მბრძანებელნო ძალნო პატიოსანნო, თქვენ განაღვიძეთ თქვენი საყმო, გადააფარეთ მფარველი კალთა მთასა და ბარსა... ამინ!.. ამინ!.. ამინ!..

* * *

„ქებაჲ სადგერის წმიდა გიორგისი“-ს გადამწერის ანდერძი

თხზულება, რომელიც წმ. გიორგის მიეძღვნა არის XVI ს-ის საეკლესიო პირის, სვიმეონ დეკანოზის მიერ ლექსად დაწერილი იგი რუსთაველის პოემის მიბაძვას წარმოადგენს. დეკანოზის თქმით მათი გვარი შოთას ძე ყოფილა, რომელიც ავტორს შოთა რუსთაველის გენეალოგიიდან გამოჰყავს.

„ჰოი წმიდაო გიორგი, ღვაწლითა განათლებულო,
მხნე, ახოვანო მხედარო, მთავარმონამე ქებულო.
ამ ქვეყნიერად ტანჯულო, მწვალებელთაგან ვნებულო,
მეც დამხსენ სატანჯველთაგან, სულით ქრისტესთან ქებულო:
შენ გავედრებ თავსა ჩემსა და ამ წიგნისა მქონესა,
მოგვფინე შენი წყალობა მარადის შენსა მგონესა,
ვინ შემძლებელ არს შენს ქებას, ვწერ მცირე განაგონებსა
ჩვენ ზედან საუფლებელად ეშმაკთ ნუ მისცემ ღონესა“.

სარჩევი

წინათქმა 3
გეოგრაფიული მდებარეობა 6
ქსნელ-არაგველთა ურთიერთობებიდან 11
ლეგენდები 17
მშენებლობასთან დაკავშირებული პერიპეტიები 23
ლომისის წმ. გიორგის დეკანოზები
ა) ბურდულები 27
ბ) პავლიაშვილები 41
ლომისის გლეხის სისხლი 42
ლომისის წმ. გიორგი სოფ. ქვ. მლეთაში 43
ლომისის სამლოცველოები ქსნის ხეობაში 45
ლომისის კარები 47
ლომისის ჯაჭვი 49
ხატ-ჯვრები (ინვენტარი) 53
ბერები 58
მარანი 59
მრევლი 61
სამზადისი 64
პროცესია „აისი“ 67
დალოცვა-დამწყალობება 71
ლომისის „შარნი“ 76
მღვდელ-დეკანოზთა ურთიერთობები 77
მგელქაშა 81
საგმირო სცენები 81
მიდელაურის ლექსი (ფერხისა) 82
ნეგატიური სცენები 85
პროცესია „დაისი“ 87
ოსეთს იყრება ლაშქარი 89
ლოცვანი წმინდა გიორგისა 93

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდი ლომისის დეკანოზს ***ვალერიან (ცვთისო) პავლიაშვილს****; ჩემს მეგობრებს:* ***გიორგი, ვასილ და ნუგზარ ლაფაჩებს, გიზო ფინდიშვილს****; საქ. შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს კომენდანტს* ***ალექსანდრე გიუნაშვილს*** *და ფოტოგრაფ* ***გოგი მორბედაძეს***

კორექტორი: **მაკა ქავთარაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თამაზ გოგებაშვილი**
ლიუცი ნაცვლიშვილი

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

შპს „პოლიგრაფ თბილისი“
თბილისი, მარჯანიშვილის 5